"ბურჯანაძე-დემოკრატები" არავითარ შემთხვევაში უკან არ დავიხევთ A8

"არჩევნები ქართულად" - მაგიური მათემატიკა A8

მონადირე B6

www.24hours.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი    ხუთშაბათი, 6 ნოემბერი, 2003 წელი. №290 (502)    ფასი 50 თეთრი

# ულტიმატუმი




ერთ მუშტად შეკრული პროტესტი.

*"სამოქალაქო დაპირისპირება არ არსებობს. ერთ მხარეს დგას ხალხი, პოლიცია და მთელი საზოგადოება, მეორე მხარეს კი – პრეზიდენტი და 400 ოთხფეხა ძაღლი," – მიხეილ სააკაშვილმა მერიის შენობასთან გუშინდელი მიტინგი ამ სიტყვებით დაიწყო.*
*თუ გაერთიანებული ოპოზიციის პირველ მიტინგს მხოლოდ თბილისელები ესწრებოდნენ, გუშინ მათ ქარელიდან, რუსთავიდან, სიღნაღიდან და გორიდან ავტობუსებით ჩამოსული მოსახლეობა შეუერთდა. გუშინ მერიასთან, დაახლოებით, რვა-ათი ათასი ადამიანი შეიკრიბა.*

სოფო ბუკია

**"ცესკო-მ გააუქმოს 2 ნოემბრის საპარლამენტო არჩევნების შედეგები მარნეულის, ბოლნისის, ტყიბულის, ბათუმის და ქობულეთის საარჩევნო ოლქებში, ასევე საზღვარგარეთისა და რუსეთის საარჩევნო ოლქებში; დაუყოვნებლივ გათავისუფლდეს არასამთავრობო ორგანიზაციის "ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის" 21 წლის დამკვირვებელი გიორგი მშვენიერაძე, რომელიც დააკავეს აჭარაში და მას**

გაგრძელება A3 გვერდზე

## ფილარმონიიდან კანცელარიას ემუქრებიან

გიორგი ასანიშვილი

ოპოზიციური ძალების "ბაზაზე" შექმნილი წინააღმდეგობის ფრონტი უკანდახევას არ აპირებს. მისი ერთ-ერთი ლიდერი მიხეილ სააკაშვილი აცხადებს, რომ მანამდე იბრძოლებს, ვიდრე ხელისუფლება 2 ნოემბრის არჩევნებში "ნაციონალების" გამარჯვებას არ აღიარებს. **"თუ ხალხის არჩევანს უგულებელყოფს, ჩვენი მშვიდობიანი პროტესტის შედეგად, შევარდნაძის ხელისუფლება არსებობას შეწყვეტს,"** - არწმუნებდა გუშინ ფილარმონიაში შეკრებილ მრავალრიცხოვან აუდიტორიას "გაერთიანებული დემოკრატების" გენერალური მდივანი გოკა გაბაშვილი. "ნაციონალებსა" და "დემოკრატებს" რადიკალიზმში ტოლს არ უდებს "ერთობის" თავკაცი, რომელსაც შევარდნაძესთან ძველი ანგარიშები აქვს გასასწორებელი. **"გამოვიდეს ეს მამაცი პრეზიდენტი ხალხის წინაშე და ჩემთან ერთად დადგეს ხალხის, ერის სამსჯავროზე,"** - პოლიტიკურ დუელში იწვევს ერთ დროს თავის პარტიულ კოლეგას ჯუმბერ პატიაშვილი.

ცესკო-ს მიერ არჩევნების საბოლოო შედეგების გამოცხადებამდე, როგორც ჩანს, საქმე მუქარის იქით არ წავა. მანამდე კი, "ყოველი შემთხვევისთვის", ოპოზიცია თავისი რესურსების "ინვენტარიზაციას" ატარებს: მას კარგად ესმის, რომ ოპოზიციურ დედაქალაქს მყარი ზურგი სჭირდება და ამიტომ რეგიონებში მუშაობას აქტიურებს. მით უმეტეს, ხელისუფლება ყოველნაირად ცდილობს, ცენტრსა და პერიფერიებს

გაგრძელება A3 გვერდზე

## გამოსავალი

1953 წლის ივნისის აჯანყება გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ხელისუფლებამ საბჭოთა საოკუპაციო ჯარის ძალით ჩაახშო. "მუშურ-გლეხური" მთავრობა განსაკუთრებით აღშფოთებული იყო, რომ სწორედ მუშები აჯანყდნენ. მწერალთა კავშირის მდივანი კუბა (კურტ ბარტელს) მუშათა კლასს განურისხდა. გაიხსენა რა, რომ გერმანიის სოციალისტური ერთიანი პარტიის ცკ-ს გენერალური მდივანი, ერთგული სტალინელი, აჯანყებულთა წინამძღოლი ვალტერ ულბრიხტი პროფესიით დურგალი იყო, კუბამ მუშებს მიუთითა:

"...თქვენ სხვას მიჰყვებოდით - დურგალს, ერთ-ერთ თქვენთაგანს, როგორც თქვენ გეგონათ... თქვენ კი წინ მიგიძღოდათ მეკუბოვე - მესაფლავე...

თქვენთვის და მშვიდობისათვის მსოფლიოში სადარაჯოზე დგას საბჭოთა არმია და ამხანაგები გერმანიის სახალხო პოლიციიდან. თქვენც ისე გრცხვენიათ, როგორც მე?

...ძალიან ბევრი და ძალიან კარგად უნდა ააშენოთ, და მომავალში ჭკვიანურად იმოქმედოთ, სანამ თქვენ ამ სირცხვილს დაგივიწყებენ. დანგრეული სახლების აღდგენა ადვილია, დანგრეული ნდობისა – ძალიან, ძალიან ძნელი."

(გერმანელ ხალხს ამ "ნდობის აღსადგენად" 1989 წლამდე მოუხდა მუშაობა.)

1953 წელს ბერტოლტ ბრეხტმა ხელისუფლებისა და მისი ერთგული "ინტელიგენციის" გულისწყრომას პატარა ლექსით უპასუხა.

*ლაშა ბაქრაძე*



ბერლინი, 1953

**გამოსავალი**

**17 ივნისის აჯანყების შემდეგ**
**მწერალთა კავშირის მდივანმა**
**სტალინის გამზირზე**
**პროკლამაციები გაავრცელა**
**რომლებშიც ეწერა, რომ ხალხმა**
**მთავრობის ნდობა გააცრუა**
**და რომ მხოლოდ გაორმაგებული მუშაობით**
**შეუძლია ნდობის დაბრუნება.**
**უფრო ადვილი ხომ არ იქნებოდა, მთავრობას**
**ხალხი გაეუქმებინა და ახალი აერჩია?**

**ბერტოლტ ბრეხტი**

## პოლიტიკა

### ეუთო-ს დამკვირვებლები რუსთავში ლამის გაგიჟეს

რა საჭიროა კანონისა და სხვა ფორმალობების დაცვა, როცა გაქვს ძალა და გყავს ხალხი, რომელიც საჭიროების შემთხვევაში ყველაფერზე აგიწევს ხელს - ასეთი რეზიუმე შეიძლება გაუკეთდეს იმას, რაც გუშინ რუსთავის საოლქო საარჩევნო კომისიაში მოხდა.

A3

## ეკონომიკა

### "თელასს" "ქეი-ფი-ემ-ჯი" შეამოწმებს

"თელასის" ხელმძღვანელობა კომპანიის 2003 წლის ფინანსური მდგომარეობის შესასწავლად აუდიტორთა "დიდი ოთხეულის" წარმომადგენლის – "ქეი-ფი-ემ-ჯის" ფილიალის მოწვევას აპირებს.

A4

## უცხოეთი

### სენატორი მაკკეინი რუსეთის წინააღმდეგ ილაშქრებს

ბუშის ადმინისტრაციას აშშ-ს კონგრესის წარმომადგენლებმა თხოვნით მიმართეს - თეთრი სახლის მეთაურმა რუსეთის პრეზიდენტი ვალდიმირ პუტინი "საზღვარგარეთ ნეოიმპერიალიზმის მცდელობისა და ქვეყნის შიგნით ავტორიტარული კონტროლისათვის" დასაჯოს.

A5

## საზოგადოება

### ჩვეული ხერხი მიწისძვრით დაზარალებულთა ჩასაჩუმებლად

საარჩევნო ციებ-ცხელებაში მიწისძვრით დაზარალებულებისთვის, ბუნებრივია, არავის სცალია. რა დროს მიწისძვრით დაზარალებულთა ფონდია, როცა პენსიები და ხელფასები ვერ დაგვირიგებია, ბიუჯეტში შემოსავლები არ არისო, აცხადებს ფინანსთა სამინისტრო.

A6

## სამართალი

### ხელისუფლება პოლიციას საფრთხობელად იყენებს

ხელისუფლებამ ოპოზიციის ლიდერების მუქარას - არჩევნებში გამარჯვების შემთხვევაში ხელისუფლების რიგებში მყოფი კრიმინალების დაპატიმრების შესახებ - რეალური ნაბიჯები დაუპირისპირა და ოპოზიციის ლიდერების ციხეში გასაგზავნად ერთი ნაბიჯი უკვე გადადგა.

A7

## ამინდი

| | | |
|---|---|---|
| თბილისი | 16 | |
| ქუთაისი | 22 | |
| ბათუმი | 23 | |
| სოხუმი | 22 | |
| ფოთი | 23 | |
| თელავი | 12 | |
| ზუგდიდი | 24 | |
| გორი | 12 | |
| ახმეტა | 13 | |
| ჭიათურა | 17 | |
| გაგრა | 21 | |
| სამტრედია | 22 | |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 2.1115 |
| ევრო | 2.4158 |
| გირვანქა სტერლ. | 3.5492 |
| რუბლი | 0.0708 |

## კონტრშეტევის მცდელობა

### ოპოზიციას კი სისხლის სამართლის საქმეების არ ეშინია

*საქართველოს პრეზიდენტმა გუშინ, დილის 11 საათისთვის დაგეგმილი მთავრობის სხდომა ჯერ 17 საათისთვის, შემდეგ კი - გაურკვეველი ვადით გადადო. ხელისუფლებას არ გამოუვიდა "იგნორირებისა" და "ვითომ აქ არაფერიას" თამაში, რომელიც სამშაბათს წამოიწყო, და ოთხშაბათს დილით გამართულ უშიშროების საბჭოს სხდომაზე ოპოზიციისთვის წასაყენებელი ბრალდებების ჩამონათვალი და მის წინააღმდეგ სამოქმედო გეგმა "შეათანხმა".*

თამარ ხორბალაძე

გუშინ უშიშროების საბჭოზე საქართველოს ხელისუფლებამ "აღმოაჩინა", რომ საქართველოს პრეზიდენტის გადადგომის მოთხოვნა, თურმე, "ერთი მაჟორიტარი დეპუტატის" (ასე მოიხსენია პრეზიდენტის პრეს-მდივანმა ნინო ბურჯანაძე) მიერ ხელისუფლების უზურპაციის მცდელობაა.

უზურპაცია კი, თურმე, ასე არის "დაგეგმილი": შევარდნაძე გადადგება, მისი მოვალეობის შესრულება პარლამენტის თავმჯდომარეს ნინო ბურჯანაძეს დაეკისრება, არჩევნები თავიდან ჩატარდება და... უზურპაციაც მოხდება. ეს სქემა-აღმოჩენა ჟურნალისტებს კახა იმნაძემ გააცნო უშიშროების საბჭოს საათნახევრიანი სხდომის შემდეგ. ლოგიკა მარტივია: არჩევნებს ვინც ატარებს, უზურპაციასაც ხომ ის ახდენს - ეს საქართველოს ხელისუფლებაზე უკეთ ნამდვილად არავის მოეხსენება.

გაგრძელება A2 გვერდზე

## დიდი ვაჭრობა დასასრულს უახლოვდება

*სწორედ იმ დროს, როდესაც ცენტრალური საარჩევნო კომისიის შენობის წინ ოპოზიციონერთა მრავალათასიანი მიტინგი მიმდინარეობდა, თავად შენობის შიგნით სრული სიმშვიდე სუფევდა. ცესკო-ს ხელმძღვანელობამ საღამოს რვა საათისთვის ჟურნალისტებთან ოფიციალური კონტაქტები შეწყვიტა. ჩვენთან საუბარში კი ცესკო-ს მდივანმა გიორგი მიქანაძემ (იგი ცესკო-ში პრეზიდენტის კვოტით არის დანიშნული) განაცხადა, რომ მათ მუშაობაზე ოპოზიციონერთა მიტინგი ვერანაირ გავლენას ვერ მოახდენს და ისინი ოლქებიდან შემოსული მონაცემების დამუშავებას გააგრძელებენ.*

თამარ ასათიანი

გუშინ, მთელი დღის მანძილზე ცესკო-ში აჭარიდან მონაცემების ჩამოსვლას ელოდებოდნენ. ოფიციალური ვერსიით, ეს მონაცემები საღამოს ექვსი საათისთვის ცესკო-ს კანცელარიაში ჯერაც არ იყო გატარებული, მაგრამ ცესკო-ს კულუარებში უკვე იმასაც აცხადებდნენ, რომ საერთო სურათი უკვე ცნობილია და ცესკო-ს ოფიციალურ ვებ-გვერდზე საბოლოო ოქმების განთავსებას პოლიტიკური ვაჭრობა უშლიდა ხელს.

სხვათა შორის, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ხელმძღვანელობასა და ცენტრს შორის ფარული მოლაპარაკებების თაობაზე ერთი, საკმაოდ საინტერესო ფაქტიც მეტყველებს. საქმე ის არის, რომ ჯერ კიდევ ორი დღის წინ ცენტრალური საარჩევნო კომისიის

გაგრძელება A2 გვერდზე

## გერმანულენოვანი პრესა პრეზიდენტის, საქართველოს და არჩევნების შესახებ

მერი კახინი
*ვენა*

„უკვე კარგა ხანი გავიდა მას შემდეგ, რაც შევარდნაძე გორბაჩოვის რეფორმისტულ გუნდს მიეკუთვნებოდა. მაშინ ის საბჭოთა საგარეო პოლიტიკას ახლებურად და ორიგინალურად წარმართავდა, რის გამოც მან, ერთი მხრივ, საბჭოთა ოფიციოზის გულისწყრომა დაიმსახურა და, მეორე მხრივ, მსოფლიო მასშტაბით, მაღალი ავტორიტეტი მოიპოვა. 1991 წელს მის მიერ გაკეთებული გაბედული პროგნოზი კონსერვატიული კომუნისტური პარტიის ისევ გაძლიერების შესახებ, არ გამართლდა, მაგრამ ამან კიდევ უფრო გაზარდა მისდამი პატივისცემა. მოგვიანებით, შევარდნაძე დაბრუნდა საქართველოში, როგორც სამშობლოს მხსნელი. სამოქალაქო ომის დასრულებიდან იგი ქვეყანას განაგებს. ამ ფაქტმა მას ისევ, ერთი მხრივ, აღიარება მოუტანა და, მეორე მხრივ, თავისი მოწინააღმდეგეების სიძულვილი. ის განსაცვიფრებლად გადაურჩა მასზე განხორციელებულ ტერორისტულ აქტებს.

დიდი ხნის განმავლობაში შევარდნაძეს უყურებდნენ, როგორც დემოკრატს. შეიძლება, ეს მართლაც ასე იყო, მაგრამ დღეს ეს აღარ იგრძნობა. დღევანდელი შევარდნაძე არის მოხუცი, დაავადებული და უნდო დესპოტი, როგორც მისი აზერბაიჯანელი მეზობელი ალიევი, რომელმაც სულ ახლახან თავის ვაჟს მემკვიდრეობით გადააბარა ხელისუფლება;

გაგრძელება A5 გვერდზე

## პროკურატურამ ოპოზიციის ლიდერთა წინააღმდეგ საქმეები აღძრა

*გუშინ სახელმწიფო კანცელარიაში საგანგებოდ გამართულ უშიშროების საბჭოს სხდომაზე სამართალდამცველებმა პრეზიდენტის დირექტივა მიიღეს - ოპოზიციური პოლიტიკური პარტიის ლიდერების წინააღმდეგ საქმეთა აღძვრის თაობაზე.*

უშიშროების საბჭოს სხდომის დასრულების შემდეგ შს მინისტრმა კობა ნარჩემაშვილმა განაცხადა, რომ ოპოზიციური პარტიების წევრებისა და მათი ლიდერების წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე უკვე აღიძრა, რადგან მათ მიერ მოწყობილი არასანქცირებული მიტინგის ორგანიზატორები ხელისუფლების დამხობის მოთხოვნით გამოვიდნენ.

**"ხელისუფლება მზად არის, გამოიყენოს კანონით მინიჭებული უფლება, რათა დაიცვას მოსახლეობის უსაფრთხოება. პოლიტიკური პარტიის ლიდერთა ცალკეულ განცხადებებში არის ხელისუფლების ძალადობით შეცვლის მოწოდება. ჩვენი მხრიდან ყველაფერი გაკეთდება იმისთვის, რომ ეს არ მოხდეს. აუცილებლად დადგება იმ პირთა პასუხისმგებლობის საკითხი, ვინც ანტიკონსტიტუციურ განცხადებებს აკეთებს,"** – განაცხადა კობა ნარჩემაშვილმა.

გაგრძელება A7 გვერდზე

A2 არჩევნები | A3 არჩევნები | A4 ეკონომიკა | A5 უცხოეთი | A6 საზოგადოება | A7 სამართალი | A8 არჩევნები

B1 სტუმარი | B2 რევიუ | B3 რევიუ | B4 სპორტი | B5 სპორტი | B6 მონადირე | B7 სხვადასხვა | B8 სხვადასხვა

# აშშ-ს საელჩოს განცხადება საქართველოში ჩატარებული ნოემბრის საპარლამენტო არჩევნების შესახებ

**5 ნოემბერი, 2003**

აშშ ყურადღებით ადევნებს თვალყურს საქართველოში საარჩევნო პროცესის განვითარებას. საქართველოს საპარლამენტო არჩევნების სანდოობის შესანარჩუნებლად და ამომრჩეველთა ნდობის აღსადგენად გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ხმების დათვლისა და ამის შესახებ ანგარიშის გაკეთების პროცესის დროულობას, გამჭვირვალობასა და სიზუსტეს.

ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ ხმათა სრული და ზუსტი დათვლის დაგვიანება ამ მხრივ სერიოზულ შეშფოთებას იწვევს და დამატებით ადმინისტრაციულ და ორგანიზაციულ პრობლემებს ქმნის.

საქართველოში ორ ნოემბერს ჩატარებული საპარლამენტო არჩევნების არასწორი ორგანიზებისა და დაფიქსირებული გაყალბებების ფაქტების გამო ბევრ მოქალაქეს არ მიეცა საშუალება, განეხორციელებინა ხმის მიცემის კონსტიტუციური უფლება.

საარჩევნო სიები სერიოზულ პრობლემას წარმოადგენდა, რადგანაც არჩევნების დღეს ათობით ათასი ამომრჩეველი სიებში რეგისტრირებული არ აღმოჩნდა.

შეცვლილი ბიულეტენები და ოქმები კიდევ ერთი პრობლემა იყო, რომელმაც გამოიწვია საზოგადოების უნდობლობა საარჩევნო პროცესების მიმართ. დემოკრატიულ საზოგადოებაში გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ ყოველმა უფლებამოსილმა ამომრჩეველმა შეძლოს ხმის მიცემა და ჰქონდეს გარანტია, რომ მის ხმას კეთილსინდისიერად დაითვლიან.

ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ ყველაფერი უნდა იღონოს იმისათვის, რომ არჩევნების დღეს დაშვებული შეცდომები ხმათა დათვლის დროს გამოასწოროს და მხედველობაში მიიღოს გაყალბების ყველაზე თვალსაჩინო შემთხვევები.

აშშ-ს ელჩმა ბატონმა რიჩარდ მაილსმა დღეს პრეზიდენტ შევარდნაძესთან შეხვედრა ითხოვა, რათა გაუზიაროს აშშ-ს წუხილი ამ საკითხთან დაკავშირებით და მოუწოდოს მას, მიიღოს ყველა აუცილებელი ზომა ამომრჩეველთა ნდობის აღსადგენად.

ჩვენ იმედი გვაქვს, რომ პრეზიდენტი შევარდნაძე უზრუნველყოფს ამ არჩევნების სამართლიანობას და ამით ხელს შეუწყობს ჩვენს ქვეყნებს შორის პარტნიორული ურთიერთობების განვითარებას.

# "სამართლიანი არჩევნების" წინასწარი განცხადება

## 2003 წლის 2 ნოემბრის საპარლამენტო არჩევნების შესახებ

საქართველოს 2 ნოემბრის საპარლამენტო არჩევნებს "სამართლიანი არჩევნების" დამკვირვებლები 2300-ზე მეტ საარჩევნო უბანზე აკვირდებოდნენ.

ჩვენ გვსურს, დიდი მადლობა გადავუხადოთ ყველა დამკვირვებელს (რომელთა შორის იყვნენ "საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის" დამკვირვებლები) მათ მიერ გაწეული საქმიანობისათვის და იმ სიმამაცისათვის, რომელიც გამოიჩინეს არჩევნების დღეს. მიუხედავად იმ ზეწოლისა, რომელიც ჩვენმა დამკვირვებლებმა საარჩევნო უბნების დიდ ნაწილში განიცადეს, მათ არ შეუწყვეტიათ დაკვირვება და ბოლომდე შეეცადნენ საქართველოს მოქალაქეთა ხმების დაცვას. "სამართლიანი არჩევნების" დამკვირვებელთა მიმართ იყო ძალადობის, დაშინებისა და ფიზიკური შეურაცხყოფის ფაქტები. ზოგიერთი დამკვირვებლის სიცოცხლეს საფრთხეც კი დაემუქრა. იყო შემთხვევები, როდესაც მათი საარჩევნო უბნებიდან გამოყვანა მხოლოდ საერთაშორისო დამკვირვებელთა დახმარებით მოხერხდა. ერთ-ერთი დამკვირვებელი კვლავაც დაპატიმრებულია აჭარაში. "სამართლიანი არჩევნები" მოითხოვს აჭარის ხელისუფლებისაგან, პატივი სცეს საქართველოს კონსტიტუციასა და კანონმდებლობას, გაათავისუფლოს უკანონოდ დაკავებული მოქალაქე.

"სამართლიანი არჩევნების" მიერ არჩევნების დღის წინასწარი შეფასება ეფუძნება დამკვირვებელთა მიერ მოწოდებულ დეტალურ ინფორმაციას. ჩვენი დაკვირვების შედეგები საშუალებას გვაძლევს, რომ დავასკვნათ - ხელისუფლებამ ვერ შეძლო 2 ნოემბრის საპარლამენტო არჩევნების სწორად ადმინისტრირება. არჩევნების დღეს ფართოდ იჩინა თავი ამომრჩეველთა სიებში არსებულმა იმ უზუსტობებმა, რაც არაერთხელ იყო ხაზგასმული "სამართლიანი არჩევნების" მიერ მანამდე გაკეთებულ განცხადებებში. საქართველოს ხელისუფლების მიერ შედგენილი სიების უზუსტობას და მასთან დაკავშირებულ ქაოსს შედეგად მოჰყვა ამომრჩეველთა დიდი ნაწილისათვის ხმის მიცემის კონსტიტუციური უფლების შეზღუდვა.

საარჩევნო ადმინისტრაციებმა ვერ შეძლეს კანონის შესაბამისად მოქმედება. თუმცა ეს არ შეიძლება მხოლოდ ადმინისტრაციულ შეცდომად ჩაითვალოს, ამ შემთხვევაში საუბარია საარჩევნო კანონმდებლობის განზრახ დარღვევის მცდელობებზეც. დამკვირვებლებზე ზეწოლა არ შეიძლება განიხილებოდეს, როგორც ადმინისტრაციის შეცდომა, ასევე არ შეიძლება არაკომპეტენტურობის შედეგი ვუწოდოთ ბიულეტენების ჩაყრას. არჩევნების შედეგების გაყალბება არ არის შეცდომა, ეს დანაშაულია. "სამართლიანი არჩევნები" მიიჩნევს, რომ იმას, რაც მოხდა არჩევნების დღეს, არ შეიძლება დაერქვას მხოლოდ საარჩევნო ადმინისტრაციის არაკომპეტენტურობა, ხშირ შემთხვევაში ეს იყო საარჩევნო პროცესისათვის წინასწარ გამიზნული ხელის შეშლა.

"სამართლიანი არჩევნების" დამკვირვებელთა მიერ შეგროვებული მონაცემები გვაძლევს საფუძველს, განვაცხადოთ, რომ გაზრდილია ამომრჩეველთა აქტივობა და გაყალბებულია ოქმები. განსაკუთრებით თვალნათელი გახდა ეს აჭარასა და ქვემო ქართლში. "სამართლიანი არჩევნები" გაავრცელებს დეტალურ ანგარიშს გამოვლენილი დარღვევების შესახებ მაშინვე, როგორც კი განხორციელდება დამკვირვებელთა მიერ მოწოდებული ინფორმაციის საბოლოო დახარისხება და ანალიზი.

ჩვენ მიგვაჩნია, რომ დარღვევების მასშტაბურობის მიუხედავად, არჩევნები ტოტალურად არ გაყალბებულა. დამკვირვებელთა ძალისხმევამ და ამომრჩეველთა სურვილმა დაიცვა არჩევნები. "სამართლიან არჩევნებს" შეუძლია განაცხადოს, რომ ჩვენ მიერ განხორციელებული ხმების პარალელური დათვლა იძლევა არა მხოლოდ ხარისხობრივ, არამედ სტატისტიკურად ზუსტ რაოდენობრივ შედეგებს 99%-იანი სიზუსტით (ცდომილების ხარისხი პირველ ადგილას მყოფი ბლოკის შედეგებისათვის არის 2%ზე ნაკლები, ხოლო ბოლო ორი ბლოკის შედეგებისათვის დაახლოებით 1%). "სამართლიანი არჩევნების" მიერ ჩატარებული ხმების პარალელური დათვლის შედეგები ასეთია:

**"სააკაშვილი - ნაციონალური მოძრაობა" .......................26.26%**
**სამთავრობო ბლოკი "ახალი საქართველოსათვის" ....18.92%**
**"ლეიბორისტული პარტია" .17.36%**
**"ბურჯანაძე-დემოკრატები" ........... 10.15%**
**"დემოკრატიული აღორძინების კავშირი" ............................8.13%**
**"ახალი მემარჯვენეები" .......7.99%**
**"მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს" ..................5.2%.**

ჩვენ ვაგრძელებთ იმ შედეგებისთვის ბრძოლას, რომლებიც ამომრჩევლის ნებას ასახავს. "სამართლიანი არჩევნები" გააგრძელებს ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ ხმების დათვლისა და საჩივრების განხილვის პროცესს, რათა გამოსწორდეს ის დარღვევები, რასაც ადგილი ჰქონდა არჩევნების დღეს. ჩვენ განსაკუთრებით გვაღელვებს მდგომარეობა აჭარასა და ქვემო ქართლში.

"სამართლიანი არჩევნები" მოუწოდებს ცენტრალურ საარჩევნო კომისიას, აჩვენოს კეთილი ნება და თავიდან აიცილოს არჩევნების შედეგების გაყალბება; რაც ნიშნავს იმას, რომ ცესკო-მ უარი უნდა თქვას გაყალბებული შედეგების დადასტურებასა და ცნობაზე. "სამართლიანი არჩევნების" მიერ ამ დროისათვის შეტანილ საჩივართა რაოდენობა დაახლოებით ოთხასია. აუცილებელია ცესკო-მ მიიღოს ზომები იმ დარღვევების წინააღმდეგ, რომლებიც ჩვენ მიერ ხმის მიცემისა და დათვლის დროს დაფიქსირდა.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, "სამართლიანი არჩევნები" სთავაზობს ცენტრალურ საარჩევნო კომისიას, რომ გადადგას შემდეგი ნაბიჯები, რათა გაამართლოს ქართველი ხალხის წინაშე ნაკისრი პასუხისმგებლობა:

- შედეგები უნდა გამოქვეყნდეს უბნების მიხედვით;
- საარჩევნო ადმინისტრაციებში წარდგენილი საჩივრები განხილულ უნდა იქნას და საარჩევნო კანონმდებლობის დარღვევებზე უნდა მოხდეს სათანადო რეაგირება;
- იმ უბნების შედეგები, სადაც დიდი რაოდენობის დარღვევებია დაფიქსირებული, უნდა გაუქმდეს;
- ხმის დათვლისა და შეჯამების პროცედურები უნდა განხორციელდეს კანონის შესაბამისად და უზრუნველყოფილი უნდა იყოს ამ პროცესის გამჭვირვალობა;
- საბოლოო შედეგები უნდა ასახავდეს ქართველი ამომრჩევლის ნებას იმ სახით, როგორითაც იგი გამოვლინდა 2 ნოემბერს.

*4 ნოემბერი, 2003 წ.*

# კონტრშეტევის მცდელობა

პირველი გვერდიდან

**"სიტუაციის გართულების შემთხვევაში, სისხლის სამართლის პასუხისმგებლობაში გადაეცემა ყველა ის პირი, რომელიც დესტაბილიზაციაში მიიღებს მონაწილეობას,"** - ამბობს ნუგზარ გაბრიჩიძე.

დაზვერვის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარე ავთანდილ იოსელიანი კი აცხადებს, რომ **"თუ ვითარება გამწვავდა, ფინალი საკმაოდ მძიმე იქნება."**

**"ხელისუფლება მზად არის, გამოიყენოს კანონით მინიჭებული უფლება, რათა დაიცვას მოსახლეობის უსაფრთხოება. ჩვენ იმის ადეკვატურად ვიმოქმედებთ, თუ რა საფრთხე დაემუქრება მოსახლეობას. ცალკეულ განცხადებებში არის ხელისუფლების ძალადობით შეცვლის მოწოდება. ჩვენი მხრიდან ყველაფერი გაკეთდება იმისთვის, რომ ეს არ მოხდეს,"** – აცხადებს ნარჩემაშვილი.

მინისტრის თქმით, **"ვინც ანტიკონსტიტუციურ განცხადებებს აკეთებს, იმ პირების სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხი დადგება."** მისივე ინფორმაციით, ამჟამად უკვე აღძრულია სისხლის სამართლის 60-მდე საქმე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 317-ე მუხლით (მოწოდება ხელისუფლების დამხობისკენ).

მოკლედ, ხელისუფლება ოპოზიციური პროტესტის პასუხად, გუშინ კვლავ იმუქრებოდა - "ყველა ღონის გამოყენებით" და ოპოზიციური ლიდერების დაპატიმრებით.

თავად კანცელარიაში კი, გარკვეული აზრით, ოპოზიციაზე გამარჯვებას "ზეიმობდნენ" - ეს იგრძნობოდა კანცელარიის მოხელეთა ჰონორშიც, მიმართვებშიც, განცხადებებშიც...

თუმცა, თავად სახელისუფლებო ძალის ლიდერებს, რომლებიც გუშინ გამოჩნდნენ იმავე შენობაში, სამშაბათის მსგავსი ცინიკური "აღტკინება" აღარ ეტყობოდათ - ვაჟა ლორთქიფანიძე გუშინ იმაზე საუბრობდა, რომ ოპოზიცია პროტესტის გამოხატვას ჩქარობს, რადგან ჯერ შედეგები ბოლომდე დათვლილი არ არის, ამ ეტაპისთვის კი ოპოზიციის შედეგები დამაკმაყოფილებელია.



პირით ხალხისკენ, ზურგით ხელისუფლებისკენ.

ირინა სარიშვილი კი იმაზე წუხდა, რომ ხელისუფლება უუნარო და უპრინციპოა, ანუ იგი "ქმედითი ღონისძიებების" მიღებას არ ჩქარობს...

უშიშროების საბჭოს სხდომის დამთავრებისთანავე შს მინისტრი კანცელარიის მიღმა განლაგებული შინაგანი ჯარის ნაწილების ხელმძღვანელობას შეხვდა და ჩაფხუტებიანმა და ნიღბიანმა სამართალდამცველებმა, რომლებიც ფარებით იყვნენ შეიარაღებულები, კანცელარიის მთელი პერიმეტრი გაამაგრეს. მიმდებარე ქუჩებზე უკვე აღარ ატარებდნენ მოქალაქეებს, კანცელარიის შენობიდან გამოსულ ჟურნალისტებს კი ტერიტორიის სასწრაფოდ დატოვება მოსთხოვეს, რაზეც უარი მიიღეს.

სამართალდამცველთა "მზადყოფნა" მას შემდეგ შესუსტდა, რაც ცნობილი გახდა, რომ სააკაშვილი რუსთავში, ბურჯანაძე კი ქუთაისში მიემგზავრებოდა და საპროტესტო აქციის ვადაც საღამოს შვიდ საათამდე გადაიტანეს.

საღამოს შვიდ საათამდე კანცელარიაში აშშ-ს ელჩი რიჩარდ მაილსი გამოჩნდა. მან დაარღვია ტრადიცია და შეხვედრის შემდეგ ჟურნალისტებისთვის კომენტარი გააკეთა: **"აშშ-ს ადმინისტრაცია და პირადად მე საქართველოს ხელისუფლებას ვთხოვ, ყველა ზომა მიიღოს იმისათვის, რათა ცესკო-მ და იმ ორგანოებმა, ვისაც ეს ევალება, ხმის დათვლის პროცესი დააჩქარონ,"** - განაცხადა მან.

რიჩარდ მაილსის თქმით, ეს თხოვნა მან პირადად გააცნო პრეზიდენტს და მას იმედი აქვს, რომ ამერიკის ხელისუფლების ამ თხოვნას საქართველოს ხელისუფლების მხრიდან შესაბამისი რეაქცია მოჰყვება.

რაც შეეხება საპროტესტო აქციებს თბილისის ქუჩებში და საქართველოს სხვადასხვა ქალაქებში, რიჩარდ მაილსის თქმით, **"ხალხს ყველა უფლება აქვს, მშვიდობიანი ფორმებით გამოხატოს თავისი აზრი, იქნება ეს ქუჩაში თუ პირადულ საუბრებში."**

მისი თქმით, ის პირადად ესაუბრა როგორც ოპოზიციის, ასევე საქართველოს ძალოვანი უწყების წარმომადგენლებსაც და სთხოვა, რომ შენარჩუნებული იქნას სიმშვიდე და სიტუაციის გამწვავებას თავი აარიდონ.

მაილსის განცხადებით, აშშ-ს ადმინისტრაცია შეშფოთებულია 2 ნოემბრის საპარლამენტო არჩევნების ხარისხით და მიაჩნია, რომ ცესკო-მ ყველაფერი უნდა გააკეთოს იმისათვის, რათა 2 ნოემბრის საპარლამენტო არჩევნების შედეგები ობიექტურად იყოს დაჯამებული.

მაილსის გარდა, კანცელარიაში ხელისუფლების მიერ დანიშნული ცესკო-ს წევრებიც სტუმრობდნენ. მათ კომენტარები არ გაუკეთებიათ, ისე დატოვეს შენობა.

მთელი დღის განმავლობაში შენობაში სახელისუფლებო ძალის ლიდერებიც "მოძრაობდნენ".

საღამოს შვიდი საათისთვის კანცელარიის პერიმეტრი შინაგანმა ჯარმა და პოლიციამ ისევ "გაამაგრა". შენობის დერეფნებში კი უჩვეულო სიჩუმე გახლდათ დასადგურებული.

# დიდი ვაჭრობა დასასრულს უახლოვდება

პირველი გვერდიდან

ოფიციალურ საიტზე გამოჩნდა ხულოს საოლქო საარჩევნო კომისიიდან გადმოგზავნილი მონაცემები, რომლის ანალიზიც საკმაოდ ბევრ კითხვის ნიშანს ბადებს.

თავად განსაჯეთ: აჭარიდან პირველად იმ რაიონის მონაცემები ჩამოდის, რომელიც, როგორც წესი, არჩევნების შედეგებზე არანაირ გავლენას არ ახდენს და საიდანაც, ტრადიციისამებრ, ასპროცენტიან მოსავალს მხოლოდ "აღორძინება" იმკის ხოლმე. იქ მოსახლეობა სხვა პარტიას არასდროს აძლევდა ხმას. დღეს კი ვითარება შეცვლილია. "აღორძინებასთან" ერთად, ხმების გარკვეულ რაოდენობას იღებენ სხვა პარტიები. კერძოდ:

**ბლოკი "ახალი საქართველოსთვის" – 552 ხმა, "დემოკრატიული აღორძინების კავშირი" - 20480 ხმა, "მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს" – 45 ხმა, "საქართველოს ლეიბორისტული (შრომის) პარტია" – 195 ხმა, ბლოკი "სააკაშვილი - ნაციონალური მოძრაობა" – 15 ხმა, ბლოკი "ბურჯანაძე – დემოკრატები" – 22 ხმა, "ახალი მემარჯვენეები" – 33 ხმა.**

"ეს წმინდა წყლის ვაჭრობაა", - ასეთ კომენტარს აკეთებენ ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლები. თუმცა, მხოლოდ "ნაციონალური მოძრაობა" ამბობს ხმამაღლა, რომ, შესაძლოა, "აღორძინებამ" ხმები, სახელისუფლებო ბლოკთან ერთად, ან "მრეწველებს", ან "ახლებს" აჩუქოს. გააჩნია, რაზე მოილაპარაკებენ ეს პოლიტიკური პარტიები და რას შეჰპირდებიან ბათუმს სანაცვლოდ.

საგულისხმოა ერთი დეტალი: ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე ნანა დევდარიანი ადასტურებს, რომ აჭარაში ხმების გარკვეული რაოდენობა "ახლებმაც" და "მრეწველებმაც" მოიპოვეს. თუმცა, კონკრეტულ მონაცემებზე არ საუბრობს და აცხადებს, რომ მან ეს ინფორმაცია ბათუმთან სატელეფონო საუბრებით შეიტყო.

ეს თუ მართლაც ასეა, მაშინ ნამდვილად მისასალმებელია, რომ აჭარაში ბოლო ელება ერთპარტიულ მმართველობას, მაგრამ სხვა საქმეა, როგორ მოიპოვეს ასეთი წარმატება იმ პარტიებმა, რომლებსაც, იმავე ხულოში, არანაირი წინასაარჩევნო პროპაგანდა არ გაუწევიათ...

პასუხი ჩვენზე უკეთ, ალბათ, თავად ამ პარტიების ლიდერებმა, ასლან აბაშიძემ და ხელისუფლებამ იციან. ჩვენ კი შეგვიძლია მხოლოდ ვივარაუდოთ, თუ როგორ განვითარდება მოვლენები – თუკი ხულოს მსგავსად, აჭარის სხვა რაიონების მოსახლეობის ნაწილი უცებ "გადაწყვეტს", რომ მისთვის "აღორძინებაზე" მეტად მისაღები სხვა პოლიტიკური ძალაა, ეს დღეს არსებულ საერთო სურათს ნამდვილად შეცვლის. შესაბამისად, შეიცვლება პარტიების მიერ არჩევნებში მიღებული ხმების პროცენტებიც.

ყველაფერი დღეს გადაწყდება, როცა ვაჭრობა სახელმწიფო კანცელარიასა და ბათუმს შორის დასრულდება. მხოლოდ ამის შემდგომ შევა (უკვე ოფიციალურად) ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში ბათუმიდან წამოსული მონაცემები.

გუშინ საღამოს კი საერთო სურათი ასე გამოიყურებოდა:

**ბლოკი "ახალი საქართველოსთვის" – 298 477 ხმა, "დემოკრატიული აღორძინების კავშირი" – 79 107 ხმა, "მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს" – 73 233 ხმა, "საქართველოს ლეიბორისტული (შრომის) პარტია" – 162 987 ხმა, "სააკაშვილი - ნაციონალური მოძრაობა" – 265 395 ხმა, "ბურჯანაძე – დემოკრატები" – 106 742 ხმა, "ახალი მემარჯვენეები" – 93 633 ხმა.**

# კახეთში შეიქმნა ოპოზიციური ფრონტი

ზვიად რუაძე
*კახეთიდან*

კახეთში საარჩევნო ვნებათაღელვა დღემდე არ ცხრება. გუშინ, ფილარმონიის შეკრების პარალელურად, თელავში მიტინგი მოაწყეს "ნაციონალური მოძრაობისა" და "ბურჯანაძე-დემოკრატების" კახეთის რეგიონის მხარდამჭერებმა. მიტინგი ერთ საათს გაგრძელდა და ექსცესებს ადგილი არ ჰქონია. ოპოზიციური პარტიების რაიონული ორგანიზაციების ლიდერები მხოლოდ ხელისუფლების საწინააღმდეგო განცხადებებს აკეთებდნენ. **"ჩვენ დღეს ხმამაღლა შეგვიძლია ვთქვათ, რომ ოპოზიციამ მეზვრიშვილის დიქტატურა დაამხო,"** - განუცხადა შეკრებილ საზოგადოებას "ტრადიციონალების" წარმომადგენელმა თელავში გოჩა მამაცაშვილმა. თავად მედეა მეზვრიშვილი კი, როგორც ჩანს, დამარცხებას უკვე შეეგუა და ასეთ კომენტარს აკეთებს: **"ყველაფერს ვეცადე, რომ თელავში არჩევნები დემოკრატიულად წარმართულიყო და შედეგიც სახეზეა."**

მიტინგის მონაწილე პოლიტიკური პარტიები შეთანხმდნენ ერთიანი ოპოზიციური ფრონტის დაფუძნებაზე. **"ამ ფრონტში მოხდება ამომრჩეველთა ხმების, უფლებების დაცვა,"** - ამბობს თელაველების რჩეული დეპუტატი თამაზ ხიდაშელი.



თბილისის აქციების მხარდამჭერი მანიფესტაცია თელავში.

თელავში გამართულ გამოსვლებს წინ უძღოდა სოფელ ბაკურციხეში კახეთის სამხარეო პოლიციის გაძლიერებული რეიდები. როგორც სამართალდამცავი უწყების თანამშრომლები აცხადებენ, მათი მუშაობის მკაცრ რეჟიმში გადასვლა უკავშირდება ქვეყანაში შექმნილ დაძაბულ მდგომარეობას. პოლიცია ძირითადად მოძრაობას უკრძალავდა სამგზავრო მიკროავტობუსებს. უნდა აღინიშნოს, რომ ბაკურციხის ავტომაგისტრალი კახეთის ექვს რაიონს აკავშირებს.

# მაჟორიტარული შედეგები

ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ ნანა დევდარიანმა ოთხშაბათს ის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატები დაასახელა, რომლებმაც წინასწარი მონაცემებით, პირველივე ტურში გამარჯვება მოიპოვეს.

როგორც ბრიფინგზე დევდარიანმა განაცხადა, პირველ ტურში გაიმარჯვეს: საგარეჯოში თენგიზ ოქროცვარიძემ (სახელისუფლებო ბლოკი "ახალი საქართველოსთვის"), გურჯაანში - ნიკოლოზ კვეზერელმა ("ახალი საქართველოსთვის" ), სიღნაღში - ნუგზარ შოშიაშვილმა (საინიციატივო ჯგუფი), დედოფლისწყაროში - ლაერტ ზუბადალაშვილმა ("ახალი საქართველოსთვის"), ყვარელში - ნანა პატარკაციშვილმა (საინიციატივო ჯგუფი), თელავში - თამაზ ხიდაშელმა (ბლოკი "სააკაშვილი - ნაციონალური მოძრაობა"), ახმეტაში - პავლე ცაძიკიძემ ("ახალი საქართველოსთვის"), ყაზბეგში - რევაზ სუჯაშვილმა (საინიციატივო ჯგუფი), კასპში - ლევან გზირიშვილმა (საინიციატივო ჯგუფი) ახალგორში - ცეზარ ჩოჩელმა ( "ახალი საქართველოსთვის"), ქარელში - აკაკი ყიფიანმა (ბლოკი "ახალი მემარჯვენეები"), ახალქალაქში - ჰამლეტ შახბეკიანმა (საინიციატივო ჯგუფი), ონში - დავით საგანელიძემ ("ახალი მემარჯვენეები"), ამბროლაურში - ნიკოლოზ ლეკიშვილმა (საინიციატივო ჯგუფი), ცაგერში - ავთანდილ სილაგაძემ ("ახალი საქართველოსთვის"), ლენტეხში - გოგი ლიპარტელიანმა ("ახალი საქართველოსთვის"), მესტიაში - ვიქტორ ჯაფარიძემ (საინიციატივო ჯგუფი), თერჯოლაში - ბეჟან ბუცხრიკიძემ (საინიციატივო ჯგუფი), ზესტაფონში - დავით მუმლაძემ ("სააკაშვილი - ნაციონალური მოძრაობა"), ბაღდათში - გიორგი მეფარიშვილმა ("ახალი საქართველოსთვის"), სამტრედიაში - ზვიად ძიძიგურმა ("სააკაშვილი - ნაციონალური მოძრაობა"), ოზურგეთში - ივანე ჩხარტიშვილმა (საინიციატივო ჯგუფი), ჩოხატაურში - ვასილ ჩიგოგიძემ ("ახალი საქართველოსთვის"), აბაშაში - თენგიზ კალანდაძემ ("ახალი საქართველოსთვის"), სენაკში - კახაბერ რუსიამ (ბლოკი "მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს"), მარტვილში - ფრიდონ რუხაიამ (საინიციატივო ჯგუფი), ხობში - გოდერძი ბუკიამ ("ახალი საქართველოსთვის"), ჩხოროწყუში - ვალერი იზორიამ (საინიციატივო ჯგუფი), ხულოში - ოთარ ღორჯომელაძემ ("დემოკრატიული აღორძინების კავშირი").

დევდარიანის ინფორმაციით, მეორე ტური შედგება თბილისის გლდანის რაიონში, სადაც ერთმანეთს დაუპირისპირდებიან კობა დავითაშვილი ("სააკაშვილი - ნაციონალური მოძრაობა") და გიორგი გუგავა ("ლეიბორისტული (შრომის) პარტია") , საბურთალოზე - გიორგი თარგამაძე ("სააკაშვილი - ნაციონალური მოძრაობა") და რევაზ შავიშვილი ("ახალი მემარჯვენეები"), საჩხერეში - ვალერი გელბახიანი (საინიციატივო ჯგუფი) და ვასილ ბახტურიძე ("ახალი საქართველოსთვის"), ასპინძაში - რამაზ თედორაძე ("ლეიბორისტული პარტია") და მალხაზ სანდროშვილი ("ახალი მემარჯვენეები"), ახალციხეში - ნუგზარ პარუნაშვილი (საინიციატივო ჯგუფი) და გოჩა გვარამაძე ("ახალი საქართველოსთვის"), თიანეთში - თამაზ მეჭიაური (საინიციატივო ჯგუფი) და ილია არჩემაშვილი ("ლეიბორისტული პარტია"), ლაგოდეხში - ლაშა ნაცვლიშვილი ("ახალი საქართველოსთვის") და ისაკო ცქიფურიშვილი (საინიციატივო ჯგუფი), ჭიათურაში - სერგო იაკობიძე (საინიციატივო ჯგუფი) და თენგიზ მოცრაძე ("ახალი საქართველოსთვის"), ლანჩხუთში - ბიძინა გუჯაბიძე ( "სააკაშვილი - ნაციონალური მოძრაობა") და ჯონი ფირცხალაიშვილი ("ახალი საქართველოსთვის"), ზუგდიდში - გოჩა ფიფია (საინიციატივო ჯგუფი) და გურამ აბსანძე (ბლოკი "ეროვნული თანხმობა - იბერიის გაბრწყინება"), წალენჯიხაში - გიორგი ფიფია ( "დემოკრატიული აღორძინების კავშირი") და გიორგი ცანავა ("ახალი მემარჯვენეები"), ფოთში - ზურაბ ნასარია ("ახალი საქართველოსთვის") და რომან მელია ("ბურჯანაძე-დემოკრატები"). **პრაიმ-ნიუსი**

## ორი სიტყვით

**თბილისი.** სახელისუფლებო ბლოკის ერთ-ერთი წარმომადგენლის ირაკლი ბათიაშვილის მოსაზრებით, ბაქოს მსგავსი მოვლენების განვითარება საქართველოში გამორიცხულია. ბათიაშვილის განცხადებით, უკვე მიმდინარეობს დიალოგი ოპოზიციის ზოგიერთ წარმომადგენელთან და არ არის გამორიცხული, რომ გარკვეული კონსენსუსის მიღწევა მოხერხდეს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**ზუგდიდი.** ზუგდიდის რაიონის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი გოჩა ფიფია გარკვეული პოლიტიკური ძალების მიერ მისი ფიზიკური ლიკვიდაციის მზადებაზე საუბრობს, თუმცა კონკრეტულ პოლიტიკურ ძალებს არ ასახელებს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** 2 ნოემბრის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ თბილისის საკრებულოც განახლებული შემადგენლობით ამოქმედდება. საკრებულოს 49 დეპუტატიდან 14-ს, რომელიც ახალი მოწვევის პარლამენტში შესვლის პერსპექტივის წინაშე დგას, ადგილობრივი თვითმმართველობის საარჩევნო სიის მომდევნო კანდიდატები შეცვლიან. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** სამგორის გამგეობასთან გუშინ სახელისუფლებო ბლოკის სამგორის რაიონის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატის პანტიკო თორდიას მხარდამჭერთა აქცია გაიმართა. აქციის მონაწილეები მხოლოდ მას შემდეგ დაიშალნენ, რაც საოლქო კომისიის თავმჯდომარემ პირობა მისცა, რომ დღეს დილისთვის კომისია ხმებს დაითვლის და საბოლოოდ გადაწყვეტილი იქნება, თუ ვინ გახდება სამგორის რაიონში მაჟორიტარი დეპუტატი. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** გუშინ აჭარის მეთაურმა ასლან აბაშიძემ ადგილობრივი ტელევიზიით გამოსვლისას აღნიშნა, რომ დღევანდელმა ცენტრალურმა ხელისუფლებამ "პრინციპულობა და სიმტკიცე უნდა გამოიჩინოს, კერძოდ, ქუჩამ ხელისუფლება არ უნდა შეცვალოს, ბრბომ არ უნდა გადაწყვიტოს ის, რაც კანონით გვარდება". **პრაიმ-ნიუსი**

გამომცემელი რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი). დამატებები: დედაქალაქი - დავით მაღრაძე, ლიტერატურა - მალხაზ ხარბედია, სამყარო - ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი - ნიკოლოზ რურუა, სტილი - ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა - ზაზა ფაჩუაშვილი, ბიზნესი - გიორგი კალანდაძე, საბავშვო - ვალერი ჯინჭარაძე. ფოტო: ბესო გულაშვილი (მენეჯერი). დიზაინი: გიორგი ხმალაძე. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, ბექა ბალარჯიშვილი, დავით გეგეჭკორი, დიმიტრი შალუტაშვილი, ირაკლი ბილაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, თამარ კვაჭანტირაძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურაბ ჯაოშვილი.

## აფხაზები თბილისში განვითარებულმა მოვლენებმა შეაშფოთა

აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი შამბამ განაცხადა, რომ შეშფოთებით ადევნებენ თვალყურს თბილისში ხელისუფლებისა და ოპოზიციის დაპირისპირებას. "ვითარება საგანგაშოა, რამდენადაც მეზობლად წარმოქმნილი დესტაბილიზაცია აფხაზურ მხარეს მონაწილეობის გარეშე არ დატოვებს", - აღნიშნა შამბამ.

მან იმედი გამოთქვა, რომ თბილისში არსებული ვითარება კონტროლიდან არ გამოვა.

"დაპირისპირება, შესაძლოა, ისეთ ჭრილში გადავიდეს, როდესაც აფხაზეთთან დაკავშირებით რევანშისტული განწყობა გაჩნდება, – განაცხადა მან, - მოვლენების ასეთმა განვითარებამ, შესაძლოა, ასევე რაღაც დროისათვის მოლაპარაკებები გაყინოს, რაც მხარეთა ინტერესებში არ შედის."

მისივე თქმით, აფხაზეთის სამართალდამცავი ორგანოები და ძალოვანი სტრუქტურები თბილისსა და საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში მიმდინარე მოვლენებს ყურადღებით აკვირდებიან. **პრაიმ-ნიუსი**

### ორი სიტყვით

**თბილისი.** ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაცია არ აფიქსირებს საკუთარ პოზიციას ოპოზიციური პარტიების დემონსტრაციებთან დაკავშირებით. როგორც ეუთო-ს დამკვირვებელთა მისიის წარმომადგენელმა ანდრეა მალნატიმ განაცხადა, ეუთო მხოლოდ სიტუაციას აკვირდება. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** "დემოკრატიული აღორძინების კავშირის" წევრი ჯემალ გოგიტიძე აცხადებს, რომ მას შემდეგ, რაც ცენტრალური საარჩევნო კომისია აჭარაში ჩატარებული საპარლამენტო არჩევნების შედეგებს მიიღებს, ყველა ის პოლიტიკური პარტია დაზარალდება, რომლებიც წინასწარი მონაცემებით, დღეს არსებული შედეგების მიხედვით ლიდერობენ. "აღორძინება" კი პარლამენტში ხმათა 30 პროცენტით მოვა. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** ხაშურის რაიონში „მრეწველების" მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი ვალერი გელაშვილი ხაშურის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს ტენდენციურობაში ადანაშაულებს და აცხადებს, რომ იგი ხელისუფლების სერიოზულ ზემოქმედებას განიცდის. არჩევნების შედეგების დაუყოვნებლივ გამოქვეყნების მოთხოვნით, ვალერი გელაშვილმა და მისმა მხარდამჭერებმა გუშინ საპროტესტო აქცია გამართეს. **მედია-ნიუსი**

## ფილარმონიიდან კანცელარიას ემუქრებიან

პირველი გვერდიდან

ერთმანეთთან "კონტაქტზე გასვლაში" ხელი შეუშალოს. გუშინ ფილარმონიაში გამართულ თავყრილობაზე არაერთხელ აღინიშნა, რომ პოლიცია მობილიზებულია და რაიონებიდან დაძრულ ხალხს თბილისისკენ არ უშვებს.

როცა ხალხი ვერ მიდის ლიდერებთან, მაშინ ლიდერები მიდიან ხალხთან - "ნაციონალური მოძრაობის" ხელმძღვანელი გუშინ რუსთავში, ხოლო "ბურჯანაძე-დემოკრატების" ლიდერი ქუთაისში გაემგზავრა. თბილისის დატოვების წინ სააკაშვილმაც და ბურჯანაძემაც საკმაოდ მწვავე განცხადებები გააკეთეს საქართველოს პრეზიდენტის მისამართით. პირველი მათგანი ირწმუნება, რომ **"შევარდნაძისთვის გამზადებული აქვს 14-ლარიანი პენსია და თუ პრეზიდენტი ჭკუაზე არ მოეგება, ამ პენსიას ის უკვე ხვალიდან მიიღებს."** თავის მხრივ, დღეს არსებულ რთულ ვითარებაზე პასუხისმგებლობას პარლამენტის თავმჯდომარე მთლიანად შევარდნაძეს აკისრებს და სამართლიანობის აღდგენისთვის ბრძოლაში ჩაბმულ თანამოაზრეებს სიმტკიცის გამოჩენისკენ მოუწოდებს.





"შევარდნაძის გათვლა, რომ დაგვშლიდა და დაგვაქუცმაცებდა, არ გამართლდა."

"ნაციონალებსა" და "ბურჯანაძე-დემოკრატებს" შორის "მეგობრული ურთიერთობის დამყარების" თაობაზე "საზოგადოების აზრით" ინტერესდება ზურაბ ჟვანია ფილარმონიაში. თავის კითხვაზე პასუხად ტაშის მიღების შემდეგ, "გაერთიანებული დემოკრატების" თავმჯდომარე აცხადებს: **"შევარდნაძის გათვლა, რომ დაგვშლიდა და დაგვაქუცმაცებდა, არ გამართლდა."**

ფილარმონიაში გამართულ შეკრებაზე, მართალია, ფრთხილად, მაგრამ მაინც გაიჟღერა 2 ნოემბრის არჩევნების შედეგების არცნობისა და ახალი საპარლამენტო არჩევნების ჩატარების იდეამ. ამ წინადადებას, ჯერჯერობით, არც თუ ბევრი მხარდამჭერი ჰყავს - ბოლოს და ბოლოს, არჩევნებში ოპოზიციამ გაიმარჯვა და თუ ხელისუფლება ამ წარმატებას აღიარებს, რაც არ უნდა მაღალი იყოს გაყალბების ხარისხი, ამ შემთხვევაში, ახალ არჩევნებზე საუბარი უკვე აზრს დაკარგავს.

## ულტიმატუმი

პირველი გვერდიდან

**ქობულეთის სასამართლომ სამი თვით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა; როგორც არჩევნების სერიოზული გამყალბებლები, თანამდებობიდან გათავისუფლდეს ყველა გამგებელი, გუბერნატორი და პოლიციის უფროსი. თუ ხელისუფლება ამ მოთხოვნებს არ შეასრულებს, ჩვენ პრეზიდენტ შევარდნაძის გადადგომას მოვითხოვთ და მას გავასამართლებთ,"** – აღნიშნული ულტიმატუმი სააკაშვილმა "იმელის" შენობის წინ წაიკითხა. ოპოზიციის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად ხელისუფლებას ორი დღე ეძლევა. ხვალ სამ საათზე ოპოზიცია ათმაგი ძალით გამოსვლას გეგმავს.

**"იმელის" შენობა ის ადგილია, სადაც 1993 წელს ირინა სარიშვილმა ხალხი დააჩოქა პრეზიდენტ შევარდნაძის წინაშე. დღეს, ათი წლის შემდეგ, ეს ის ადგილია, სადაც საქართველო ფეხზე წამოდგომას იწყებს. ამიერიდან ჩვენ არავის დავუჩოქებთ,"** – ათი წლის წინანდელი მოვლენების გახსენებისთვის სააკაშვილმა მქუხარე ტაში დაიმსახურა.

მან მომიტინგეებს აუწყა, რომ ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში მიმდინარეობს მანიპულირება – "აღორძინებას" ყველა უბანზე უმატებენ 200-200 ხმას, რათა "აღორძინებამ" "ნაციონალურ მოძრაობას" გაუსწროს. სააკაშვილმა ხალხს მოუწოდა, არ აყვნენ პროვოკაციას და მხოლოდ მშვიდობიანი ფორმით გამოხატონ თავიანთი პოზიცია. **"ჩვენ მხოლოდ მშვიდობიანად, შიშველი ხელებით უნდა ვიბრძოლოთ,"** – აცხადებს იგი.

**"პრეზიდენტ შევარდნაძის მხრიდან მიმდინარეობს ზეწოლა პროკურატურაზე და სასამართლოზე, რათა ჩვენ კანონდამრღვევებად გამოგვაცხადონ. ვინც ამას გაბედავს, სწორედ ის პროკურორი იქნება სამართალდამრღვევი. ჩვენ მოვიცილებთ ტირანიას! ჩვენ მოვიცილებთ უღირს ხელისუფლებას!"** – "ბურჯანაძე-დემოკრატებს" გუშინდელ მიტინგზე გია ბარამიძე წარმოადგენდა. მომიტინგეებთან იყვნენ ელდარ შენგელაია და გოკა გაბაშვილიც. ზურაბ ჟვანია პოლონეთის საელჩოს წარმომადგენლებთან შეხვედრაზე გახლდათ, ნინო ბურჯანაძე კი ქუთაისში იყო.

დღეს ოპოზიცია მთელი საქართველოს მასშტაბით საკუთარი მხარდამჭერების მობილიზებით იქნება დაკავებული. ხვალისთვის ოპოზიცია დედაქალაქში საქართველოს ყველა რეგიონიდან ათასობით ადამიანს ელის. **"ვინ თქვა, რომ ქართველი ხალხი დაიღალა და არ მოვა საკუთარი ხმის დასაცავად? გამოიხედონ საკუთარი ფანჯრებიდან - ქართველი ხალხი აქ არის..."** – გაამხნევეს მომიტინგეები ოპოზიციის ლიდერებმა. მომიტინგეთა მყუდროებას გუშინ ათასობით პოლიციელი უზრუნველყოფდა. ულტიმატუმის გამოცხადების შემდეგ მომიტინგეები დაიშალნენ.

გაერთიანებული ოპოზიციის მომდევნო მიტინგი ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ 2 ნოემბრის არჩევნების შედეგების გამოქვეყნებას დაემთხვევა.

## ეუთო-ს დამკვირვებლები რუსთავში ლამის გააგიჟეს

*რა საჭიროა კანონისა და სხვა ფორმალობების დაცვა, როცა გაქვს ძალა და გყავს ხალხი, რომელიც საჭიროების შემთხვევაში ყველაფერზე აგიწევს ხელს - ასეთი რეზიუმე შეიძლება გაუკეთდეს იმას, რაც გუშინ რუსთავის საოლქო საარჩევნო კომისიაში მოხდა.*

მაია მოსიაშვილი

ეუთო-ს გრძელვადიან დამკვირვებლებს და ჟურნალისტებს, რომლებიც 24 საათის განმავლობაში ელოდნენ გაუჩინარებულ გასაღებსა და კომისიის პასუხისმგებელ პირებს, დღის 12 საათზე განუცხადეს, სჯობია წახვიდეთ, თორემ კიდევ ერთი დღე და ღამე მოგიწევთ ლოდინი, რადგან 6 ნოემბრის 17 საათამდე აქ არავინ მოვაო.

ერთი საათის შემდეგ ფილარმონიაში მიხეილ სააკაშვილი გამოვიდა და თქვა, რომ რუსთავში წასვლას აპირებდა. ზუსტად ნახევარ საათში საოლქოს მოადგა ათეულობით მანქანა. კომისიის თავმჯდომარეს, მის მოადგილეს და ბოლო სამი დღის მანძილზე გაუჩინარებულ სხვა წევრებს თან ახლდა რამდენიმე ათეული მამაკაცი, რომლებიც კომისიის ოთახში განლაგდნენ და, ძირითადად, ჟურნალისტებისათვის ხელის შეშლით და აურზაურის პროვოცირებით იყვნენ დაკავებულნი. მათი იქ მიყვანით საოლქო კომისიის ძირითადმა ბირთვმა, რომელიც ხელისუფლებას წარმოადგენს, ძალის დემონსტრირება მოახდინა. გაიცა ბრძანება, ჟურნალისტებისა და კომისიის წევრების გარდა ყველა გარეთ გასულიყო. რომ არა ჟურნალისტების კატეგორიული მოთხოვნა, 30 გაურკვეველი ვინაობის, სავარაუდოდ, შეიარაღებული პირი, ოთახიდან არც გავიდოდა.

- თუ ვინმე ხმას ამოიღებს ან გააპროტესტებს იმას, რასაც ვიტყვით, ოთახს დატოვებს, - მაგიდაზე მუშტების ბრახუნით განამტკიცა ნათქვამი კომისიის თავმჯდომარის მოადგილემ ალეკო ედიშერაშვილმა და სასწრაფოდ გახსნა სხდომა. ის თავის თანამშრომლებთან და ეუთო-ს დამკვირვებლებთან ერთად შევიდა საცავში საუბნო ოქმების, საჩივრებისა და ჩანაწერთა წიგნების გამოსატანად, თუმცა იქიდან მხოლოდ საუბნო შემაჯამებელი ოქმები გამოიტანა.

**"რაც შეეხება საჩივრებს, ისინი კომისიამ განიხილა და დაასკვნა, რომ ისინი კანონით დადგენილი წესით არ არის შემოტანილი. კენჭი ვუყაროთ, რომ განხილვის გარეშე დავტოვოთ ყველა საჩივარი,"** - ედიშერაშვილის ეს განცხადება მოულოდნელი იყო დამკვირვებლებისთვის, პარტიებისთვის და ჟურნალისტებისთვის, რადგან წინა დღეს ის ამბობდა, რომ საჩივრები საცავშია და მათ კომისია პირველივე სხდომაზე განიხილავს.

- სად და რომელ სხდომაზე განიხილეთ, თუ შეიძლება ოქმი გვაჩვენეთ, - გაჩუმება ვერ შესძლო ეუთო-ს დამკვირვებელმა ჰანს გუტბროდმა, რომელიც 24 საათის განმავლობაში საცავის კართან გაუნძრევლად იდგა. ედიშერაშვილმა არც მას და არც სხვებს პასუხი არ აღირსა, სასწრაფოდ კენჭი უყარა საჩივრების არგანხილვას და ეს გადაწყვეტილება 11 ხმით მიიღო. კომისიამ ასევე პროცედურის და კანონის უხეში დარღვევით დაამტკიცა რაღაც ციფრები, რომელიც ედიშერაშვილს უბრალო ქაღადზე ჰქონდა ჩამოწერილი და მას არჩევნების შედეგებს უწოდებდა. ამ მონაცემების მიხედვით, სახელისუფლებო ბლოკის კანდიდატმა გიორგი სალაყაიამ (10445 ხმა) ნაციონალ ხევიაშვილს 4500 ხმით აჯობა. აღსანიშნავია, რომ იმ ქაღალდზე, სადაც ეს ციფრები ეწერა, ამ ორი კანდიდატის გასწვრივ ციფრები გადაშლილი და გადასწორებული იყო.

საოლქო კომისიის სხდომა რამდენიმე წუთში დამთავრდა, ამის შემდეგ თამჯდომარემ და მოადგილემ კომისია დატოვეს და თან წაიღეს ყველა ოქმი, საჩივარი და საოლქოს სარეგისტრაციო ჟურნალიც კი.

ეუთო-ს დამკვირვებლები რუსთავის საკითხზე გუშინ ნანა დევდარიანს უნდა შეხვედროდნენ. ცესკო-ს თავმჯდომარეს ობიექტურ ინფორმაციას მიაწვდის ნოდარ ეფრემიძეც, რომელსაც რუსთავში, N20 ოლქში ღამის თევაც მოუწია და ისიც კარგად დაინახა, თუ "რა ყარდა" საოლქო კომისიაში.




# როგორ მოვიპაროთ მილიონი?!

## ფინანსურ თაღლითობათა სახეობები

*ფულის შოვნის ყველაზე იოლი გზა რომ სხვისი ფულის მითვისებაა, ეს ანტიკურ ხანაშიც კი იყო ცნობილი. თუმცა მას შემდეგ ამ ფულის მითვისების საშუალებები და გზები ისე დაიხვეწა, რომ ახლა თითქმის ყოველდღე ათასობით დოლარი უხმაუროდ და უკვალოდ იკარგება.*

ეთერ მამულაშვილი

არსებობენ თაღლითები, რომლებსაც შეუძლიათ საკრედიტო ბარათის მფლობელი პირების შესახებ სხვადასხვა პერსონალური ინფორმაცია იოლად მოიპოვონ. მათთვის დიდ პრობლემას არ წარმოადგენს, სხვისი ფულის ინტერნეტ-მაღაზიებში დახარჯვა, საბანკო კრედიტების, საცხოვრებელი სახლების არენდით აღება და ა.შ. ონლაინ-თაღლითობის ყველაზე გავრცელებული სქემა დაახლოებით ასე გამოიყურება: მყიდველი იხდის ფულს ნავაჭრისთვის ინტერნეტ-მაღაზიებში, მაგრამ რეალურად იგი ღებულობს ნაკლები რაოდენობის ან ცუდი ხარისხის საქონელს. ინტერნეტ-მაქინაციების ანალიტიკური ცენტრის მონაცემებით, გასულ წელს ამგვარი დანაშაულის როდენობამ 27 პროცენტს მიაღწია.

თაღლითები ხშირად რომელიმე კომპანიის სახელით მყიდველებს ინტერნეტით სთავაზობენ ამავე კომპანიის აქციებს ან გარკვეული ინვესტიციების ჩადებას. სატყუარა ამ შემთხვევაში მაქსიმალური მოგებაა. მსხვერპლის ხაფანგში გასაბმელად თაღლითები ხშირად ამ კომპანიის შესახებ დაინტერესებულ პირებს არასწორ სტატისტიკურ მონაცემებს აწვდიან.

თაღლითებს საქველმოქმედო საქმეებისთვის შენაწირი თანხის გამოყენებაც მარტივად შეუძლიათ. ამერიკელთა 90 პროცენტზე მეტი ყოველწლიურად სხვადასხვა საქველმოქმედო საქმეებისთვის ათასობით დოლარს სწირავს. ამ ფულის საკუთარი სარგებლობისთვის გამოყენებას თაღლითები უკვე რამდენიმე წელია წარმატებით ახერხებენ. საამისოდ ძალიან მარტივი სქემა მუშაობს; კერძოდ: ისინი "ქმნიან" ფიქტიურ საქველმოქმედო ორგანიზაციებს, რომელსაც ამერიკელთა უმრავლესობა გარკვეულ თანხას სიამოვნებით სწირავს. განსხვავება ნამდვილ და ფალსიფიცირებულ საქველმოქმედო ორგანიზაციებს შორის მხოლოდ ის არის, რომ ამ უკანასკნელისთვის შეწირული მთელი თანხა თაღლითების ჯიბეებში ხვდება.

კიდევ ერთი თაღლითობის სქემა, რომელიც, შეიძლება ითქვას, საქართველოშიც წარმატებით მუშაობს. მას, ვისაც გახდომა სურს, ხშირად წონის დასაგდებ "ეფექტურ" საშუალებებს სთავაზობენ. ამ სასწაულმოქმედი პრეპარატის რეკლამა დაახლოებით ასეთია: ჩვენი პროდუქციის წყალობით სულ რაღაც ორ დღეში ან ერთ კვირაში თქვენ დაკარგავთ ზედმეტ წონას. თაღლითების "წყალობით" მოტყუებულ ადამიანს უკეთეს შემთხვევაში ხელში შერჩება უსარგებლო პროდუქტი, უარეს შემთხვევაში კი მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა ეჭვქვეშ დადგება.

თაღლითობა სადაზღვევო სფეროშიც გვხვდება. სადაზღვევო კომპანიები ხშირად კლიენტებს საკუთარ მომსახურეობას ძალიან დაბალ ფასებში სთავაზობენ. ეს კი ნიშნავს იმას, რომ ეს სადაზღვევო კომპანია მხოლოდ ქაღალდზე არსებობს, ან ის კლიენტთან ისეთ ხელშეკრულებას აფორმებს, რის შემდეგაც ზარალის საფასურს კლიენტი ვერ ღებულობს.

თაღლითები ტურიზმის სფეროშიც მრავლად არიან. არაკეთილსინდისიერი ბიზნესმენები ტურისტული მომსახურების სრულ პაკეტს ვითომდა შეღავათიან ფასებში ყიდიან, საბოლოოდ აღმოჩნდება, რომ შეპირებული ხუთვარსკვლავიანი სასტუმროს ნაცვლად მოტყუებული ადამიანი ყველაზე კარგ შემთხვევაშიც კი სამვარსკვლავიანში აღმოჩნდება.

ფინანსური "პირამიდა" თაღლითობის ყველაზე ფართოდ გავრცელებული სქემაა, რომელიც პირველად რამდენიმე ასეული წლის წინათ იქნა გამოყენებული. მიუხედავად ამისა, ფინანსური პირამიდის მსხვერპლთა რაოდენობა მაინც დღითი-დღე იზრდება. უკანასკნელად ერთ-ერთი ასეთი "პირამიდა" ამერიკის შეერთებულ შტატებში ამ ცოტა ხნის წინათ დაინგრა, რის შედეგადაც თითეულმა მსხვერპლმა სამ-სამი ათასი ამერიკული დოლარი დაკარგა. მაშინ ამ "პირამიდაში", დაახლოებით, შვიდი ათასი ადამიანი იყო ჩათრეული. თაღლითობის ეს სახეობა ორი-სამი წლის წინათ საქართველოშიც წარმატებით მუშაობდა.

არსებობს კიდევ ერთი თაღლითობის სახეობა, რომელიც მსოფლიოში "ნიგერიული წერილის" სახელით არის გავრცელებული. "წერილის მიმღებს" თაღლითები სთავაზობენ ნიგერიის, ლიბიის, მოზამბიკის და სხვა მსგავსი ქვეყნების ბანკებიდან ამერიკის ბანკებში რამდენიმე მილიონი დოლარის გადატანას. ამ წერილს, ძირითადად, ის პირები ღებულობენ, ვინც აფრიკის ქვეყნების პრეზიდენტების, მინისტრების, მეფეების, დიქტატორების მემკვიდრეებად ითვლებიან. ამ მომსახურების სანაცვლოდ თაღლითები საერთო თანხის მესამედს ან მეოთხედს მოითხოვენ. მსგავსი დანაშაულის სახეობის რაოდენობა შარშან მნიშვნელოვნად შემცირდა. თუკი 2001 წელს "ნიგერიული წერილის" მახეში გაება მსხვერპლთა საერთო რაოდენობის თითქმის 16 პროცენტი, 2002 წელს ეს მაჩვენებელი 1 პროცენტამდე შემცირდა.

### როგორ ავიცილოთ თავიდან ფინანსური მაქინაციები

აშშ-ს ფედერალური ბიუროს ექსპერტები რამდენიმე მარტივ რეკომენდაციას იძლევიან. ეს რჩევები ჩვენი მკითხველისთვისაც არ უნდა იყოს ურიგო:

თუკი რაღაც ძალზე მაცდუნებლად ჟღერს, ჩათვალეთ, რომ ეს "რაღაც" ხშირად მცდარია;

ფრთხილად იყავით რეკლამის მოსმენის დროს. შეიძლება რეკლამამ იოლად მოგატყუოთ, ამიტომაც არასდროს დაუჯეროთ რეკლამას; ყურადღებით წაიკითხეთ ხელშეკრულების თითეული პუნქტი და დარწმუნდით, რომ მასში თქვენთვის ყველაფერი გასაგებია. თუკი რომელიმე პუნქტი გაუგებარია, მოითხოვეთ მისი განმარტება;

თუკი რომელიმე პუნქტი ხელშეკრულებაში არ არის წერილობითი ფორმით დაფიქსირებული და მასზე მხოლოდ კერძო საუბრებში შეთანხმდით, იცოდეთ, რომ თქვენს მოტყუებას ცდილობენ;

ყოველთვის გაიგეთ ზუსტი მისამართი, ტელეფონი და სხვა კოორდინატები იმ კომპანიის, რომელიც თქვენ რაიმე მომსახურებას გთავაზობთ. შეეცადეთ, თქვენი წყაროების დახმარებით შეიტყოთ ამ კომპანიის შესახებ დამატებითი ინფორმაცია; არ ენდოთ იმ ორგანიზაციას, ფირმას, რომლის არც ერთი ოფისი თქვენს რეგიონში არ არის;

იმ შემთხვევაში, თუკი თქვენ ტელეფონით გთავაზობენ რაიმე კომერციულ წინადადებას, ყოველთვის მოითხოვეთ ინფორმაცია წერილობითი სახით, უარი თქვით ყველანაირ "კონფიდენციალურ" წინადადებაზე.

## ორი სიტყვით

**თბილისი.** საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია (IFC) ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის პროექტის განსახორციელებლად 250 მილიონ დოლარს გამოყოფს. ეს გადაწყვეტილება 4 ნოემბერს მიიღო ვაშინგტონში საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის დირექტორთა საბჭომ. გადაწყვეტილების თანახმად, IFC 125 მილიონი დოლარის ინვესტიციას განახორციელებს, დანარჩენ 125 მილიონ დოლარს კი კრედიტის სახით გამოყოფს. ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის პროექტის განხორციელების შედეგად 20 წლის განმავლობაში აზერბაიჯანი 29 მილიარდ დოლარს, საქართველო ტრანზიტიდან - 500 მილიონ დოლარს, თურქეთი კი 1,5 მილიარდ დოლარს მიიღებს. პროექტის განხორციელება 3,6 მილიარდი დოლარი ჯდება. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**მოსკოვი.** საგარეო სავაჭრო გაერთიანება "ტექნოპრომექსპორტმა" და "ენგურჰესმა" მოსკოვში ორწლიანი კონტრაქტი გააფორმეს ჰესის კაშხლის რეაბილიტაციასთან დაკავშირებით. კონტრაქტის ღირებულება 18 მილიონი დოლარით განისაზღვრება. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** საზოგადოებრივი ინვესტიციების პროგრამით, რომლითაც ინვესტორები ბაქო-ჯეიჰანის მილსადენის დერეფანში მოქცეულ სოფლებს აფინანსებენ, მარშრუტის გასწვრივ მდებარე სოფლებში ფერმერებს სათესლე კარტოფილი დაურიგდებათ. წალკასა და ახალციხის რაიონებში ამ პროგრამით 188 სადემონსტრაციო ფერმა მოეწყო, სადაც 1770 ტონა კარტოფილის მოსავალი უკვე მიიღეს. პროგრამის მიხედვით, ფერმერები მიღებულ კარტოფილს თანასოფლელებს სათესლედ დაურიგებენ. დღეისთვის 87 ფერმერმა სათესლე კარტოფილი 817 თანასოფლელს გადასცა. თითო კომლმა 10-20 კილოგრამამდე სათესლე კარტოფილი მიიღო. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** ბაქო-თბილის-ჯეიჰანის ნავთობსადენის პროექტზე დღეისთვის საქართველოს სულ 2632 მოქალაქეა დასაქმებული. უშუალოდ მილსადენის მშენებლობაზე საქართველოს 1083 მოქალაქე მუშაობს, აქედან 784 ადგილობრივი მაცხოვრებელია. ქვეკონტრაქტორი სამშენებლო ფირმების მიერ დასაქმებულია მილსადენის დერეფნის გასწვრივ მცხოვრები 280 ადგილობრივი მოსახლე და კიდევ საქართველოს 101 მოქალაქე სხვა ქალაქებიდან და რაიონებიდან. სამშენებლო ბანაკების, საქაჩი სადგურების და სხვა ობიექტების მშენებლობაზე ჩვენი ქვეყნის კიდევ 1168 მაცხოვრებელია დასაქმებული. ამ პროექტზე დასაქმებული უცხოელი სპეციალისტების რიცხვი დღეისთვის 437 შეადგენს. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** აზერბაიჯანელმა პოლიტოლოგმა როვშან ნოვრუზოღლუმ სენსაციური განცხადება გააკეთა. როგორც ცნობილია, საუდის არაბეთის შემდეგ ნორვეგია მეორე ქვეყანაა ნავთობის ექსპორტის მოცულობით. პოლიტოლოგმა დაიმოწმა შეერთებული შტატების ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს ანგარიში, რომლის მონაცემებით, ნორვეგიის ტერიტორიაზე უახლოესი 15 წლის განმავლობაში ნავთობის საბადოების მარაგი ამოიწურება. ფაქტობრივად, ნავთობის მსოფლიო ბაზარზე აზერბაიჯნული ნავთობის გამოჩენის შემდეგ ნორვეგიამ დაკარგა თავის ინვესტორთა 23 პროცენტი. პირველადი გამოკვლევების თანახმად, მათი 9 პროცენტი აზერბაიჯანზე "გადაერთო". **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** ავარიულად გამორთული მეცხრე ენერგობლოკის ამუშავება დღეისათვის არის დაგეგმილი. მანამდე "თელასი" მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზის – "კავკასიონის" მეშვეობით რუსეთიდან 120-130 მგვტ ელექტროენერგიას იღებს. **მედია-ნიუსი**

# "თელასს" "ქეი-ფი-ემ-ჯი" შეამოწმებს

მაია ურუშაძე

"თელასის" ხელმძღვანელობა კომპანიის 2003 წლის ფინანსური მდგომარეობის შესასწავლად აუდიტორთა "დიდი ოთხეულის" წარმომადგენლის – "ქეი-ფი-ემ-ჯის" ფილიალის მოწვევას აპირებს.

"თელასის" ფინანსური ანგარიშების შესამოწმებლად გამოცხადებულ ტენდერში მსოფლიოს აუდიტორთა "დიდი ოთხეულის" ოთხივე წევრი მონაწილეობდა. ტენდერში გამარჯვებული კომპანია ფინანსური პაკეტების გახსნის შემდეგ გამოვლინდა. არაოფიციალური ინფორმაციით, "ქეი-ფი-ემ-ჯიმ" "თელასის" აუდიტში მინიმალური თანხა მოითხოვა.

მომავალი აუდიტორის გამოსავლენად "თელასმა" ტენდერი "რაო ეეს როსიის" შემოსვლისთანავე გამოაცხადა. "რაოს" შემოსვლამდე ფინანსურ ანგარიშებს "თელასს" "დიდი ოთხეულის" წევრი, "ეი-ი-ეს" კორპორაციის აუდიტორი – "დელოიტ ენდ ტუში" უმოწმებდა. მასთან კონტრაქტი "ეი-ი-ეს სილკ როუდ ბი.ვი"-მ გააფორმა.

თუმცა, "თელასის" ფინანსური ანგარიშები არც "ქეი-ფი-ემ-ჯისთვის" არის უცხო. მას შემდეგ, რაც 2002 წელს "ეი-ი-ეს თელასმა" სემეკ-ში ელექტროენერგიის ტარიფის მომატების თაობაზე განცხადება შეიტანა, საქართველოს ელექტროენერგეტიკის მარეგულირებელმა ეროვნულმა კომისიამ კომპანიის ფინანსური ანგარიშებისა და "ტარიფების დაანგარიშების პოლიტიკის" შესამოწმებლად სწორედ "ქეი-ფი-ემ-ჯის" მოსკოვის ფილიალი მოიწვია.

მაშინ სემეკ-ს აუდიტორისგან "ეი-ი-ესის" მიერ ქალაქის ელექტროგამანაწილებელ ქსელში განხორციელებული ინვესტიციის ოდენობის განსაზღვრა და კომპანიის სახარჯო პოლიტიკის ეფექტურობის შესწავლა სურდა. მართალია, მაშინ "ქეი-ფი-ემ-ჯიმ" "ეი-ი-ესის" მიერ განხორციელებული ინვესტიციის ოდენობა დაადასტურა, მაგრამ, სამაგიეროდ, ეჭვი შეიტანა ხარჯვით ნაწილში. შედეგად, სემეკ-ს საშუალება მიეცა, "ეი-ი-ეს თელასისთვის" ელექტროენერგიის ტარიფის დაკლება მოეთხოვა.

ამჯერად "თელასში" "ქეი-ფი-ემ-ჯის" სომხეთის ოფისი იმუშავებს. ამის მიზეზი ისაა, რომ "დიდი ოთხეულის" საქართველოს წარმომადგენლობა საერთაშორისო კომპანიების შემოწმების ლიცენზიას არ ფლობს.

სხვათა შორის, "ქეი-ფი-ემ-ჯისთან" ურთიერთობა არც "თელასის" მფლობელისთვის იქნება ახალი. ამ კომპანიამ "რაო ეეს როსიის" აუდიტის უფლება მიმდინარე წლის გაზაფხულზე მოიპოვა. მანმდე "რაოს" ფინანსურ საქმიანობას ასევე "დიდი ოთხეულის" წევრი "პრაისუოთერსჰაუს კუპერსი" ამოწმებდა.

# შტატებში მსხვილი ფინანსური სკანდალი მწიფდება

ორშაბათს, ბოსტონში, შეერთებული შტატების ერთ-ერთი უმსხვილესი საპაიო ფონდის "პატენ ინვესტმენტის" ხელმძღვანელმა თანამდებობიდან გადადგომის შესახებ გადაწყვეტილება მიიღო. სამოცი წლის ლოურენს ლესერი იძულებული გახდა, ასეთი გადაწყვეტილება მას მერე მიეღო, რაც გასულ კვირას შტატების ბირჟისა და ფასიანი ქაღალდების ფედერლაურმა კომისიამ ფონდი კანონდარღვევაში დაადანაშაულა. კერძოდ, კომისიის შესაბამისი დასკვნის თანახმად, "პატენ ინვესტმენტმა" სავაჭრო წესები დაარღვია. კომისიამ ფონდის ორი მენეჯერი უკვე დაადანაშაულა თაღლითობაში. ხსენებული ფონდი შეერთებულ შტატებში საპაიო ფონდებს შორის მეხუთე ადგილზეა, რომლის განკარგულებაშია 272 მილიარდი დოლარის ღირებულების ფასიანი ქაღალდები.

საპაიო ფონდები უკანასკნელი რამდენიმე თვეა, რაც ამერიკაში მაკონტროლებელი ორგანოების ყურადღების ცენტრში მოექცა. რამდენიმე დღის წინათ ფასიანი ქაღალდების კომისიამ შტატების კონგრესს საკუთარი გამოძიების შედეგები წარუდგინა. კომისიამ 88 უმსხვილესი ფონდი და 34 საბროკერო სახლის ფინანსური მდგომარეობა შეისწავლა, რომლის დასკვნა შოკის მომგვრელი აღმოჩნდა. დასკვნის თანახმად, შემოწმებული კომპანიების მეოთხედზე მეტი სავაჭრო კანონმდებლობას უხეშად არღვევს.


მიღება ყოველდღე 10.00 - 22.00 (კვირის გარდა)

INTERCLINIC
ინტერკლინიკა

ბაზალეთის ქუჩა №7 (შესახვევი ფალიაშვილის მხრიდან)



ინტერკლინიკის პრიორიტეტია

მომსახურების მაღალი კულტურა,

ცოდნა,

პროფესიონალიზმი,

მსოფლიო სამედიცინო სიახლეების

და ტექნოლოგიების სწრაფი დანერგვა.

ულტრაბგერითი (ექოსკოპიური) კაბინეტი

აღჭურვილია Medison-ის ფირმის 2003 წლის ულტრათანამედროვე აპარატურით, რომელიც შესაძლებლობას გვაძლევს გამოკვლევები ჩატარდეს 3 განზომილებიან ფერად, ენერგეტიკულ და სპექტრულ რეჟიმებში. აქ მაღალი კვალიფიკაციის სპეციალისტები:

არჩილ ახმეტელი, დავით ტატანაშვილი, ნინო ახვლედიანი, მაია ინასარიძე

აწარმოებენ ყველა სახის ულტრაბგერით კვლევას.

სიახლე ულტრაბგერით კვლევაში:

[illegible] – დავით ტატანაშვილი.

[illegible] – არჩილ ახმეტელი.

[illegible] – მაია ინასარიძე.

[illegible]

პროფესიონალიზმი კომფორტი მისაღები ფასები

ენდოსკოპიური კაბინეტი აღჭურვილია 2003 წლის Pentax-ის ტიპის აპარატურით, [illegible] გოჩა ფირცხალაიშვილი. [illegible] თერაპიული კაბინეტი „ინტერკლინიკაში" [illegible] გიორგი გვილია. [illegible] ლაბორატორიული კვლევები [illegible]

კარდიოლოგიური კაბინეტი აწარმოებს ყველა სახის ფუნქციონალურ კვლევებს. [illegible] ნინო ინაიშვილის ხელმძღვანელობით [illegible]

ენდოკრინოლოგიური სამსახურის კონსულტანტია აღიარებული ექიმი დავით კეზელი, [illegible]

რენტგენომამოგრაფია – აღჭურვილია Simens Mamomat-ის ტიპის აპარატით, [illegible]

გინეკოლოგიური კაბინეტი



აღჭურვილია ულტრათანამედროვე მოდელის (Shimts-ის) [illegible]

კარდიოტოკოგრაფიის კაბინეტი აღჭურვილია Bionet-ის ფირმის ულტრათანამედროვე კომპიუტერიზირებული აპარატურით. [illegible] გინეკოლოგიური კაბინეტის ხელმძღვანელია აღიარებული გინეკოლოგი, ქირურგი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი გია ჩქუასელი. კაბინეტში პაციენტებს ეხმარებიან გამოცდილი ექიმები: ეკატერინე ტურბენევა (რეპროდუქტოლოგი), ნატა ბუზუშვილი (რეპროდუქტოლოგი), თამარ ალიბეგაშვილი (მეან-გინეკოლოგი, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი), ზაზა იმერლიშვილი (მეან-გინეკოლოგი).

ინდივიდუალური მიდგომა პაციენტის მკურნალობასა და დიაგნოსტირების მეთოდის შერჩევაში თქვენი ხვალინდელი დღის, თქვენი ჯანმრთელობის საწინდარია!



მოგვმართეთ: ბაზალეთის ქუჩა №7 ☎ 22 11 31

## რუმინეთისა და ბულგარეთის ევროკავშირში გაწევრიანება გადაიდო

გუშინ ევროკავშირმა საბოლოო მწვანე შუქი აუნთო აღმოსავლეთ ევროპის ათი ქვეყნის გაწევრიანებას. "ევროკომისია დარწმუნებულია, რომ 2004 წლის 1 მაისს ევროკავშირს ათი ქვეყანა შეუერთდება," – ნათქვამია კომისიის მიერ მომზადებულ მოხსენებაში.

მიუხედავად ოპტიმისტური განცხადებებისა, ევროკავშირმა საკმაოდ მკაცრად გააკრიტიკა პოლონეთი და კიდევ რამდენიმე ქვეყანა, რომელთაც ყველა მოთხოვნის შესრულება ვერ შეძლეს (2004 წელს ევროკავშირში უნდა შევიდნენ: ჩეხეთი, ესტონეთი, უნგრეთი, ლატვია, ლიტვა, პოლონეთი, სლოვაკეთი, სლოვენია, კვიპროსი და მალტა).

თუკი გაფართოების "პირველი ტალღის ქვეყნების" საქმე დადებითად გადაწყდა, "მეორე ტალღის ქვეყნების" - ბულგარეთისა და რუმინეთის ბედი ჯერ ისევ გაურკვეველია.

ყველაზე ცუდად აქვს საქმე რუმინეთს, რომელმაც კიდევ ვერ მიიღო "ფუნქციონირებადი საბაზრო ეკონომიკის" სტატუსი.

კომისია აცხადებს, რომ ამ სტატუსს რუმინეთს მხოლოდ მაშინ მიანიჭებს, თუ მომდევნო ერთ წელიწადში ქვეყანა მნიშვნელოვან პროგრესს მიაღწევს: "თუ რუმინეთს სურს გაუძლოს ევროპული ფირმების კონკურენციას, მან მნიშვნელოვანი სტრუქტურული რეფორმები სასწრაფოდ უნდა გაატაროს".

ევროკავშირში შემსვლელმა ყველა ქვეყანამ უნდა დააკმაყოფილოს ე.წ. "კოპენჰაგენის კრიტერიუმები", სოციალური, ეკონომიკური და პოლიტიკური ხასიათის მოთხოვნათა 30 ჯგუფი.

თუ რუმინეთს 2007 წლისათვის გაწევრიანება სურს, მაშინ 2004 წლამდე მან ყველა წაყენებული მოთხოვნა უნდა შეასრულოს.

მართალია, ბულგარეთმა რუმინეთზე გაცილებით უკეთესი შეფასება მიიღო, მაგრამ თუ რუმინეთის გაწევრიანება გადაიდო, ბულგარეთს მისთვის დალოდება მოუწევს. "ეს ცუდი ამბავია ორივე ქვეყნისათვის, რადგან ამან შეიძლება ორივეს გაწევრიანება გადადოს," – განაცხადა მთავრობის წარმომადგენელმა სოფიაში.

ანალიტიკოსების აზრით, თუ ამ ორი ქვეყნის გაწევრიანება 2008-2009 წლამდე გადაიდო, მაშინ ევროკავშირში ისინი შეიძლება ხორვატიასთან ერთად შევიდნენ

"როგორც ჩანს, 2007 წელი რუმინეთისათვის მეტისმეტად ოპტიმისტური თარიღი იყო არა მხოლოდ ეკონომიკის, არამედ სხვა მიზეზების გამოც," – ამბობს ევროპის რეფორმის ცენტრის ექსპერტი ჰიდერ გრები. სხვა მიზეზებში იგულისხმება კორუფცია, პრობლემები სასამართლო და ადმინისტრაციულ სფეროში, განუკითხაობა ენერგეტიკაში

რუმინეთის ხელისუფლება აღიარებს, რომ სტატუსის ვერმიღება ბუქარესტს ბრიუსელთან მოლაპარაკებას კიდევ უფრო გაურთულებს.

## Gucci Group ხელმძღვანელმა პირებმა დატოვეს

Gucci Group-ის დირექტორმა დომენიკო დე სოლმა და ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა ტომ ფორდმა განაცხადეს, რომ კომპანიის დატოვების გადაწყვეტილება მიიღეს. ორივემ საკუთარი გადაწყვეტილების შესახებ უკვე შეატყობინა კომპანიის სამეთვალყურეო საბჭოს. მათი კონტრაქტის ვადა 2003 წლის 30 აპრილს იწურება. დომენიკო დე სოლმა და ტომ ფორდმა 90-იან წლებში ფაქტიურად იხსნეს კომპანია და Gucci Group-ი მსოფლიოში სიდიდით მესამე კომპანიად აქციეს.

### ორი სიტყვით

**კოლომბო**. შრი-ლანკის პრეზიდენტმა ჩანდრიკა კუმარატუნგამ გუშინ ქვეყანაში საგანგებო მდგომარეობა გამოაცხადა. პრეზიდენტსა და პრემიერ-მინისტრს შორის გაცხარებული პოლიტიკური ბრძოლა მიმდინარეობს, რაც ტამილის ვეფხვებთან მიღწეულ სამშვიდობო შეთანხმებას ძირს უთხრის.

■ ■ ■

**რამალა**. პალესტინის ხელისუფლება პრეზიდენტ არაფატსა და პრემიერ-მინისტრ კურეის შორის წამოჭრილი დავის გადაჭრას ცდილობს. ლიდერები ერთმანეთს უსაფრთხოების სამსახურებზე კონტროლის გამო დაუპირისპირდნენ.

■ ■ ■

**პნომ პენი**. კამბოჯის სამმა წამყვანმა პოლიტიკურმა პარტიამ რამდენიმეთვიანი მოლაპარაკებების შემდეგ კომპრომისს მიაღწია. შეთანხმების თანახმად, პრემიერი ჰუნ სენი ახალ კაბინეტს დანიშნავს, მაგრამ თვითონ პოსტს შეინარჩუნებს.

# გუშინ პუტინის ევროპული ტურნე დაიწყო


REUTERS
ვლადიმირ პუტინი იტალიაში ჩავიდა.

ლევან ღირსიაშვილი

გუშინ იტალიაში რუსეთის პრეზიდენტის ვლადიმირ პუტინის სამდღიანი ოფიციალური ვიზიტი დაიწყო. ამ ხნის განმავლობაში ის იტალიის პრემიერ-მინისტრს სილვიო ბერლუსკონის, იტალიის ხელისუფლების სხვა მაღალი რანგის პირებს და რომის პაპს შეხვდება. ასევე დაგეგმილია ევროკომისიის წარმომადგენელთან რომანო პროდისთან შეხვედრა, რომლის დროსაც რუსეთისა და ევროკავშირის ურთიერთობების გაღრმავების თაობაზე ისაუბრებენ. დამკვირვებლები რომანო პროდისა და ვლადიმირ პუტინის ამ შეხვედრას მინი-სამიტადაც აფასებენ, რომელიც ევროკავშირში ათი ახალი ქვეყნის გაწევრიანებამდე რუსეთ-ევროკავშირის ბოლო სამიტი იქნება.

იტალიის და რუსეთის მედია ამ შეხვედრის მთავარი თემების შესახებ უკვე იუწყება. კერძოდ, რომანო პროდი და რუსეთის პრეზიდენტი ევროკავშირსა და რუსეთს შორის ეკონომიკური თანამშრომლობის ახალ პერსპექტივებზე ისაუბრებენ. რუსეთის ხელისუფლებას სურვილი აქვს, რომ ევროკავშირთან, დაახლოებით, ისეთივე დონეზე დაამყაროს ურთიერთობა, როგორც ეს ევროკავშირსა და ნორვეგიას შორისაა.

ამისათვის რუსეთის პრეზიდენტს იტალიაში თან ახლავს რუსეთის ენერგეტიკის მინისტრი იგორ იუსუფოვიც. მან ჟურნალისტებთან შეხვედრის დროს განაცხადა, რომ ევროკავშირ-რუსეთის სამიტზე მხარეები დეტალურად განიხილავენ რუსული გაზსადენის და საპორტო ტერმინალის მშენებლობაში იტალიური ფირმებისა და კომპანიების მონაწილეობას. კერძოდ, საუბარი შეეხება ჩრდილოევროპულ გაზსადენს, რომლის მშენებლობასაც ევროკავშირის ხელმძღვანელობა უჭერს მხარს, რაც, გარკვეულწილად, რუსეთისა და ევროპული ენერგეტიკული ბაზრის გაერთიანებასაც გულისხმობს. ამის თაობაზე სააგენტო "ბიბისი" იუწყება. რუსეთის ენერგეტიკის მინისტრის ცნობით, ვიზიტის ფარგლებში განხილული იქნება, კალინინგრადის ოლქში მშენებარე ელექტროსადგურის იტალიური წარმოების აღჭურვილობით მომარაგებაც.

ყველაფერ ამასთან ერთად, გათვალისწინებული უნდა იქნეს ის ფაქტორი, რომ იტალია, გერმანიის შემდეგ, რუსეთისათვის ნომერ მეორე სავაჭრო პარტნიორად არის გამოცხადებული.

იტალიის დედაქალაქთან ახლოს განთავსებულ სამხედრო-საჰაერო ბაზაზე დაფრენის შემდეგ, ვლადიმირ პუტინი იტალიის პრემიერ-მინისტრთან შესახვედრად გაეშურა. როგორც ცნობილია, ამჟამად სილვიო ბერლუსკონის ევროკავშირის თავმჯდომარის პოსტიც უკავია.

სააგენტო "ბიბისის" ცნობით, სილვიო ბერლუსკონი ამაყობს რუსეთის პრეზიდენტთან ახლო ურთიერთობების დამყარებით. თუმცა, რუსი უფლებათა დამცველები ცდილობდნენ, რომ ბერლუსკონის ყურადღება რუსეთში მიმდინარე მოვლენებისათვის, კერძოდ კი, "იუკოსის" გარშემო განვითარებული სკანდალისა და პატიმრობაში მყოფი მიხაილ ხოდორკოვსკის მდგომარეობისათვის მიეპყროთ.

იტალიაში ჩასული ვლადიმირ პუტინი აქტიურად ცდილობდა ჟურნალისტების დარწმუნებას იმაში, რომ რუსეთის ხელისუფლება კანონის და კონსტიტუციის შესაბამისად მოქმედებს. პარალელურად კი, რომში პრესკონფერენციას მართავდა თავად ხოდორკოვსკის ადვოკატი, რომელიც დაჟინებით ამტკიცებდა, რომ რუსეთის ყველაზე მდიდარი ადამიანის დაპატიმრებას პოლიტიკური სუნი ასდის.

რაც შეეხება სილვიო ბერლუსკონის, მან, რასაკვირველია, თავის რუს მეგობარს არ აწყენინა. იტალიის ხელისუფლებამ ყველასათვის გასაგები გახადა, რომ ის "იუკოსის" საქმეში ჩარევას არ აპირებს, რადგანაც ეს რუსეთის საშინაო საქმეა და მხოლოდ კრემლის მიერ არის გადასაწყვეტი. ეს, ცხადია, მოსალოდნელიც იყო.

ამასთან ერთად, გასათვალისწინებელია ის ფაქტორიც, რომ ევროპელი დამკვირვებლები სილვიო ბერლუსკონის მიიჩნევენ ყველაზე აქტიურ მომხრედ იმისა, რომ ევროპულ ოჯახში რუსეთის ინტეგრირება დაჩქარებული ტემპით წარიმართოს. გარდა ამისა, ბერლუსკონი მხარს უჭერს რუსეთის გაწევრიანებას მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაშიც.

პუტინის იტალიური ვიზიტის დროს, ხოდორკოვსკის მომხრეებთან და რუს უფლებადამცველებთან ერთად, ჩეჩნეთის რესპუბლიკა იჩქერიის წარმომადგენლებიც გააქტიურდნენ. მასხადოვის ხელისუფლებამ თხოვნით მიმართა იტალიის ხელისუფლებას და რომის პაპს, რათა მათ გავლენა იქონიონ პუტინზე და ჩეჩნეთში ომის შეწყვეტისაკენ მოუწოდონ.

თუმცა, ჯერჯერობით, იმის ნიშნები, რომ სილვიო ბერლუსკონი და რომის პაპი ჩეჩენთა თხოვნას ყურად იღებენ, არ ჩანს.

გუშინვე ვლადიმირ პუტინი კათოლიკური ეკლესიის ხელმძღვანელმა რომის პაპმა იოანე-პავლე მეორემაც მიიღო. ამ შეხვედრას დამკვირვებლები განსაკუთრებულად ადევნებენ თვალყურს, რადგანაც ბოლო პერიოდში რუსულ მართლმადიდებლურ ეკლესიასა და ვატიკანს შორის ურთიერთობები მკვეთრად დაიძაბა. ეს მას შემდეგ მოხდა, რაც რუსეთის პატრიარქმა ალექსი მეორემ ვატიკანს რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის წინააღმდეგ პროზელიტიზმში დასდო ბრალი.

მართალია, რომის პაპი, რუსულ მართლმადიდებლურ მრევლთან ურთიერთობის მოსაწესრიგებლად, დიდი ხანია, რუსეთში ვიზიტის სურვილს გამოთქვამს, მაგრამ ეს, ალბათ, ვერ მოხერხდება არა მხოლოდ იოანე-პავლე მეორის ავადმყოფობის გამო, არამედ იმის გამო, რომ ნაკლებად სარწმუნოა, პაპს ასეთი შეთავაზებით მისმა სტუმარმა პუტინმა მიმართოს.

ვლადიმირ პუტინის ვიზიტი იტალიაში პარასკევს დასრულდება, საიდანაც ის საფრანგეთში გაემგზავრება. პარიზში რუსეთის პრეზიდენტი თავის ფრანგ კოლეგას ჟაკ შირაკს შეხვდება.

# სენატორი მაკკეინი რუსეთის წინააღმდეგ ილაშქრებს


REUTERS
სენატორი ჯონ მაკკეინი.

ბუშის ადმინისტრაციას აშშ-ს კონგრესის წარმომადგენლებმა თხოვნით მიმართეს - თეთრი სახლის მეთაურმა რუსეთის პრეზიდენტი ვალდიმირ პუტინი **"საზღვარგარეთ ნეოიმპერიალიზმის მცდელობისა და ქვეყნის შიგნით ავტორიტარული კონტროლისათვის"** დასაჯოს. ამ მოთხოვნის ერთ-ერთი ავტორი სენატორი ჯონ მაკკეინია. მან განაცხადა, რომ ჯორჯ ბუშმა თავისი რუსი კოლეგა აღარ უნდა მიიწვიოს "დიდი რვიანის" მომავალ სამიტზე, რომელიც მომავალი წლის ივნისში აშშ-ში გაიმართება. მაკკეინის თქმით, შეერთებულმა შტატებმა რუსეთს ასევე საკრედიტო გარანტიებიც უნდა შეუწყვიტოს.

**"მცოცავი გადატრიალება დემოკრატიული ძალებისა და საბაზრო კაპიტალიზმის წინააღმდეგ რუსეთში, წარმოადგენს საფრთხეს რუსულ-ამერიკული ურთიერთობების საფუძვლისათვის და სათავეს უდებს ახალი ეპოქის, ცივი მშვიდობის ეპოქის დაწყებას რუსეთსა და შეერთებულ შტატებს შორის,"** - განაცხადა სენატორმა მაკკეინმა.

დამკვირვებელთა თქმით, ეს განცხადება არის ძალის პირველი დემონსტრირება ამერიკელი კონსერვატორების მხრიდან მიხაილ ხოდორკოვსკის დაპატიმრების შემდეგ.

კონგრესმენთა ამ მოთხოვნაზე ბუშის ადმინისტრაციის რეაქცია, ჯერჯერობით, უცნობია. თუმცა, სამშაბათს სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ აშშ-ს არ სურს "ნაჩქარევი დასკვნების გაკეთება" იმ საქმეებთან დაკავშირებით, რომელიც რუსეთის სამი წამყვანი ბიზნესმენის წინააღმდეგ არის აღძრული, თუმცა სახელმწიფო დეპარტამენტი ამ საქმეებს პოლიტიკურად მოტივირებულად მიიჩნევს. სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენელმა დასძინა, რომ რუსეთის წარმომადგენლებთან შეხვედრის დროს ამ თემაზე პირდაპირი საუბრები უკვე იყო.

სენატორი მაკკეინი კი თავისი და სხვა მემარჯვენე კონგრესმენების რეაქციას უფრო მკვეთრად აფიქსირებს. მან ჟურნალისტებთან შეხვედრაზე ისაუბრა რუსეთში მასობრივი საინფორმაციო საშუალებების ჩახშობაზე, ჟურნალისტების მკვლელობებზე და ათასობით მშვიდობიანი ადამიანის დახოცვაზე ჩეჩნეთში. მან ასევე დასძინა, რომ რუსეთის ფედერალური უშიშროების სამსახურისადმი წაყენებული არაოფიციალური ბრალდება 1999 წელს მოსკოვში საცხოვრებელი სახლების აფეთქებებში სრულიად საფუძვლიანია. როგორც ცნობილია, ამ ტერაქტებში დამნაშავეებად ჩეჩენი მებრძოლები გამოცხადდნენ, რაც ჩეჩნეთში მეორე ომის დაწყების საბაბი გახდა.

## გერმანულენოვანი პრესა პრეზიდენტის, საქართველოს და არჩევნების შესახებ

პირველი გვერდიდან

როგორც თურქმენი „მზე მეფე" ნიაზოვი და როგორც ყაზახეთის პრეზიდენტი ნაზარბაევი. ისინი ყველანი ადრე გორბაჩოვის გუნდს მიეკუთვნებოდნენ. მათ ყველას უნდოდათ საბჭოთა კავშირით 21-საუკუნეში შეებიჯებინათ. მათ თავიანთი ქვეყნები იმ წარსულში დააბრუნეს, რომელსაც მე-20 საუკუნესაც ვერ მიაკუთვნებ.

ისინი რეფორმატორებიდან ძალაუფლებას ჩაბღაუჭებულ ჭაღარა მოხუცებად იქცნენ," - ასეთ კომენტარს აკეთებს გერმანული გაზეთი **„ბერლინერ ცაიტუნგი"** თავის 4 ნოემბრის ნომერში საქართველოს პრეზიდენტის შესახებ, 2 ნოემბრის საპარლამენტო არჩევნებთან დაკავშირებით. არჩევნების ფაქტს აბსოლუტურად ყველა, დიდი თუ პატარა გერმანულენოვანი გამოცემა ეხმაურება, ტელერადიო საინფორმაციო გამოშვებებზე რომ არაფერი ვთქვათ. თითქმის ყოველი მათგანი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ თუკი წინა საპარლამენტო არჩევნებში შევარდნაძის ბლოკს ამომრჩეველთა 41-მა პროცენტმა დაუჭირა მხარი, დღეს ეს რიცხვი თითქმის განახევრდა. ავსტრიული გაზეთი **„დი პრესსე"** და გერმანული **„ზუდდოიჩე ცაიტუნგი"** მიიჩნევს, რომ ამ არჩევნებით შევარდნაძის იმედი, მისთვის სასურველი მემკვიდრის დატოვების შესახებ 2005 წლის საპრეზიდენტო არჩევნების ჩატარების დროს, სულ უფრო და უფრო არარეალური ხდება და გასული კვირის არჩევნები ამის დადასტურებას წარმოადგენს. „შევარდნაძე საქართველოს მოსახლეობის დიდი ნაწილისათვის კორუფციის, ეკონომიკური რეგრესის განსახიერებაა. მხოლოდ დასავლეთში არის ის ხატად მიჩნეული, თავის სამშობლოში კი ის უფრო და უფრო არაპოპულარული ხდება," - ამბობს ბერლინის მეცნიერებისა და პოლიტიკის ფონდის წარმომადგენელი, ექსპერტი კავკასიის საკითხებში უვე ჰალბახი (**„ფაინენშიალ ტაიმს დოიჩლანდი"**). კორუფციასთან დაკავშირებით გერმანული **„დი ველტ"** იმოწმებს დამოუკიდებელი ორგანიზაციის „ტრანსპარენსი ინტერნეშენალი"-ს მიერ ჩატარებული გამოკვლევის შედეგებს: „საქართველო, აზერბაიჯანთან ერთად, ერთადერთი ევროპული ქვეყანაა, რომელიც მსოფლიო კორუმპირებული სახელმწიფოების სათავეში დგას." **„ვიენერ ცაიტუნგი" და „დერ შტანდარტი"** ყველაზე პერსპექტიულ კანდიდატურად მომავალ საპრეზიდენტო არჩევნებში სააკაშვილს, ბურჯანაძესა და ჟვანიას ასახელებენ. საქართველო, რომლის უძლიერესი საოჯახო კლანი კორუფციაში იხრჩობა, შევარდნაძის შეცვლის გზაზე დგას. გზაზე, რომელსაც საქართველო ახალგაზრდა და ახალი სახეებისაკენ მიჰყავს".

შვეიცარიული გაზეთი **„ნოიე ციურიხერ ცაიტუნგი"** და გერმანული **„ფრანკფურტერ რუნდშაუ"** ეუთო-ს დამკვირვებელთა შეფასებების შესახებ იტყობინებიან: „ეუთო საქართველოს არჩევნებს განიხილავს, როგორც საერთაშორისო სტანდარტებისაგან საკმაოდ შორს მდგარს. გერმანული **„ჰანდელსბლატი"** აღნიშნავს, რომ „ეუთო-ს დამკვირვებლები აკრიტიკებენ უშიშროების ძალების მობილიზებას და მზადყოფნას 4 საარჩევნო უბანში. ამ ფაქტმა კიდევ უფრო გააძლიერა აზრი საარჩევნო პროცესში მთავრობის ჩარევის შესახებ". ავსტრიული გაზეთი **„დერ შტანდარტი"** აცხადებს, რომ „ეუთო აზერბაიჯანის საპრეზიდენტო არჩევნების მსგავსად, კრიტიკულად აფასებს საქართველოს საპარლამენტო არჩევნებს" და ეუთო-ს დამკვირვებლის, ბრუს ჯორჯის სიტყვების ციტირებას აკეთებს: „ჩვენ გვჯერა, რომ ამ ქვეყნის ადამიანები უკეთეს საარჩევნო სისტემას და საარჩევნო უფლების უკეთესად დაცვას იმსახურებენ". ასევე ავსტრიული გაზეთის **„დი პრესსე"**-ს კორესპონდენტი ელკე ვიდიში თბილისიდან იტყობინება: "მღელვარებანი საარჩევნო კამპანიის დროს, ქაოსი არჩევნების დღეს, დაძაბულობა ხმების დათვლისას: საპარლამენტო არჩევნებმა ამომრჩევლებს, პოლიტიკოსებსა და დამკვირვებლებს „სუნთქვა შეუკრა." არჩევნების დღეს საქართველოს ბევრ ქალაქში ადგილი ჰქონდა ძალადობასა და თავდასხმებს. ერთ-ერთი მიზეზი ამისა იყო ფალსიფიცირებული საარჩევნო სიები ათასობით მკვდარი სულებით. ეს მაშინ, როცა ამ საარჩევნო სიებში ფიქსირებულნი არ იყვნენ ცოცხალი ადამიანები და, მათ შორის, პოლიტიკოსებიც კი. დამკვირვებლები შიშობენ, რომ არჩევნების შედეგებმა ისედაც გამოფიტულ ქვეყანაში შეიძლება შემდგომი დესტაბილიზაციები გამოიწვიოს."

## ანტისემიტური სკანდალი გერმანიაში

გუშინ გერმანიის თავდაცვის მინისტრმა პიტერ შტრუკმა თანამდებობიდან გაათავისუფლა გერმანიის შეიარაღებული ძალების განსაკუთრებული ჯარების სარდალი ბრიგადის გენერალი რაინჰარდ გიუნცელი, რისი მიზეზიც ამ უკანასკნელის მხარდაჭერა გახდა იმ გერმანელი დეპუტატისათვის, რომელსაც ანტისემიტიზმში ედება ბარლი.

კერძოდ, ქრისტიან-დემოკრატიული კავშირის წევრის, გერმანიის ბუნდესტაგის დეპუტატ მარტინ ჰომანის განცხადებამ გერმანიაში დიდი სკანდალი გამოიწვია. მან 1917 წელს რუსეთის რევოლუციის დროს ებრაელთა მოქმედება ნაცისტების ქმედებას შეადარა.

ზოგიერთი მონაცემებით, ჰომანის განცხადებას გამოეხმაურა გენერალი გიუნცელი, რომელმაც დეპუტატს წერილი გაუგზავნა და სიმამაცისათვის შეაქო.

გერმანიის თავდაცვის მინისტრმა პიტერ შტრუკმა განაცხადა, რომ გიუნცელის შეხედულებები არმიაში არ არის პოპულარული. "საუბარი შეეხება მხოლოდ ერთ გენერალს, რომელსაც გონება აებნა და კიდევ უფრო მეტად გონებადაბნეულ დეპუტატ-კონსერვატორს დაუჭირა მხარი," - განაცხადა შტრუკმა.

სკანდალი გასულ კვირას გაღვივდა, როდესაც გაზეთებში მარტინ ჰომანის გამოსვლის ტექსტი დაიბეჭდა. ჰომანმა განაცხადა, რომ ებრაელები ისევე არიან დამნაშავენი რუსეთში რევოლუციის დროს მომხდარ ტრაგიკულ მოვლენებში, როგორც ნაცისტები – ჰოლოკოსტში. რამდენიმე დღის წინ დეპუტატმა ჰომანმა ინტერვიუ მისცა გერმანულ ტელეარხს "ცედეეფს", სადაც ბრიგადის გენერალ გიუნცელის წერილი წაიკითხა. "ეს იყო შესანიშნავი გამოსვლა, აბსოლუტური სიმამაცე, სიმართლე და სრული სინათლე. ჩვენს ქვეყანაში ასეთი რამის მოსმენა ან წაკითხვა იშვიათად თუ არის შესაძლებელი," - წერს გიუნცელი დეპუტატს.

გენერალი გიუნცელი გერმანიის ელიტარულ ჯარებს მეთაურობდა, რომლის ნაწილებიც რამდენიმე ხნის წინ ავღანეთის სამხედრო ოპერაციებში იღებდნენ მონაწილეობას.

პარალელურად, გერმანიის პროკურატურამ დაიწყო დეპუტატ ჰომანის გამონათქვამის გამოძიება და მის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმეც აღძრა.

ამის შემდეგ დეპუტატმა თავისი გამოთქმის გამო სახალხოდ მოიხადა ბოდიში და განაცხადა, რომ არც გერმანელების და არც ებრაელების დამნაშავეებად გამოცხადება არ შეიძლება. ქრისტიანულ-დემოკრატიულმა კავშირმა კი დეპუტატი ჰომანი, თავის მხრივ, დასაჯა და პარლამენტის ორი კომიტეტიდან გამორიცხა. თუმცა, დეპუტატთა გარკვეული ნაწილი ჰომანის დასჯას სრული სიმკაცრით მოითხოვს.

## გაერო კრიზისიდან გამოსავალს ეძებს

გაერო-ს გენერალური მდივანი ცდილობს, ორგანიზაცია კრიზისიდან გამოიყვანოს და მას ახალი სახე და როლი მოუძებნოს. ერაყის ომში გაერო-ს იგნორირებისა და ბაღდადში ამ ორგანიზაციის ოფისის აფეთქების შემდეგ, ყველასათვის აშკარა გახდა, რომ გაერო-ს მძიმე დღეები უდგას.

"გასულმა წელმა კოლექტიური უსაფრთხოების სისტემის საფუძვლები შეარყია და წარმოშვა სერიოზული ეჭვები იმასთან დაკავშირებით, თუ რამდენად შეუძლია ორგანიზაციას, საერთო პრობლემების გადაჭრაში თავისი წვლილი შეიტანოს," – აცხადებს ანანი და ახალი იდეების გენერირებას ცდილობს.

ახალ იდეებს ანანი, პირველ რიგში, 16-წევრიანი საგანგებო საბჭოსაგან ელოდება, რომელშიც ცნობილი სახელმწიფო მოღვაწეები შევიდნენ. საბჭოს მეთაურობს ტაილანდის ყოფილი პრემიერი ანანდ პანიარაჩუნი, რომელმაც თავის დროზე საკუთარ ქვეყანას დემოკრატია და ეკონომიკური პროგრესი მოუტანა. საბჭოში შევიდნენ რუსეთის ყოფილი პრემიერი ევგენი პრიმაკოვი, ჩინეთის ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრი ციან ციჩენი, აშშ-ს პრეზიდენტის ყოფილი მრჩეველი უშიშროების საკითხებში ბრენტ სკოუკროფტი და სხვები. "საბჭოს დანიშნულებაა, მოგვცეს ნათელი და პრაქტიკული რეკომენდაციები გაერო-ს მომავალთან დაკავშირებით," – აცხადებს გენერალური მდივანი.

ეს კი საკმაოდ რთული ამოცანაა. "ყველა ჩვენგანმა კარგად იცის, რამდენად ძნელი იქნება, საბჭომ ისეთი რეკომენდაციები შეიმუშაოს, რომლებიც ერთდროულად რეფორმატორულიც იქნება და მიღწევადიც," – ამბობს გერეტ ევანსი, საბჭოს წევრი და ავსტრალიის ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრი.

ზღვარზე

# საქართველო - საერთაშორისო საზოგადოებაზე დამოკიდებული ბენეფიციარი

IREX

სოფიკო ოხანაშვილი

*"მცირე შემოსავლიანობისა და მწირი ბიუჯეტის პირობებში, აუცილებელია საერთაშორისო ორგანიზაციების ჩართვა სოციალური პრობლემების მოგვარების საქმეში, რადგან, მწირი ბიუჯეტიდან გამომდინარე, სახელმწიფოს მოუგვარებელი რჩება მთელი რიგი პრობლემები, დაწყებული მრავალშვილიანების ოჯახებით, დამთავრებული მოხუცებით, რომლებიც სოციალურად დაუცველ ფენებს განეკუთვნებიან და, შესაბამისად, საჭიროებენ დახმარებასაც," - ასეთია საქართველოში შექმნილი და საერთაშორისო ორგანიზაციების თვალით დანახული სოციალური მდგომარეობა.*

ისეთი ქვეყნისთვის, როგორიც საქართველოა, სადაც, ფინანსური დეფიციტის გამო, ხელფასების, პენსიებისა და დახმარებების გაცემა ყოველთვის კითხვის ნიშნის ქვეშ დგას, სოციალური დავალიანებები კი დღითიდღე იზრდება, საერთაშორისო ორგანიზაციებს სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვთ - სანამ საქართველოს მთავრობა ამ პრობლემების მოგვარებას მოახერხებს, სოციალურად დაცვა კვლავ საერთაშორისო საზოგადოების ზრუნვის ობიექტად რჩება.

ამჟამად, საქართველოში 20 საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაცია ფუნქციონირებს. გაწეული დახმარებების მიხედვით, უმსხვილეს დონორებს წარმოადგენენ: აშშ, მსოფლიო ბანკი, ევროკავშირი, საერთაშორისო სავალუტო ფონდი (მთლიანი დახმარების დაახლოებით 70 პროცენტი). მათ შორის აშშ ლიდერობს. ამ ოთხეულის შემდეგ მოდიან ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი, გაეროს სააგენტოები (ერთად) და გერმანია.

საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ ჩატარებულმა გამოკვლევებმა აჩვენა, რომ საქართველოს სოციალურად დაუცველი მოსახლეობა კვლავინდებურად ყოველდღიური საჭიროებების დაკმაყოფილების დილემის წინაშე დგას. სახელმწიფო სისტემები კი ვერ ახერხებენ ყველაზე გაჭირვებული ფენებისათვის ადეკვატური დახმარების გაწევას. ამის გამო, საერთაშორისო ორგანიზაციები სოციალურად დაუცველობის ერთ-ერთ მთავარ მიზეზად ასახელებენ სწორედ შესუსტებულ სამთავრობო სტრუქტურებს, რომელთაც სათანადო დონის სოციალური კეთილდღეობისა თუ სხვა სახის დახმარების გაწევის უნარი არ შესწევთ.

საერთაშორისო ორგანიზაციების შეფასებით, ყველაზე შემაშფოთებელი არის ის ფაქტი, რომ არ არსებობს საკმარისი რაოდენობის დახმარების პროგრამები, რომელიც გაჭირვებულთა რიცხვის ზრდას შეაჩერებდა. იმის გამო, რომ საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ განხორციელებული დახმარება შეზღუდულია და მხოლოდ უკიდურესად დაუცველთათვის არის განკუთვნილი, მოსახლეობის ის ნაწილი, რომელიც, ყველაზე დაუცველ ფენებთან შედარებით, უკეთეს მდგომარეობაშია, მაგრამ მაინც ღარიბი, სოციალურად დაუცველი მოსახლეობის ფენას წარმოადგენს, დახმარებით ვერ სარგებლობს.

საერთაშორისო ორგანიზაციებმა პირველი მხარდამჭერი პროგრამების განხორციელება საქართველოში 90-იან წლებში დაიწყეს. USAID-მა, ევროკავშირთან და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებთან ერთად, აქტიურად დაიწყო ღარიბი ხალხის უზრუნველყოფა საკვებით, ტანსაცმლით, მედიკამენტებითა და დროებითი საცხოვრებელი ადგილით. თავდაპირველად, საერთაშორისო ორგანიზაციები ორიენტირებულები იყვნენ ძირითადად ჰუმანიტარული დახმარებების გაცემაზე. 2000 წლიდან ტენდენცია შეიცვალა და დონორებმა და საერთაშორისო ორგანიზაციებმა დაიწყეს განვითარებადი პროექტების განხორციელება.



*მხოლოდ უცხოელების იმედად...*

ალსანიშნავია, რომ საერთაშორისო ორგანიზაციების განსაკუთრებული ყურადღების ცენტრში არიან იძულებით გადაადგილებული პირები. საერთაშორისო ორგანიზაციების შეფასებით, დევნილთა შორის ჯერ კიდევ არსებობს სურსათით, ჯანდაცვითა და თავშესაფრით უზრუნველყოფის საჭიროება, რადგან **"სახელმწიფო შემწეობა საკმარისია დღეში მხოლოდ 500 გრამ პურის შესაძენად და არ ფარავს სხვა საკალორიო მინიმუმს, ოჯახის ჰიგიენისა და ჯანდაცვის საჭიროებებს. ამავე დროს მთავრობას არ შეუძლია დევნილთა ალტერნატიული თავშესაფრით უზრუნველყოფა. საცხოვრებლად ვარგისი თავშესაფრის საკითხი კვლავინდებურად რჩება იძულებით გადაადგილებულ პირთა ერთ-ერთ ძირითად და გადაუდებელ ჰუმანიტარულ საჭიროებად."**

საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ განხორციელებული კვლევის შედეგების თანახმად, დღესდღეობით საქართველოში რეგისტრირებულია 260 ათასზე მეტი იძულებით გადაადგილებული პირი. სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთში მომხდარი ეთნოკონფლიქტის შედეგად, მათ მძიმე პირობებში უწევთ ცხოვრება და დიდად არიან დამოკიდებულნი საერთაშორისო დახმარებაზე. იძულებით გადაადგილებულ პირთა უმრავლესობა მთლიანად დამოკიდებულია სახელმწიფო შემწეობაზე, რომელიც ხშირად დაგვიანებით რიგდება.

საერთაშორისო ორგანიზაციების მტკიცებით, აუცილებელია კონფლიქტურ ზონებში ჰუმანიტარული დახმარების გაგრძელება, რადგან ხელისუფლების მიერ დევნილთათვის განხორციელებული პროგრამები საკმაოდ შეზღუდულია და ითვალისწინებს მხოლოდ: სახელმწიფო შემწეობების დარიგებას (ყოველთვიურად 11 ლარი კოლექტიურ ცენტრებში და 14 ლარი კერძო სექტორში მცხოვრები - იძულებით გადაადგილებულ პირთათვის); უფასო მეტრო და ელექტროტრანსპორტი თბილისში რეგისტრირებული, ხოლო 100 კვ/საათი უფასო ელექტროენერგია თვეში და უფასო კომუნალური მომსახურება კოლექტიურად დასახლებული იძულებით გადაადგილებულ პირთათვის.

საერთაშორისო ორგანიზაციები სოციალურ პროგრამებს, კონფლიქტური ტერიტორიების გარდა, საქართველოს სხვადასხვა რეგიონებშიც ახორციელებენ. უკვე მეხუთე წელია, რაც USAID აფინანსებს საქართველოში ზამთარის გათბობის უზრუნველყოფის პროგრამას (GWHAP), რომელიც უზრუნველყოფს 296 ათასზე მეტ ადამიანს, მათ შორის ხანდაზმულებს, ასევე საავადმყოფოებს, სამშობიაროებს, უპატრონო ბავშვთა სახლებს, საბავშვო ბაღებსა და იძულებით გადაადგილებულ პირთა კომპაქტურ დასახლებებს. USAID სურსათით ეხმარება უმწეო პენსიონერებს თბილისში, რუსთავში, გორში, ქუთაისსა და წალენჯიხაში. 2003 წლის აპრილიდან კი, მსოფლიო სასურსათო პროგრამა სოციალურად დაუცველ პირებსა და დაწესებულებებს სურსათით უზრუნველყოფს.

***პუბლიკაციათა ეს ციკლი "24 საათმა" მოამზადა ამერიკის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) ფინანსური დახმარებით, საერთაშორისო კვლევისა და გაცვლების საბჭოსგან (IREX) მიღებული გრანტის მეშვეობით. მიუხედავად ამისა, მხოლოდ "24 საათი" აგებს პასუხს მათ შინაარსზე. პუბლიკაციებში გამოთქმული მოსაზრებები, შესაძლოა, არ გამოხატავდეს საერთაშორისო კვლევისა და გაცვლების საბჭოს (IREX), კავკასიაში ამერიკის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს წარმომადგენლობის (USAID/Caucasus MIssion) ან ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის ოფიციალურ პოზიციას.***

## ორი სიტყვით

**თბილისი.** დედაქალაქი კვლავ აჭრელებულია წინასაარჩევნო პლაკატებითა და ბილბორდებით. საარჩევნო კოდექსის თანახმად, არჩევნების საბოლოო შედეგების ოფიციალურად გამოქვეყნებიდან 15 დღის ვადაში თავად საარჩევნო სუბიექტებმა უნდა უზრუნველყონ სააგიტაციო მასალების ჩამოხსნა, წინააღმდეგ შემთხვევაში, გარდა სასამართლოს მიერ განსაზღვრული ჯარიმისა, მათ ქალაქისთვის მიყენებული ზარალის გამო, სხვა გადასახადიც დაეკისრებათ.

როგორც ადმინისტრაციული ზედამხედველობის ინსპექციაში აცხადებენ, ქალაქისათვის მიყენებულ ზარალს შეაჯამებს რაიონული გამგეობების ის შესაბამისი სამსახურები, რომლებიც თბილისში განთავსებულ სააგიტაციო მასალების ჩამოხსნას ივალდებულებს. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** ცენტრალური უბნების რამდენიმე ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში სასწავლო პროცესი პარალიზებულია, რაც, სავარაუდოდ, ოპოზიციურ პარტიათა მიერ დაგეგმილ ფართომასშტაბიან საპროტესტო აქციებს უკავშირდება. ცნობილი გახდა, რომ ამ სკოლების ხელმძღვანელობა გუშინ თავად უკავშირდებოდა მოსწავლეთა ოჯახებს და ბავშვების სკოლებში გაშვებისგან თავის შეკავებას ურჩევდა.

განათლების სამინისტროში აცხადებენ, რომ სკოლების ხელმძღვანელობას სასწავლო პროცესის შეჩერების უფლება მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევაში აქვთ. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქალაქო ელექტროტრანსპორტს გაჩერება ემუქრება, ვინაიდან საქართველოს ელექტროენერგიის საბითუმო ბაზარმა პარასკევამდე ელექტროენერგიის საფასურის დავალიანების გადახდა მოითხოვა. წინააღმდეგ შემთხვევაში, საბითუმო ბაზარი მიმართავს თელასს და საწარმოს ენერგომომარაგების შეწყვეტას დაავალებს. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** დავით აღმაშენებლის გამზირზე ყველაზე მეტად ავტოტრანსპორტის მოძრაობა გერმანიის საელჩოსთან არის შეფერხებული. სწორედ აქ, ძირითადად, პიკის საათებში დიდი საცობები იქმნება. საგზაო პოლიციის ცნობით, ამ ადგილზე მოძრაობის მოწესრიგების ყველა მცდელობა უშედეგოა. საცობები იქმნება იმის გამო, რომ საელჩოსთან სავალ ნაწილი შემცირებულია ავტოსადგომის მოწყობის გამო. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** განათლების სამეურნეო საქალაქო სამსახურმა დედაქალაქის სკოლების საწვავით მომარაგებაზე ტენდერი გამოაცხადა. ამჟამად კვლავ გრძელდება სატენდერო პაკეტების მიღება, ხოლო გამარჯვებული 12 ნოემბერს დასახელდება.

განათლების საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილის ზურაბ ქოჩიაშვილის ცნობით, თბილისის 207 სკოლასა და 180 სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების გათბობის სისტემათა და საწვავით მომარაგების შესახებ დადგენილებაზე მუშაობა, ჯერჯერობით, არ დასრულდება. სკოლების საწვავით მომარაგებისთვის კი, სავარაუდოდ, 0,5 მლნ ლარია საჭირო. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** მერიაში „თბილისობის“ დღესასწაულის აღსანიშნავად უმწეო ოჯახებისთვის შეპირებული ოცდაათლარიანი ერთჯერადი დახმარების გაცემა დაიწყო. თბილისის მერიის მთავარი ბუღალტერის ლენა ნიკურაძის განცხადებით, დღეისათვის გაცემულია 5.250 ლარი. თანხა გადანაწილდა 1.758 უმწეო ოჯახზე. რაც შეეხება საპირველსექტემბრო ოცდაათლარიან დახმარებებს, დედაქალაქის ბიუჯეტს ეს დახმარებები სრულად არ დაუფარავს. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** განათლების სამინისტროს ჰარმონიული განვითარების ცენტრის ინიციატივით, შეიქმნა თეორიული საგნების პედაგოგთა საზოგადოება, რომელიც საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში არსებული მუსიკალური სტუდიებისთვის მეთოდური და პრაქტიკული რეკომენდაციების შემუშავებას ითვალისწინებს.

განსაკუთრებით რთული ვითარებაა ამ თვალსაზრისით რეგიონებში. თეორიული საგნების პედაგოგთა საზოგადოების მიზანია ადგილობრივი მუსიკალური სტუდიების პრობლემების გარკვევა, შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება და იქ დასაქმებული პედაგოგებისთვის კვალიფიკაციის ასამაღლებელი ლექცია-სემინარების ჩატარება. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** ბაქო-ჯეიჰანის მილსადენის მარშრუტის გასწვრივ მდებარე სოფლებში ფერმერებს სათესლე კარტოფილი დაურიგეს. ფერმერებს ეს დახმარება გაუწიეს საზოგადოებრივი ინვესტიციების პროგრამით, რომელსაც ინვესტორები მილსადენის დერეფანში მოქცეულ სოფლებში აფინანსებენ. **მედია-ნიუსი**

# დაიცავით დედების უფლებები

## ეს ყველასთვის სასარგებლოა

*საქართველოში მომუშავე ორსულებისა და მომუშავე მეძუძური დედების მონიტორინგი ტარდება. "ძუძუთი კვების საერთაშორისო კავშირის" (WABA) დახმარებით, საქართველოს ბავშვთა ინტერესების დამცველ არასამთავრობო ორგანიზაციათა რეგიონალური ქსელის კოორდინატორი ორგანიზაცია "კლარიტასი", მონიტორინგს "დედების დაცვის" პროექტის ფარგლებში ახორციელებს. პროექტი, წინასწარ შემუშავებული კითხვარის გამოყენებით, 90 მომუშავე ორსულის, ამდენივე მომუშავე მეძუძური დედისა და დამქირავებლის გამოკითხვას ითვალისწინებს. გამოკითხვა სამუშაო ადგილებისა და ხასიათის მიუხედავად ტარდება. პროექტი 6 ოქტომბერს დაიწყო და 10 დეკემბერს დასრულდება. მისი მიზანი გახლავთ იმის დადგენა, თუ როგორ ინერგება ჩვენთან შრომის N183 საერთაშორისო კონვენციისა და საქართველოს შრომის კანონთა კოდექსის მოთხოვნები, დედების უფლებების დაცვის თვალსაზრისით.*

მაკა ჭაიანი

არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებიც დასაქმების საკითხებზე მუშაობენ, მრავალად ასახელებენ ფაქტებს, როცა ქალს სამსახურზე უარი ორსულობის ან ძუძუთი ბავშვის ყოლის მიზეზით უთხრეს. ასეთი ფაქტები, როგორც წესი, არ ხმაურდება. მათ გახმაურებაზე ქალები თვითონ იკავებენ თავს. მიზეზი ერთადერთია – თუ შეიძლება ასე ითქვას, სახელის გატეხის შიში და შემდგომში სამუშაოს შოვნის შესაძლებლობის დაკარგვა. ისინი, ფაქტობრივად, ხელს უწყობენ საკუთარ დისკრიმინაციას. ასეა თუ ისე, ორსული და მეძუძური დედების უფლებებს არა მარტო საქართველოს შრომის კანონთა კოდექსი, შრომის საერთაშორისო კონვენციაც იცავს. როგორც აღმოჩნდა, მათი შინაარსი კი ბევრისთვის უცნობია.

კონვენციის მოთხოვნების საფუძველზე, შრომის კოდექსი ქალებს უკანონებს არა მარტო ორსულობისა და მშობიარობის გამო ანაზღაურებადი შვებულების აღების უფლებას, როგორც მშობიარობამდე, ისე მშობიარობის შემდეგ, არამედ უფლებას, მუშაობის არანაკლებ ერთი წლის საერთო სტაჟის არსებობის შემთხვევაში, იქამდე, ვიდრე ბავშვი წლინახევრის გახდება, ნაწილობრივ ანაზღაურებული შვებულებით ისარგებლოს. როცა ქალს ასეთი სტაჟი არა აქვს, დახმარება განახევრებული ოდენობით მიეცემათ. ნაწილობრივ ანაზღაურებული შვებულება შეიძლება გამოყენებულ იქნეს მთლიანად ან ნაწილ-ნაწილ ნებისმიერ დროს, ვიდრე ბავშვი წლინახევრის გახდება. ასეთი შვებულება ითვლება მუშაობის საერთო და უწყვეტ სტაჟში. პარალელურად, ქალს შეუძლია იმუშაოს არასრული სამუშაო დროის პირობებში ან სახლში. ასეთ ან დამატებით უხელფასო შვებულებას, ბავშვის მოვლის მიზნით, იღებენ ოჯახის სხვა წევრებიც.

გარდა ამისა, ქალს შეუძლია აიღოს დამატებითი უხელფასო შვებულება, ბავშვის მოსავლელად, ვიდრე ის სამი წლის ასაკს მიაღწევს, მთლიანად ან ნაწილ-ნაწილ. ამ ხნის განმავლობაში დედას სამუშაო ადგილი ენახება. ამასთან, ქალებს, რომელთაც წლინახევრის ასაკამდე შვილი ჰყავთ, საერთო შესვენების გარდა, მის გამოსაკვებად, დამატებითი შესვენება ეკუთვნით. ასეთი შესვენება მათ ეძლევათ, სულ ცოტა ყოველ სამ საათში, თითოეული არანაკლებ ოცდაათი წუთისა. თუ ქალს ამ ასაკის ორი ან მეტი ბავშვი ჰყავს, შესვენების ხანგრძლივობა ერთ საათამდე იზრდება. ეს დრო სამუშაო დროდ ითვლება და საშუალო ხელფასის მიხედვით ნაზღაურდება. აკრძალულია ქალისთვის სამუშაოზე მიღებაზე უარის თქმა ან ხელფასის შემცირება ორსულობის ან სამ წლამდე ასაკის ბავშვის ყოლის მოტივით. ამგვარი უარი წერილობითი ფორმით უნდა ეცნობოს ქალს და, შესაბამისად, გასაჩივრების საფუძველიც ხდება.

ყველაფერი ეს იმისთვის არის საჭირო, რომ კითხვის ნიშნის ქვეშ აღარ დადგეს ბავშვის გაჩენა, მისი სათანადო მოვლა, დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობა, ოჯახის საერთო შემოსავალი, კვალიფიციური კადრების შენარჩუნება, ქალთა საქმიანობის ეფექტურობა. დედათა და ბავშვთა კეთილდღეობა ნებისმიერი ქვეყნის განვითარების სავიზიტო ბარათია. თუ ჩვენი სახელმწიფო (არ ვგულისხმობთ მხოლოდ ხელისუფლებას) სერიოზულად ფიქრობს თავის მომავალზე, მართლაც უნდა, საქართველო ჯანსაღი და სრულფასოვნად განვითარებული ადამიანების ქვეყანა იყოს, ეს უფლებები ცხოვრებაში რეალურად უნდა განახორციელოს. ჯერჯერობით, ჩვენი ხელისუფლება ადამიანთა უფლებების დეკლარირებით შემოიფარგლება. მონიტორინგი, რომელსაც "კლარიტასი" ახლა ახორციელებს, ამის ერთ-ერთი დადასტურება შეიძლება გახდეს. დაველოდოთ მის შედეგებს. მათ შესახებ ჩვენს მომდევნო ნომრებში მოგითხრობთ.

# ჩვეული ხერხი მიწისძვრით დაზარალებულთა ჩასაჩუმებლად

ნანა ქადაგიშვილი

*საარჩევნო ციებ-ცხელებაში მიწისძვრით დაზარალებულებისთვის, ბუნებრივია, არავის სცალია. რა დროს მიწისძვრით დაზარალებულთა ფონდია, როცა პენსიები და ხელფასები ვერ დაგვირიგებია, ბიუჯეტში შემოსავლები არ არისო, აცხადებს ფინანსთა სამინისტრო. ჩვენს სახელმწიფო ბიუჯეტში შემოსავლების ნაკლებობა, მით უმეტეს არჩევნების შემდგომ, არავის აკვირვებს, მაგრამ ეს ჭერჩამონგრეულ და კედლებდაბზარულ სახლებში მცხოვრებთათვის ვერაფერი შეღავათია. რამდენიმე დღის წინათ თბილისში კიდევ სამი სახლი ჩამოინგრა და მალე მათ ბედს კიდევ ერთი გაიზიარებს.*

მთაწმინდა-კრწანისის რაიონში ამაღლების ქ. №2-ში მდებარე სახლს სახურავი ჩამოენგრა, პუშკინის ქ. №17 სახლის ნაწილი კედლებიან-სახურავებიანად ჩამოიშალა, ჩუღურეთის რაიონში სხულუხიას ქ. №5-ში მდებარე სამსართულიან სახლს კი კედელი ჩამოენგრა, იგივე საფრთხე ემუქრება მის მომიჯნავე №7-ში მდებარე სახლს. ორივე სახლში 20 ოჯახი ცხოვრობს. ამ შენობებს მიწისძვრის შემდეგ ავარიულობის მესამე კატეგორია მიანიჭეს. როგორც მერია ამბობს, პუშკინის ქ. №17 დღევანდელ მდგომარეობამდე მობინადრეების, ბუზუკაშვილების ოჯახის სიჯიუტემაც მიიყვანა, მაგრამ დანარჩენ სახლებზეც ამას ხომ ვერ ვიტყვით.

თავის დროზე, როცა ხელისუფლება მიწისძვრით დაზარალებულთა დახმარების ფონდს 4 მილიონის გამოყოფას შეპირდა, დაზარალებულებმა ასეთი მცირე თანხა შეურაცხყოფად მიიღეს. ფონდს ამ თანხით ათასობით დაზარალებულთათვის თავშესაფრებიც უნდა ეყიდა და მათთვის ფულადი კომპენსაციაც მიეცა. მერიასა და საკრებულოს ჩხუბიც კი მოუვიდათ, ეს 4 მილიონი ხალხისთვის რა ფორმით გაენაწილებინათ. ბოლოს კი ყველაფერი იქამდე მივიდა, რომ თანხა სანატრელი გახდა. ხელისუფლებამ ხალხის უკმაყოფილების ჩასახშობად ჩვეულ ხერხს მიმართა, შეპირებული 4 მილიონი გაანახევრა და ფონდში დღემდე ერთი თეთრიც არ გადაურიცხავს. ასე რომ, ოღონდ ფონდში რაიმე თანხა შევიდეს და მის სიმცირეს ვინლა ჩივის. ამასობაში კი, სახლები დღითიდღე ინგრევა და მოსახლეობას შორის დაპირისპირებაც ხშირდება. კვირა არ გავა, ქალაქის ძველ უბნებში მცხოვრებლებმა აქცია არ მოაწყონ და მათ მეზობლად მრავალსართულიანი სახლების მშენებლებს არ უჩივლონ, მშენებლობა ჩვენს ისედაც დანგრეულ სახლებს უარეს მდგომარეობაში აგდებსო. ზოგის საჩივარს მართლაც რეალური საფუძველი აქვს, ზოგიც გამორჩენის მიზნით ყვირის, ხელისუფლება არ მეხმარება და ეგებ მდიდარ კაცს რაიმე გამოვტყუოო. ასეთი ფაქტების შესახებ "24 საათს" არაერთხელ დაუწერია. ყველაფერში დამნაშავე კი ხელისუფლებაა. თუკი ძველ უბანში მიმდინარე მშენებლობა, მეზობელ სახლებს აზიანებს, ბუნებრივია, მერიის შესაბამისი სამსახურების, განზრახ თუ უნებლიედ, უყურადღებობის ბრალია. მაგალითად, შეგახსენებთ არაგვის ქ. №6-ში მცხოვრებთა გასაჭირს, რაზეც "24 საათი" კარგა ხნის წინათ წერდა. აღნიშნულ, მეცხრამეტე საუკუნის დროინდელ სახლს მეზობლად, №4-სა და მილორავას ჩიხში მიმდინარე მშენებლობებმა საძირკველი გამოუთხარა. არქიტექტურის დეპარტამენტმა და არქმშენინსპექციამ აღნიშნული მშენებლობები ჯერ კიდევ გასული წლის დეკემბერში შეაჩერეს, მაგრამ ამითი არაფერი შეცვლილა.



*ამ სახლის ბედს კიდევ ბევრი გაიზიარებს.*

ხელისუფლებას პასუხისმგებლობა არც იმ შემთხვევაში ეხსნება, როცა მოსახლეობის საჩივარი უსაფუძვლოა, რადგან დაზარალებულებისთვის თავის დროზე რომ მიეხედა, ძველ სახლში მცხოვრებლებს ახალი მრავალსართულიანი სახლის მშენებელი მეზობელი ნაკლებად გააღიზიანებდა. ხელისუფლება კი იმასაც ვერ აკონკრეტებს, განახევრებულ თანხას - 2 მილიონს დაზარალებულთა დახმარების ფონდში როდის გადარიცხავს.

bp
BP - ს ინიციატივითა და ფინანსური მხარდაჭერით
კონსულტაციებისა და ტრენინგების ცენტრი CTC
ქალაქ თბილისში მოქმედ არასამთავრობო ორგანიზაციების
წარმომადგენლებს სთავაზობს ტრენინგ კურსს თემაზე:
"ორგანიზაციული უნარ-ჩვევები"

CTC Centre for Training and Consultancy

კურსის დამსწრეებს მიეცემათ საშუალება გაიუმჯობესონ უნარ-ჩვევები შემდეგი მიმართულებით:

- საქმიანობათა და დავალებათა დაგეგმვა და დროის მენეჯმენტი
- შესაბამისი დოკუმენტების შედგენა (ოქმი, კონტრაქტი, საქმიანი მიმოწერა, მიმართვის ფორმები)
- ეფექტური კომუნიკაცია ( აქტიური მოსმენა, შეხვედრების წაყვანა, პრეზენტაციის გაკეთება)
- არასამთავრობო ორგანიზაციის ფუნქციონირების სამართლებრივი გარემოს ძირითადი ასპექტები
- არა-მომგებიანი ორგანიზაციის ბუღალტრული აღრიცხვის საფუძვლები

კურსზე დასწრების მსურველებს შეუძლიათ მიმართონ ცენტრის ადმინისტრაციას არა უგვიანეს 25 ნოემბრისა. მსურველებმა უნდა წარადგინონ შევსებული სააპლიკაციო ფორმა, ორგანიზაციის ხელმძღვანელის წერილი, ასევე მონაწილის მოტივაციის წერილი.
შერჩეულ მსურველებს ცენტრის ადმინისტრაცია დაუკავშირდება არაუგვიანეს 30 ნოემბრისა
კურსი ჩატარდება ცენტრის ოფისში, მიმდინარე წლის 8-12 დეკემბერს 10.00 - 16.30 საათებში.
აპლიკაციის ფორმა შეგიძლიათ გადმოწეროთ ცენტრის ვებ გვერდიდან www.ctc.org.ge ან მიიღოთ ცენტრის ოფისში

CTC მისამართი: ვაჟა-ფშაველა 30ა, სართული 3, ბინა 7
ელ-ფოსტა: ctc@ctc.org.ge

გაზეთი
ბათუმელები
NEWSPAPER BATUMELEBI www.internews.ge/batumelebi
batumelebi@batumi.net
დამოუკიდებელი პრესის არსებობის პრეცედენტი აჭარაში

# ბრალდებულს შვიდ წლამდე პატიმრობა ელის

სამ ნოემბერს "ნაციონალური მოძრაობის" ოფისთან მომხდარ ინციდენტში ბრალდებულ ელდარ არღვლიანისთვის წინასწარი სამთვიანი პატიმრობის შეფარდების საკითხს დღეს აფხაზეთის სასამართლო განიხილავს.

შეგახსენებთ, რომ 3 ნოემბერს, დაახლოებით რვა საათზე, ნაციონალების ოფისთან გასროლა მოხდა. მიხეილ სააკაშვილის დაცვის წევრებმა დააკავეს უცნობი პირი და ის შენობაში შეიყვანეს. მოგვიანებით გაირკვა, რომ აფხაზეთიდან დევნილმა ელდარ არღვლიანმა მიხეილ სააკაშვილის მძღოლის მისამართით ისროლა.

სააკაშვილის დაცვის ერთ-ერთი წევრის თქმით, ოფისთან იდგა ნასვამი უცნობი პირი, რომელსაც დაცვამ ადგილის დატოვება მოსთხოვა, რის შემდეგაც განაწყენებულმა უცნობმა სააკაშვილის მძღოლს რამდენჯერმე ესროლა.

მიხეილ სააკაშვილის მძღოლის განცხადებით, არღვლიანმა მას დამიზნებით ესროლა და რომ არა დაცვის თანამშრომელთა მოქმედება, იგი აუცილებლად დაიჭრებოდა. "ნაციონალური პარტიის" წევრები აცხადებენ, რომ დაგეგმილი იყო მიხეილ სააკაშვილის წინააღმდეგ ტერაქტი.

მომხდარ დანაშაულში ბრალდებული არღვლიანი კი ირწმუნება, რომ საკუთარ სახლთან მისული ტროტუართან იჯდა. ამ დროს მის მეზობლად მდებარე ნაციონალების ოფისში მიხეილ სააკაშვილი მივიდა და სააკაშვილის დაცვის წევრებმა მისი გაგდება მოინდომეს. ამის გამო იგი განაწყენდა და ჰაერში ისროლა.

მთაწმინდა-კრწანისის პოლიციის საგამოძიებო ნაწილის უფროსის ნიკო ხაინდრავას ინფორმაციით, ელდარ არღვლიანს ხულიგნობასა და იარაღის უკანონო ტარებაში ედება ბრალი.

ბრალდებების დადასტურების შემთხვევაში არღვლიანს სამიდან შვიდ წლამდე პატიმრობა ელის.

*24 საათი*

# ხელისუფლება პოლიციას საფრთხობელად იყენებს

*ხელისუფლებამ ოპოზიციის ლიდერების მუქარას - არჩევნებში გამარჯვების შემთხვევაში ხელისუფლების რიგებში მყოფი კრიმინალების დაპატიმრების შესახებ - რეალური ნაბიჯები დაუპირისპირა და ოპოზიციის ლიდერების ციხეში გასაგზავნად ერთი ნაბიჯი უკვე გადადგა. ცხადია, ხელისუფლება გაცილებით მშვიდად გააგრძელებს არსებობას, თუ "ნაციონალებისა" და "ბურჯანაძე-დემოკრატების" ლიდერებს გისოსებს მიღმა დაიგულებს.*



"საჭიროების შემთხვევაში ძალას გამოიყენებენ".

სანამ მომავალი საპრეზიდენტო არჩევნების ოპოზიციის ლიდერთა გარეშე ჩატარების უზრუნველყოფას შეუდგებოდეს, ხელისუფლება ყველაფერს აკეთებს, რომ საპროტესტო მიტინგებმა მასშტაბური სახე არ მიიღოს. ამ მიზნით იგი პოლიციის გამოყენებას ცდილობს: ქალაქის ცენტრში რკინის ფარებითა და ჩაფხუტებით აღჭურვილი სპეცდანიშნულების ბატალიონების გამოყვანით ხალხში შიშის გაღვივებას სურს, დედაქალაქის შემოსასვლელების გადაკეტვით კი რაიონებიდან ოპოზიციის რიგების შევსებას უშლის ხელს. მართალია, თბილისის შემოსასვლელებში მდგომი საგზაო პოლიციელები ირწმუნებიან, რომ ისინი უკვე 29 ოქტომბრიდან მუშაობის ასეთ რეჟიმში არიან და დედაქალაქისკენ მიმავალ მგზავრებს პირადობის დამადასტურებელ საბუთებს უმოწმებენ, თუმცა აქვე ამატებენ, რომ არსებობს გარკვეული ინფორმაცია მოსალოდნელ მასიურ არეულობასთან დაკავშირებით და რომ არ მოხდეს რაიმე გაუგებრობა, სათანადო ღონისძიებები ხორციელდება. ოპოზიციის ლიდერების მიერ დაგეგმილი მიტინგის მოლოდინში მყოფმა შინაგან საქმეთა სამინისტრომ დილის 11 საათიდან დაიწყო სახელმწიფო კანცელარიისა და სხვა სტრატეგიული დანიშნულების ობიექტების დაცვის გაძლიერება. შინაგანი ჯარების ნაწილები იქ "კამაზის" ტიპის ათამდე ავტომანქანით მიიყვანეს. აქვე იმყოფებოდა სახანძრო და სასწრაფო დახმარების ავტომანქანები. კანცელარიასთან მისასვლელი ყველა გზა კი ბლოკირებული გახლდათ.

შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილის რუბენ ასანიძის თქმით, მათ ხელთ არსებული ოპერატიული ინფორმაციების საფუძველზე აუცილებელი იყო სტრატეგიული ობიექტების ამ ფორმით გაძლიერება, რათა მაქსიმალურად იყოს დაცული საზოგადოებრივი წესრიგი. პოლიცია კი არც ერთ შემთხვევაში არ აპირებს მომიტინგეების დარბევას.

სამაგიეროდ, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი პირდაპირ აკეთებს განცხადებებს იმის თაობაზე, რომ პოლიცია და შინაგანი ჯარი **"საჭიროების შემთხვევაში ძალას გამოიყენებენ".**

**"ხელისუფლება მზად არის, გამოიყენოს კანონით მინიჭებული უფლება, რათა დაიცვას მოსახლეობის უსაფრთხოება. ჩვენ იმის ადეკვატურად ვიმოქმედებთ, თუ რა საფრთხე დაემუქრება მოსახლეობას; ცალკეულ განცხადებებში არის ხელისუფლების ძალადობით შეცვლის მოწოდება. ჩვენი მხრიდან ყველაფერი გაკეთდება იმისთვის, რომ ეს არ მოხდეს"**, – აცხადებს კობა ნარჩემაშვილი.

*24 საათი*

# დღეიდან საქართველოს სერთიფიცირებული ადვოკატები ჰყავს

თამარ კაციტაძე

*დღეიდან საქართველოს გამოცდაჩაბარებული ადვოკატები ეყოლება. მართალია, სერთიფიცირებულ დამცველთა რიცხვი, ჯერჯერობით, ძალიან მცირეა, მაგრამ უახლოეს მომავალში მათ რიგებს ადვოკატობის ყველა მსურველი შეუერთდება, წინააღმდეგ შემთხვევაში, კანონმდებლობიდან გამომდინარე, მოქმედ ადვოკატებს აღნიშნული პროფილით მოღვაწეობის უფლება ჩამოერთმევათ.*



საქართველოს გამოცდაჩაბარებული ადვოკატები ეყოლება.

ადვოკატთა ატესტაცია გუშინ დეპუტატებისგან გათავისუფლებულ, პარლამენტის სხდომათა დარბაზში ჩატარდა. პირველ გამოცდაზე სიით გათვალისწინებული, ადვოკატობის 200 მსურველის ნაცვლად, 164 აბიტურიენტი გამოცხადდა. დამცველობის ის მსურველები არიან, რომლებსაც სურთ მომავალი მოღვაწეობა საერთო ადვოკატურაში ანუ სისხლის და სამოქალაქო სამართალში გააგრძელონ.

მართალია, პროტოკოლის თანახმად, მომავალი სერთიფიცირებული ადვოკატებისთვის გზა ამერიკის ელჩს რიჩარდ მაილსს უნდა დაელოცა, მაგრამ როგორც ჩანს, პოლიტიკური დაძაბულობის გამო, მან საქართველოს პარლამენტის შენობაში მისვლა ვერ შეძლო და მის მაგივრად, ატესტაციის წინ ქართველი დამცველების გამხნევება ამერიკის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს უფროსს, კანონის უზენაესობის მრჩეველს რობერტ ბაიერს მოუწია.

**"მსოფლიოს განვითარებულ ქვეყნებში ადვოკატებისთვის ატესტაციის ჩაბარება უკვე დიდი ხნის აპრობირებული მეთოდია. სხვათა შორის, იგივე გზა მეც მაქვს გავლილი და მეც სწორედ ამგვარ დარბაზში ჩავაბარე ადვოკატობისთვის სავალდებულო გამოცდები",** – ამ სიტყვებით გახსნა ბატონმა ბაიერმა გუშინდელი ატესტაცია და მასში მონაწილე იურისტებს წარმატებები უსურვა.

ატესტაციის გახსნის ცერემონიალის შემდეგ ატესტაციის მოსამზადებელი პროცედურა დაიწყო. უცხოელი და ქართველი დამკვირვებლების და თავად მომავალი ადვოკატების თვალწინ უცხოელი ექსპერტების მიერ დალუქული საგამოცდო მასალები გაიხსნა, ხოლო ის ტესტები, რომელზეც პასუხი აბიტურიენტებს უნდა გაეცათ, კომპიუტერმა შეარჩია. წინასწარ გამოქვეყნებული 5 ათასი ტესტიდან მომავალ ადვოკატებს პასუხის გაცემა მხოლოდ 100 კითხვაზე მოუწიათ. ატესტაცია სულ ექვს საათს გაგრძელდა. იმისათვის, რომ ადვოკატობის მსურველებმა სასურველ მიზანს მიაღწიონ, ანუ სერთიფიკატი მიიღონ, სულ მცირე, 75 კითხვას უნდა გასცენ სწორი პასუხი. ადვოკატთა გამოცდას თვალყურს ათზე მეტი ქართველი და უცხოელი დამკვირვებელი ადევნებდა.

ატესტაციის დასრულების შემდეგ მომავალ ადვოკატებს საკუთარი ნამუშევრის შეფასების საშუალება მიეცათ. კომისიის წევრებმა ტესტების სწორი პასუხები გუშინვე გამოაცხადეს.

შედეგებით უკმაყოფილო, მაგრამ საკუთარ ცოდნაში დარწმუნებულ ადვოკატებს თავიანთი ნამუშევრის გაპროტესტება საპრეტენზიო კომისიაში დღეს დილით შეუძლიათ. საბოლოოდ კი, ატესტაციის შედეგები ორ დღეში გახდება ცნობილი. თუმცა, ადვოკატობის იმ მსურველებს, რომლებსაც ატესტაციაზე არ გაუმართლებთ, მოსამართლეებისა და პროკურორებისგან განსხვავებით, უფლება აქვთ მანამდე სცადონ ბედი, ანუ იმდენჯერ გავიდნენ გამოცდებზე, ვიდრე საბოლოო მიზანს არ მიაღწევენ.

# საქართველოს ელექტროენერგიის საბითუმო ბაზარმა (სესბ-მა) ნოემბრის თვის ელექტოენერგიის გამომუშავებისა და მოხმარების საპროგნოზო გრაფიკი დააწესა

ნოემბრის თვის ენერგობალანსი ენერგოკომპანიებისა და ბაზრის პირდაპირი მომხმარებლების მიერ სესბ-ში წარმოდგენილი განაცხადებისა და გადახდის მაჩვენებლების მიხედვითაა შედგენილი. აღნიშნული პერიოდის ენერგობალანსში გათვალისწინებულია რუსეთის ერთიანი ენერგოსისტემიდან ელექტროენერგიის იმპორტი, რომელიც დღელამეში საშუალოდ 2 370 კვტსთ ელ. ენერგიას შეადგენს. დღელამეში საშუალოდ 5 000 კვტსთ ელ.ენერგიას გამოიმუშავებს "ეი-ი-ეს მტკვრის'' მე-9-ე ენერგობლოკი.

საპროგნოზო დღელამურმა გასაყიდმა ელექტროენერგიამ ტექნიკური დანაკარგების გათვალისწინებით 19 481 კვტსთ შეადგინა. საქართველოს ენერგოსისტემის საკუთარი რესურსი კი 17 637 კვტსთ ელ.ენერგიაა. არსებული დეფიციტი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, რუსეთიდან ელექტროენერგიის იმპორტით იფარება, რომელსაც ახორციელებს "თელასი''.

რაც შეეხება ჰიდროელექტროსადგურებს, წყლის ჩამოდინებაზე მომუშავე სადგურებში ოქტომბრის თვის ბოლოს წამოსული ხშირი წვიმების გამო მდგომარეობა საგრძნობლად გაუმჯობესდა. მათი შესაძლო სიმძლავრე საშუალოდ 180 მვტ-ს შეადგენს. ჰიდრორესურსების მხრივ მდგომარეობა ასევე გაუმჯობესდა მარეგულირებელ სადგურებშიც. მათი შესაძლო დატვირთვები იხილეთ ქვემოთ მოყვანილ გრაფიკში.

ზემოთ აღნიშნული რესურსების გათვალისწინებით სესბ-მა მომხმარებლებისთვის ელექტროენერგიის მიწოდების გრაფიკი დაგეგმა:

**თბილისი** - "თელასი'' ელექტროენერგიას წარმოდგენილი მოთხოვნის შესაბამისად იღებს. თბილისს პიკის საათებში საჭირო 510 მვტ ელექტროენერგია მიეწოდება.

დანარჩენ გამანაწილებელ ენერგოკომპანიებს ელექტროენერგია მოხმარებული ელექტროენერგიის საფსურის გადახის შესაბამისად მიეწოდებათ:

**აჭარა** - მაქსიმუმზე მოთხოვნილი 70 მვტს ნაცვლად დაგეგმილია 50 მვტს მიწოდება.

**კახეთი** - მაქსიმუმზე მოთხოვნილი 35 მვტს ნაცვლად დაგეგმილია 25 მვტს მიწოდება.

**გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანია** --- მაქსიმუმზე მოთხოვნილი 245 მვტს ნაცვლად დაგეგმილია 114 მვტს მიწოდება.

საბითუმო ბაზრის პირდაპირი მომხმარებლებისთვის ელექტოენერგიის მიწოდება მათ მიერ წარმოდგენილი განაცხადებისა და გადახდების შესაბამისად დადგინდა. სესბ-ის პირდაპირ მომხმარებლებთან მიმართებაში მოხმარებული ელექტროენერგიის საფასურის გადახდის დონე 82%-ს შეადგენს.

ელექტროენერგიის საბითუმო ბაზარი სესბ-ის წევრებს წარმოდგენილი ლიმიტების უმკაცრესი დაცვისკენ მოუწოდებს, წინააღმდეგ შემთხვევაში ენერგოსექტორს სერიოზული პრობლემები შეექმნება. კერძოდ, მარეგულირებელ ჰიდროელექტროსადგურების წყალსაცავებში შემცირდება წყლის დონე და სისტემას დამატებითი ძვირადღირებული ელ. ენერგიის იმპორტი დასჭირდება. რაც სისტემაში არსებული ფინანსური მდგომარეობის გათვალისწინებით ყოვლად დაუშვებელია.

## სიმძლავრის საათობრივი მიწოდების გრაფიკი

### I. ელექტროენერგიის გამომუშავებისა და მოხმარების დაგეგმვის გრაფიკი

| | თვე | დღეღამური | საათები | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | ათასი კვტსთ | | 0-1 | 1-2 | 2-3 | 3-4 | 4-5 | 5-6 | 6-7 | 7-8 | 8-9 | 9-10 | 10-11 | 11-12 | 12-13 | 13-14 | 14-15 | 15-16 | 16-17 | 17-18 | 18-19 | 19-20 | 20-21 | 21-22 | 22-23 | 23-24 |
| ენგურჰესი | 140250 | 4675 | 88 | 22 | 0 | 0 | 0 | 0 | 63 | 162 | 291 | 240 | 131 | 190 | 214 | 219 | 210 | 189 | 224 | 291 | 352 | 403 | 406 | 379 | 325 | 277 |
| ვარდნილჰესი | 27450 | 915 | 25 | 25 | 25 | 25 | 25 | 25 | 25 | 40 | 40 | 60 | 60 | 40 | 40 | 20 | 20 | 20 | 20 | 40 | 60 | 60 | 60 | 60 | 60 | 40 |
| ხრამჰესი 1 | 25200 | 840 | 25 | 5 | 0 | 0 | 0 | 0 | 10 | 60 | 80 | 80 | 40 | 10 | 10 | 10 | 10 | 10 | 10 | 40 | 60 | 70 | 80 | 80 | 80 | 70 |
| ხრამჰესი 2 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| ჟინვალჰესი | 12960 | 432 | 18 | 18 | 18 | 18 | 18 | 18 | 18 | 18 | 18 | 18 | 18 | 18 | 18 | 18 | 18 | 18 | 18 | 18 | 18 | 18 | 18 | 18 | 18 | 18 |
| [illegible] | 13050 | 435 | 15 | 15 | 0 | 0 | 0 | 0 | 15 | 15 | 30 | 30 | 30 | 15 | 15 | 15 | 15 | 15 | 15 | 15 | 30 | 30 | 30 | 30 | 30 | 30 |
| [illegible] | 29400 | 980 | 40 | 35 | 35 | 35 | 35 | 35 | 35 | 40 | 45 | 45 | 40 | 40 | 40 | 40 | 40 | 40 | 40 | 40 | 40 | 45 | 45 | 50 | 50 | 50 |
| სულ მარეგულირებელი | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| სადგურები | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| სულ ჰიდროსადგურები | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| სულ თბოსადგურები | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| სრული გენერაცია | 529110 | 17637 | 601 | 510 | 468 | 468 | 468 | 468 | 556 | 725 | 894 | 863 | 709 | 703 | 727 | 712 | 703 | 682 | 717 | 834 | 950 | 1016 | 1029 | 1007 | 953 | 875 |
| იმპორტი | 71100 | 2370 | 80 | 80 | 80 | 80 | 80 | 80 | 80 | 80 | 120 | 120 | 100 | 100 | 80 | 80 | 80 | 100 | 100 | 100 | 130 | 130 | 130 | 130 | 130 | 100 |
| სულ მოხმარება | 585882 | 19529 | 663 | 573 | 529 | 529 | 528 | 528 | 618 | 786 | 993 | 962 | 790 | 784 | 788 | 773 | 764 | 763 | 798 | 913 | 1058 | 1124 | 1136 | 1115 | 1062 | 954 |
| მ. შ. ტრანზ. ხარჯი და ს. მ | 57360 | 1912 | 65 | 56 | 52 | 52 | 52 | 52 | 61 | 77 | 97 | 94 | 77 | 77 | 77 | 76 | 75 | 75 | 78 | 89 | 103 | 110 | 111 | 109 | 104 | 93 |
| ტრანზ. ხარჯი და ს.მ. %% | 0 | 0 | 10 | 10 | 10 | 10 | 10 | 10 | 10 | 10 | 10 | 10 | 10 | 10 | 10 | 10 | 10 | 10 | 10 | 10 | 10 | 10 | 10 | 10 | 10 | 10 |
| წმინდა მოხმარება | | | 598 | 517 | 477 | 477 | 476 | 476 | 557 | 709 | 896 | 868 | 713 | 707 | 711 | 697 | 689 | 688 | 720 | 824 | 955 | 1014 | 1025 | 1006 | 958 | 861 |

### II. მოხმარების განაწილება ენერგოკომპანიებისა და ბაზრის მომხმარებლების

| | თვე | დღეღამური | საათები | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | ათასი კვტსთ | | 0-1 | 1-2 | 2-3 | 3-4 | 4-5 | 5-6 | 6-7 | 7-8 | 8-9 | 9-10 | 10-11 | 11-12 | 12-13 | 13-14 | 14-15 | 15-16 | 16-17 | 17-18 | 18-19 | 19-20 | 20-21 | 21-22 | 22-23 | 23-24 |
| ქ. თბილისი | 234000 | 7800 | 240 | 170 | 130 | 130 | 130 | 130 | 190 | 260 | 430 | 450 | 340 | 335 | 335 | 330 | 320 | 320 | 350 | 440 | 470 | 500 | 510 | 490 | 440 | 360 |
| [illegible] | 25599 | 853.5 | 31.3 | 31.3 | 31.3 | 31.3 | 31.3 | 31.4 | 41.9 | 34.2 | 34.2 | 34.2 | 34.1 | 35.0 | 35.4 | 35.9 | 34.9 | 35.6 | 33.3 | 36.8 | 35.4 | 37.4 | 36.6 | 44.9 | 43.6 | 42.4 |
| [illegible] | 87000 | 2900 | 120 | 100 | 100 | 100 | 100 | 100 | 120 | 130 | 140 | 140 | 115 | 115 | 115 | 115 | 115 | 115 | 115 | 125 | 130 | 140 | 140 | 140 | 140 | 130 |
| [illegible] | 25470 | 849 | 22 | 22 | 22 | 22 | 22 | 22 | 22 | 40 | 40 | 40 | 35 | 35 | 35 | 35 | 35 | 35 | 35 | 35 | 45 | 50 | 50 | 50 | 50 | 50 |
| [illegible] | 10351.8 | 345.1 | 9.84 | 9.89 | 9.89 | 9.89 | 9.89 | 9.89 | 9.89 | 16.89 | 19.89 | 16.89 | 8.97 | 8.95 | 10.57 | 8.97 | 8.97 | 8.97 | 9.05 | 12.57 | 22.15 | 25.97 | 27.57 | 25.95 | 25.97 | 17.57 |
| [illegible] | 9150.0 | 305.0 | 8.0 | 8.0 | 8.0 | 8.0 | 8.0 | 8.0 | 8.0 | 15.0 | 18.0 | 15.0 | 8.0 | 8.0 | 8.0 | 8.0 | 8.0 | 8.0 | 8.0 | 10.0 | 20.0 | 25.0 | 25.0 | 25.0 | 25.0 | 15.0 |

| | თვე | დღეღამური | საათები | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | ათასი კვტსთ | | 0-1 | 1-2 | 2-3 | 3-4 | 4-5 | 5-6 | 6-7 | 7-8 | 8-9 | 9-10 | 10-11 | 11-12 | 12-13 | 13-14 | 14-15 | 15-16 | 16-17 | 17-18 | 18-19 | 19-20 | 20-21 | 21-22 | 22-23 | 23-24 |
| [illegible] | 1201.80 | 40.06 | 1.84 | 1.89 | 1.89 | 1.89 | 1.89 | 1.89 | 1.89 | 1.89 | 1.89 | 1.89 | 0.97 | 0.95 | 2.57 | 0.97 | 0.97 | 0.97 | 1.05 | 2.57 | 2.15 | 0.97 | 2.57 | 0.95 | 0.97 | 2.57 |
| [illegible] | 35670 | 1189 | 24.0 | 24.0 | 24.0 | 24.0 | 24.0 | 24.0 | 24.0 | 77.0 | 77.0 | 28.5 | 24.0 | 21.0 | 20.0 | 20.0 | 20.0 | 20.0 | 19.0 | 19.0 | 110.0 | 112.5 | 114.0 | 114.0 | 113.5 | 111.5 |
| [illegible] | 33214.5 | 1107.13 | 41.03 | 49.94 | 49.94 | 49.99 | 50.00 | 50.02 | 50.15 | 44.17 | 46.51 | 50.51 | 45.56 | 47.80 | 45.83 | 40.56 | 41.61 | 42.87 | 45.83 | 48.89 | 37.51 | 45.28 | 44.98 | 43.87 | 46.54 | 50.11 |
| [illegible] | 95760 | 3192.0 | 132.0 | 132.0 | 132.0 | 132.0 | 132.0 | 132.0 | 133.0 | 133.0 | 134.0 | 134.0 | 134.0 | 134.0 | 134.0 | 134.0 | 134.0 | 134.0 | 134.0 | 134.0 | 133.0 | 133.0 | 132.0 | 132.0 | 132.0 | 132.0 |
| [illegible] | 51840 | 1728.0 | 72.0 | 72.0 | 72.0 | 72.0 | 72.0 | 72.0 | 72.0 | 72.0 | 72.0 | 72.0 | 72.0 | 72.0 | 72.0 | 72.0 | 72.0 | 72.0 | 72.0 | 72.0 | 72.0 | 72.0 | 72.0 | 72.0 | 72.0 | 72.0 |
| [illegible] | 23040 | 768.0 | 32.0 | 32.0 | 32.0 | 32.0 | 32.0 | 32.0 | 32.0 | 32.0 | 32.0 | 32.0 | 32.0 | 32.0 | 32.0 | 32.0 | 32.0 | 32.0 | 32.0 | 32.0 | 32.0 | 32.0 | 32.0 | 32.0 | 32.0 | 32.0 |
| [illegible] | 360.0 | 12.0 | 0.50 | 0.50 | 0.50 | 0.50 | 0.50 | 0.50 | 0.50 | 0.50 | 0.50 | 0.50 | 0.50 | 0.50 | 0.50 | 0.50 | 0.50 | 0.50 | 0.50 | 0.50 | 0.50 | 0.50 | 0.50 | 0.50 | 0.50 | 0.50 |
| [illegible] | 4320.0 | 144.0 | 6.0 | 6.0 | 6.0 | 6.0 | 6.0 | 6.0 | 6.0 | 6.0 | 6.0 | 6.0 | 6.0 | 6.0 | 6.0 | 6.0 | 6.0 | 6.0 | 6.0 | 6.0 | 6.0 | 6.0 | 6.0 | 6.0 | 6.0 | 6.0 |
| [illegible] | 1080.0 | 36.0 | 1.5 | 1.5 | 1.5 | 1.5 | 1.5 | 1.5 | 1.5 | 1.5 | 1.5 | 1.5 | 1.5 | 1.5 | 1.5 | 1.5 | 1.5 | 1.5 | 1.5 | 1.5 | 1.5 | 1.5 | 1.5 | 1.5 | 1.5 | 1.5 |
| [illegible] | 5040.0 | 168.0 | 6.0 | 6.0 | 6.0 | 6.0 | 6.0 | 6.0 | 7.0 | 7.0 | 8.0 | 8.0 | 8.0 | 8.0 | 8.0 | 8.0 | 8.0 | 8.0 | 8.0 | 8.0 | 7.0 | 7.0 | 6.0 | 6.0 | 6.0 | 6.0 |
| [illegible] | 10080 | 336.0 | 14.0 | 14.0 | 14.0 | 14.0 | 14.0 | 14.0 | 14.0 | 14.0 | 14.0 | 14.0 | 14.0 | 14.0 | 14.0 | 14.0 | 14.0 | 14.0 | 14.0 | 14.0 | 14.0 | 14.0 | 14.0 | 14.0 | 14.0 | 14.0 |
| [illegible] | 25938.0 | 865.0 | 35.80 | 44.80 | 44.80 | 44.80 | 44.80 | 44.80 | 44.80 | 36.30 | 37.20 | 37.20 | 30.50 | 29.80 | 33.40 | 24.40 | 23.50 | 26.00 | 28.60 | 34.00 | 28.50 | 38.20 | 38.70 | 36.30 | 37.90 | 43.10 |

# პროკურატურამ ოპოზიციის ლიდერთა წინააღმდეგ საქმეები აღძრა

პირველი გვერდიდან

დაახლოებით იმავე შინაარსის განცხადება გააკეთა გენერალურმა პროკურორმა ნუგზარ გაბრიჩიძემაც, რომლის უწყებამაც გუშინვე აღძრა 60-მდე საქმე. **"მიტინგის ჩატარების უფლება ყველას აქვს, მაგრამ თუ კანონი დაირღვევა, პროკურატურა სისხლის სამართლის საქმეებს აღძრავს და დამნაშავეები კანონით დაისჯებიან,"** – ასეთი იყო უშიშროების საბჭოს სხდომაზე მიმავალი ნუგზარ გაბრიჩიძის განცხადება. "კანონდამრღვევთა" წინააღმდეგ საქმეები აღიძრა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 317-ე მუხლით – მოწოდება საქართველოს კონსტიტუციური წყობილების ძალადობით შეცვლისკენ ან სახელმწიფო ხელისუფლების დამხობისკენ. ოპოზიციურ პარტიათა ლიდერებს, რომელთა წინააღმდეგაც საქმეები აღიძრა, ჯარიმის გადახდა ან სამ წლამდე პატიმრობა ელით.

თუმცა, მაღალჩინოსანი სამართალდამცველები, ჯერჯერობით, არ აკონკრეტებენ, თუ რომელ ოპოზიციურ ლიდერთა წინააღმდეგ და რის საფუძველზე გამოიტანეს სადამსჯელო გადაწყვეტილება. ამ საკითხზე კომენტარს არც საქმის აღმძვრელ უწყებაში – გენერალურ პროკურატურაში აკეთებენ. კანონდამცველთა ერთადერთი სამართლებრივი პასუხი ასეთია – საქმის აღძვრის საფუძველი არსებობდა.

თუმცა, მიტინგის მომწყობ ოპოზიციონერებს შევარდნაძის დირექტივის შემსრულებელი გენერალური პროკურორის მიერ აღძრული საქმეების შიში არ აქვთ. **"მათ წარსულშიც აღძრეს არაერთი ასეთი საქმე. პირადად ჩემ მიმართ სამი საქმეა აღძრული. აღძრან, ბატონო, რამდენი საქმეც უნდათ, მეტიც, შსს-ს თუ სურვილი აქვს, შეუძლია ჩვენი დაპატიმრებაც სცადოს,"** - განაცხადა ზურაბ ჟვანიამ.

*24 საათი*

განათლების სამინისტროს საინფორმაციო ტექნოლოგიების ცენტრი „მზიური"
გთავაზობთ:
კომპიუტერის შემსწავლელ კურსს თემებით:
■ კლავიატურაზე ბეჭდვის ათთითიანი მეთოდი.
■ საქმიანი დოკუმენტაციის წარმოება – MS Word.
■ აღრიცხვა,საბუღალტრო-ეკონომიკური ამოცანები – MS Excel.
■ ლოკალური ქსელი,ინტერნეტი,ელ-ფოსტა.
■ ოპერაციული სისტემა Windows.
ცენტრში მოქმედებს სხვა კურსებიც.
მისამართი: ი. ჭავჭავაძის №25 ტელ:29-48-61

ESM თბილისის საბაზო სკოლა-ლიცეუმი "ლიდერი"
აცხადებს მსმენელთა მიღებას შემდეგ კურსებზე:
1. ინგლისური ენა დონეების მიხედვით (Starter-დან Upper Intermidiate-ს დონის ჩათვლით). დონის დადგენა უფასოა;
2. ინგლისური ენის სწრაფშემსწავლელი კურსები (სასაუბრო ინგლისური);
3. ბიზნეს-რეფერენტი (ქართული და ინგლისური სექტორი);
4. კომპიუტერის შემსწავლელი კურსები:
■ საოფისე პროგრამები (Word, Excel),
■ Windows,
■ მულტიმედია,
■ ინტერნეტი და ელექტრონული ფოსტა.
მეცადინეობა დაიწყება 3 ნოემბერს.
დამატებითი ინფორმაციისათვის დაგვიკავშირდით: 32 97 83.
მისამართი: წერეთლის 223.

ამომრჩეველი

# "არჩევნები ქართულად" - მაგიური მათემატიკა

*განვლილმა არჩევნებმა მრავალი შეკითხვა დაბადა. რატომ იყო მოუწესრიგებელი საარჩევნო სიები და "გასწორების" შემდეგაც რატომ გამოიკრა უბნებზე, თანაც დაგვიანებით, ისევ ძველი სიები? რატომ არ გაიხსნა დაწესებულ დროზე საარჩევნო უბნები? რატომ იყვნენ ასე მშვიდი და გამარჯვებაში დარწმუნებულნი სახელისუფლებო ბლოკის წევრები და ა.შ.*
*ეს წერილი არის ამ კითხვებზე პასუხის გაცემის მცდელობა. რა თქმა უნდა, ეს არის მხოლოდ ავტორისეული ვერსია. ავტორი არ აკეთებს კომენტარებს და არ იძლევა შეფასებებს, ის ოპერირებს ყველასთვის ცნობილი ფაქტებით და მკითხველმა თავად განსაჯოს მოყვანილი დებულებების სისწორე და სიმართლე.*

ბორის ცოცხალაშვილი

შეიძლება ითქვას, რომ ქვეყნის ადმინისტრაციული და დემოგრაფიული თავისებურებების გათვალისწინებით, ხელისუფლებამ არჩევნებში სასურველი შედეგების მიღებისთვის (შეგნებულად არ ვხმარობ სიტყვა "გაყალბებას") ახალი ორიგინალური მეთოდი გამოიყენა, რომელიც მათემატიკის ელემენტარულ კანონებს ეფუძნება.

დავიწყოთ მარტივი მაგალითით. ყველამ იცის, რომ 5 არის 30-ის მეექვსედი, 20-ის მეოთხედი და 10-ის ნახევარი, ანუ თუ მეორე რიცხვი მცირდება, პირველის წილი მასში შესაბამისად მატულობს.

ახლა კი, არჩევნებთან მიმართებაში განვიხილოთ სხვა რიცხვები - 450 ათასი, 350 ათასი და 2,7 მილიონი. პირველი არის, როგორც არაერთხელ დაუფიქსირებია ბატონ ვახტანგ რჩეულიშვილს და სახელისუფლებო ბლოკის სხვა ლიდერებს, მათი საარჩევნო ხმების "გარანტირებული" რაოდენობა, მეორე - "აღორძინების კავშირის" გარანტირებული ხმები, მესამე კი - ქვეყნის ელექტორატის საერთო რაოდენობა.

ადვილი გასათვლელია, რომ 450 ათასი შეადგენს 2,7 მილიონის 16,6 პროცენტს, ხოლო 350 ათასი - 13 პროცენტს. თუ 2,7 მილიონი შემცირდება, დავუშვათ 1,4 მილიონამდე, მოყვანილი პროცენტები შესაბამისად გაორმაგდება.

ისეთ სპეციფიკურ ვითარებაში, როდესაც ორ საარჩევნო სუბიექტს გააჩნია სტაბილური ხმების განსაზღვრული რაოდენობა, ძირითადად რამდენიმე კონკრეტული რეგიონის (ქვემო ქართლი, ჯავახეთი, აჭარა) ხარჯზე, მათი მთავარი მიზანი ხდება არა დამატებითი ხმების "მონადირება", არამედ დანარჩენ ტერიტორიაზე საარჩევნო ურნებთან მისულ ამომრჩეველთა რიცხვის შემცირება. პირველ რიგში, სწორედ ამ მიზანს შეიძლება ემსახურებოდეს საარჩევნო სიების არევ-დარევა და მათი გაჯერება მიცვალებულთა გვარებით.

როგორც ცსკო-ს თავმჯდომარემ, ქალბატონმა ნანა დევდარიანმა განაცხადა არჩევნებამდე რამდენიმე დღით ადრე, დიდი შრომის ფასად საარჩევნო სიებში ცდომილება დაყვანილ იქნა 10-15 პროცენტამდე. უნდა ვივარაუდოთ, რომ პირველად სიებში ცდომილება გაცილებით მეტს, 20-25-ს, შეიძლება 30 პროცენტსაც კი შეადგენდა. როგორც ცნობილია, ბევრ უბანზე სწორედ ეს პირველადი სიები იქნა გამოყენებული არჩევნების დღესაც. ვინაიდან დამატებითი სიების შედგენა კანონით აკრძალული იყო, გასაგები ხდება, რომ ეს გამოიწვევდა არჩევნებში მონაწილეთა რაოდენობის შემცირებას 650-700 ათასით. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ელექტორატის მესამედი, როგორც წესი, არ იღებს მონაწილეობას არჩევნებში, მივიღებთ, რომ ამ პროცესში რეალურად მონაწილეთა რიცხვი შემოიფარგლა 1,4-1,5 მილიონით. და ამ რიცხვის შემცირება კიდევ იყო შესაძლებელი უბნების დაგვიანებული გახსნით, იქ შექმნილი ქაოსით, ხმის მიცემის გართულებული პროცედურით და სხვა საშუალებებით. აქვე არ შეიძლება არ აღინიშნოს შექმნილ ვითარებაში ქალბატონ ნანა დევდარიანის რიგი გააზრებული და ადეკვატური გადაწყვეტილებები, თუნდაც საარჩევნო კანონის მოთხოვნების საწინააღმდეგოდ.

ყოველივე ამის შედეგად საქართველოს თითქმის მთელ ტერიტორიაზე არჩევნებში მონაწილეობის მიღება შეძლო ამომრჩეველთა საშუალოდ 40-45 პროცენტმა. გასაგებია, რომ ხსენებულ სპეციფიკურ რეგიონებში ფიქსირებული იქნებოდა 90-95-პროცენტიანი აქტიურობა და შესაბამისი შედეგები.

სხვათა შორის, აღორძინების კავშირის წარმომადგენლები აღნიშნავდნენ აჭარაში საარჩევნო სიების სრულ მოწესრიგებას. არ გამიკვირდება, თუ ასევე წესრიგშია სიები ქვემო ქართლში და ჯავახეთში, შესაძლოა - სულ ოდნავ "გაბერილი". სადაც ხმების აღებას აპირებ, იქ სიები მოწესრიგებული უნდა გქონდეს!

ასეთ სიტუაციაში სახელისუფლებო ბლოკისათვის დანარჩენ ოლქებში საკმარისი იყო ხმების 10-15 პროცენტის მოპოვებაც, ამის გაკეთება კი ე.წ. "ადმინისტრაციული რესურსის", პოლიციელთა "კარუსელების" და სხვა მეთოდების გამოყენებით სირთულეს არ წარმოადგენდა. ყველაფერი უზრუნველყოფდა იმ შედეგს, რომელზეც აკეთებდნენ მინიშნებას ბლოკის ლიდერები. შედეგები კი ასე პროგნოზირდებოდა: სულ არჩევნებში მონაწილეობას მიიღებს 1,5 მილიონამდე ამომრჩეველი, სახელისუფლებო ბლოკი აგროვებს 450 ათასამდე ხმას, აღორძინების კავშირი - 350 ათასამდე, დარჩენილი 600, მაქსიმუმ 700 ათასი ხმა გადანაწილდება 5-7 პარტიაზე. საარჩევნო ბარიერის გამო "დაკარგული" პროცენტების გადანაწილების შემდეგ სახელისუფლებო ბლოკი შეავსებს პროპორციული არჩევნებით გათვალისწინებული 150 საპარლამენტო ადგილის ნახევარს!

მათემატიკურად გაანგარიშებული სრული გამარჯვება! შესაძლოა, ყოველივე ზემოთ მოყვანილი ვინმეს ავტორის ფანტაზიის ნაყოფად მოეჩვენოს. მეც დასაშვებად მიმაჩნია, რომ ამგვარი გაანგარიშება არავის არ გაუკეთებია, მაგრამ დამეთანხმეთ - ეს არგუმენტები ძალიან სისტემურ ლოგიკაშია განვითარებულ მოვლენებთან.

# "ბურჯანაძე-დემოკრატები" არავითარ შემთხვევაში უკან არ დავიხევთ

ბექა სისაური
*ქუთაისიდან*


*"ქუთაისში ჩემი გამარჯვება ხელისუფლების სერიოზული დამარცხებაა".*

ხელისუფლებამ, როგორც იქნა, მოახერხა და ქუთაისში არჩევნების წინასწარი მონაცემები გამოაქვეყნა. მასიური გაყალბების პირობებში წარმოებული არჩევნების შედეგები ქუთაისში შემდეგნაირად გამოიყურება: ნინო ბურჯანაძეს 14 616 ამომრჩეველმა მისცა ხმა. დოდო შელიას 11 579, ედიშერ რევიშვილმა 4270 ხმა მიიღო, კოტე ბარქაიამ კი - 3015. რაც შეეხება პარტიებსა და ბლოკებს, საოლქო საარჩევნო კომისიის ინფორმაციით პირველ ადგილზე ბლოკი "ახალი საქართველოსთვის" გავიდა, მან 9270 ხმა მიიღო. მეორეზე "ახალი მემარჯვენეები- 6610, მესამეზე "ლეიბორისტები" - 6285, მეოთხეზე "ნაციონალები" - 5132; "ბურჯანაძე-დემოკრატებმა" - 4685 ხმა მიიღო, "მრეწველებმა" - 4270, "აღორძინებამ" - 3486. აღნიშნულ შედეგებს ოპოზიციური პარტიები ("მემარჯვენეების" გარდა) ერთხმად აპროტესტებენ და აცხადებენ, რომ ხელისუფლებამ აღნიშნულ მაჩვენებელს საუბნო საარჩევნო კომისიების ოქმების გაყალბების გზით მიაღწია. რეალურად კი პირველ სამეულს ქუთაისში "ლეიბორისტები", "ნაციონალები" და "ბურჯანაძე-დემოკრატები" ინაწილებენ.

გუშინ ქუთაისს ნინო ბურჯანაძე ეწვია. პირველი სკოლის წინ შეკრებილ მხარდამჭერებს მან გაწეული ნდობისთვის მადლობა გადაუხადა, მოგვიანებით კი საოლქო საარჩევნო კომისიის წინ გადაინაცვლა, სადაც საკუთარი ხმების დასაცავად "ნაციონალების" და "ბურჯანაძე-დემოკრატების" მხარდამჭერები იყვნენ შეკრებილები. აქციაზე ქუთაისის საოლქო კომისიის თავმჯდომარე კოტე თევდორაძე ჩამოვიდა, ნინო ბურჯანაძეს გამარჯვება მიულოცა და ხმების ობიექტურ დათვლასაც დაჰპირდა.

"24 საათის" კორესპონდენტმა ქალბატონ ნინოს რამდენიმე შეკითხვით მიმართა.

**- რატომ იყო ხელისუფლება ასე ძალიან დაინტერესებული იმით, რომ თქვენ არ გაგემარჯვათ ქუთაისში?**

- წინასაარჩევნო კამპანიამ ნათლად დაგვანახა, რომ ხელისუფლების ერთ-ერთი უმთავრესი სამიზნე პირადად მე და ბლოკი "ბურჯანაძე-დემოკრატები" ვიყავით. არჩევნების შედეგებმა დაგვანახა, რომ ხელისუფლებას, რადაც უნდა დასჯდომოდა, სურდა, ქართველი საზოგადოებისათვის ჰქონოდა სათქმელი: რა პრეტენზია აქვს ნინო ბურჯანაძეს, ილაპარაკოს ხალხის სახელით, როდესაც მას საკუთარმა ქალაქმაც კი მხარი არ დაუჭირა. ამ ხელისუფლებისთვის ნინო ბურჯანაძე იყო, არის და იქნება ძალიან მიუღებელი ფიგურა. მე თავს მივეცი უფლება, [illegible] ეს კრიტიკა არასოდეს ყოფილა, მაგრამ ჩემი მიზანი სიმართლის თქმა იყო. ხელისუფლებას კი ყველაზე მეტად სიმართლისა ეშინია. ამიტომ იყო, რომ ბატონმა ჯორბენაძემ პირად კონტროლზე აიყვანა ხელისუფლების მაჟორიტარი კანდიდატის, ქალბატონ დოდო შელიას გაყვანა პარლამენტში. სიმართლე გითხრათ, ბატონი ჯორბენაძის მიერ ამ ინიციატივის აღებამ სიმშვიდის ელემენტი შემძინა - რასაც ჯორბენაძემ მოჰკიდა ხელი, მაინცდამაინც კარგად ვერ გააკეთა, თუმცა არჩევნების გაყალბება, სახელმწიფო სისტემასთან ერთად, მშვენივრად მოახერხა. ქუთაისში ჩემი გამარჯვება ნიშნავდა ხელისუფლების სერიოზულ დამარცხებას, მე მოხარული ვარ, რომ ქუთაისელებმა ძალიან მტკიცედ დაიცვეს თავისი ხმა და ღირსება.

**-როგორ შეაფასებდით ხელისუფლების მხრიდან საარჩევნო ბრძოლის იმ მეთოდებს, რომლებიც თქვენს წინააღმდეგ ქუთაისში იქნა გამოყენებული.**

-ის, რაც ხდებოდა ქუთაისში, აბსოლუტურად წარმოუდგენელია. საღამოს ხუთის ნახევრზეც კი ქუთაისის საარჩევნო უბნების დიდი ნაწილი ღია არ იყო. უამრავი ადამიანი თითქმის დილის რვა საათიდან ელოდა ხმის მიცემას. მე ამან მართლაც გამაოცა. შემდეგ, რაც ღამის განმავლობაში ხდებოდა, საერთოდ არანაირ აღწერას არ ექვემდებარება. ის საარჩევნო უბნები, სადაც იცოდნენ, რომ სახელისუფლებო კანდიდატს მხარს არ დაუჭერდნენ, სპეციალურად დაკეტეს ადრე. საარჩევნო უბნებში შევარდნა, ყუთების წაღება და უკვე შემოხაზული ბიულეტენების ჩაყრა - ეს ჩვეულებრივი მოვლენები გახლდათ ქუთაისში. მიუხედავად ამისა, ხმების დათვლისას ჩემი უპირატესობა აშკარა იყო. დაახლოებით შვიდი-რვა ათასი ხმით ვიყავი წინ. საბოლოოდ კი უამრავი ბიულეტენის ჩაყრის მიუხედავად, განსხვავებამ მაინც 3000 ხმა შეადგინა. წარმოუდგენელია ასეთი [illegible] ტისას, [illegible] ოთხჯერ [illegible] მაჟორიტარს, [illegible] ამელო 60-70 პროცენტი ხმისა. ბლოკის რეიტინგი კი იყო შედარებით ნაკლები, ვიდრე ჩემი, მაგრამ ჩვენ ძალიან მყარად ვინაწილებდით მეორე-მესამე ადგილს.

**- პრეზიდენტის რწმუნებულმა იმერეთში წინასაარჩევნო ბატალიებში ნეიტრალური პოზიცია დაიკავა. თქვენი აზრით, რამდენად გამართლებულია ნეიტრალიტეტი მაშინ, როდესაც ტოტალურად ყალბდებოდა არჩევნები?**

- მე არ ვიცი, რამდენად ნეიტრალური იყო რწმუნებულის პოზიცია, როდესაც არჩევნების წინა დღეს იგი გამობრძანდა ტელევიზიით და სერიოზულად გამაკრიტიკა მეც და ჩემი ოჯახიც. არა მგონია, რომ ეს ნეიტრალური პოზიცია იყოს. თუმცა, იგი შედარებით ნეიტრალური მართლაც იყო, ვიდრე სხვა თანამდებობის პირები, რომლებიც მთელი ღამე დარბოდნენ უბნიდან უბანში, რომ გაყალბებები განეხორციელებინათ. საერთოდ, ცხადია, რომ ხელისუფლების მხრიდან ნეიტრალური პოზიცია ყველაზე სწორი იქნებოდა - არჩევნებში ხელისუფლება არ უნდა ჩაერიოს.

**- თბილისში უკვე ორი დღეა, საპროტესტო აქციები მიმდინარეობს. რატომ არ დადგნენ ოპოზიციის გვერდით "მემარჯვენეები" და "ლეიბორისტები"?**

- "ლეობორისტებს" ძალიან უცნაური პოზიცია აქვთ... მე ამ ორი თვის განმავლობაში თავს ვიკავებდი კონკურენტი ოპოზიციური პარტიების კრიტიკისაგან. ჩვენ არ გვინდოდა, ერთმანეთში კინკლაობის შედეგად ხელისუფლებას გაემარჯვა. "ლეიბორისტებს" ჩვენზე არაფერი აქვთ სათქმელი, ძალიან მინდა, ვთხოვო ბატონ შალვა ნათელაშვილს, რომ თავი შეიკავონ "ბურჯანაძე-დემოკრატების" ხსენებისაგან. პრეტენზიები ძალიან ბევრი შეგვიძლია წავუყენოთ "ლეიბორისტულ" პარტიას, თუნდაც მათი ზოგიერთი ლიდერის ბიოგრაფიიდან გამომდინარე. ამიტომ, კიდევ ერთხელ ვიმეორებ, ნუ შეგვეხებიან. თუმცა ის, რომ "ლეიბორისტული" პარტია არ გამოვიდა თავისი ხმების დასაცავად, ძალიან ბევრ კითხვებს ბადებს.

**- პრეზიდენტის პრესსამსახურმა გუშინ განაცხადა: ოპოზიცია პრეზიდენტის გადადგომას იმიტომ ითხოვს, რომ ამის შემდეგ ქვეყნის მეთაური მეორე პირი ავტომატურად ხდება. ამ განცხადებას რა კომენტარს გაუკეთებდით?**

- სირცხვილია ამაზე ლაპარაკი. მე ორი წელია, ქვეყნის მეორე პირი ვარ და კახა იმნაძეს თუ ახლა გაახსენდა, არ ვიცი, მაგრამ მე ეს არასოდეს დამვიწყებია. ის, რომ პრეზიდენტის კრიტიკის დროს ნაკლებად რადიკალური ვიყავი, მხოლოდ იმიტომ, რომ არასოდეს დამვიწყებია, რა თანამდებობა მეკავა. მოსახლეობას ყოველთვის განვუმარტავდი, რომ მეორე პირისგან არაეთიკურია პრეზიდენტის გადაყენებასა და იმპიჩმენტზე ლაპარაკი. ბატონი იმნაძე იმოდენა თანამდებობის პირი კი არის, რომ ერთხელ მაინც ჰქონდეს კანონი და კონსტიტუცია წაკითხული. პარლამენტის თავმჯდომარე ავტომატურად არ ხდება პრეზიდენტი. იგი უბრალოდ მოვალეობას ასრულებს და ნიშნავს რიგგარეშე არჩევნებს.

**- რა გაგრძელება შეიძლება ჰპოვოს ქუჩის აქციებმა, როგორია ოპოზიციის გეგმები?**

- "ბურჯანაძე-დემოკრატები" არავითარ შემთხვევაში უკან არ დავიხევთ. ჩვენ ვიბრძოლებთ და ძალიან სერიოზულად. თუ ხელისუფლება მოგვცემს იმ ხმებს, რაც გაყალბებების შედეგად მივიღეთ და რაც ჩვენს მიერ მოპოვებული ხმების ნახევარია, ამაზეც თანახმა ვართ. ცხადია, ასეთ შემთხვევაში ჩვენ შევწყვეტთ საპროტესტო აქციებს და პოლიტიკურ ბრძოლას გადავიტანთ პარლამენტის ჩარჩოებში. თუ ხელისუფლება არ მოეგება გონს და გააგრძელებს გაყალბების პროცედურებს, ასეთ შემთხვევაში ჩვენ გავაგრძელებთ ბრძოლას კონსტიტუციის ჩარჩოებში, მაგრამ ეს ბრძოლა იქნება გაცილებით სერიოზული და გარწმუნებთ, იგი დღევანდელი ხელისუფლებისთვის კარგად არ დამთავრდება.

**- გუშინ ქალბატონმა ირინა სარიშვილმა პრეზიდენტთან გარიგება დაგაბრალათ, მართლაც აქვს ასეთ ფაქტს ადგილი თუ ეს კვლავ ქალბატონი ირინას ნათელმხილველობის ნაყოფია?**

- იმ განცხადებების ფონზე, რაც პრეზიდენტმა ჩემი მისამართით გააკეთა და რაც ხდებოდა ქუთაისში ჩემს წინააღმდეგ, ამის თქმა ცოტა უხერხულია. ხალხი მართლა კი არ დაბრმავებულა და დაყრუებულა? რატომ ჰგონია ხელისუფლებას, რომ ხალხი ვერ აზროვნებს? მოსახლეობა აზროვნებს და თანაც - კარგად. [illegible] ეს, უბრალოდ, სირცხვილია.

# ნათელაშვილს წყალკანალი უფრო მნიშვნელოვანი ჰგონია, ვიდრე არჩევანის უფლება

ლელა მჭედლიძე

*მთავარი "ლეიბორისტი" შალვა ნათელაშვილი ახლაც განზე "დგომას" არჩევს. როცა საერთაშორისო თუ ადგილობრივ დამკვირვებელთა და პოლიტიკურ პარტიათა უმეტესობა სერიოზულ გაყალბებებზე საუბრობს, იგი არც მათ აზრს იზიარებს და არც აპირებს, ოპოზიციის აქციებს შეუერთდეს.*

ბატონი შალვა მიიჩნევს, რომ **"2 ნოემბრის არჩევნები არა გაყალბებული - უბრალოდ, სამარცხვინო არჩევნები იყო. ასეთი არჩევანი თავად ხალხმა გააკეთა, რომელმაც საკუთარი სურვილით კიდევ ერთხელ გაიხანგრძლივა სიღარიბესა და უშუქობაში ყოფნის ვადა".** თუმცა, სოციალურად დაუცველი ფენების წარმომადგენლებს (მათ შორის – პენსიონერებს) ნათელაშვილი კატეგორიულად აფრთხილებდა, რომ **"ამ ხელისუფლებისგან საუკეთესო შემთხვევაში მხოლოდ ოთხი ფიცარი თუ შეიძლება მიიღონ".** თუმცა, ლეიბორისტთა ლიდერი ჟვანია-სააკაშვილის დაძახილზე არსად აპირებს წასვლას. ეს გახლავთ ერთ-ერთი არგუმენტი, თუ რატომ არ აღმოჩნდნენ მისი პარტიის წევრები საპროტესტო აქციის დროს ოპოზიციის სხვა წარმომადგენლების გვერდით. ნათელაშვილი, თურმე, **"უზნეო ხალხთან თანამშრომლობას არ აპირებს".** გარდა ამისა, ლეიბორისტთა ლიდერის თქმით, **"თავისუფლების მოედანზე, 4 ნოემბერს, ოპოზიციის მიერ გამართული აქცია შევარდნაძე-ჟვანია-სააკაშვილის მიერ ლეიბორისტების წინააღმდეგ დადგმული სპექტაკლი იყო".** მთავარი არგუმენტი კი მაინც ის არის, რომ ლეიბორისტები ყველაზე წინ ხალხის ინტერესებს აყენებენ, ქუჩაშიც მხოლოდ კონკრეტული პოზიტიური შედეგის მისაღებად გამოდიან. მაგალითად, დენის ტარიფის შემცირების მიზნით. ხალხს რომ არჩევანი წაართვეს, როგორც ჩანს, ნათელაშვილის აზრით, ეს არ იყო მათი ინტერესების შელახვა. აი, სულ ახვა საქმეა კანალიზაცია: **"სად იყო ეს ხალხი, როცა ჩვენ "თბილწყალკანალის" არგასხვისების ან სკოლების გადასარჩენად ვმართავდით აქციებს?" -** ცხარობს ნათელაშვილი.

ნათელაშვილი ახლა იმდენად არის მშვიდობის იდეით შეპყრობილი, რომ არც აჭარიდან შემოსული მონაცემების გამო აპირებს ხმაურის ატეხვას, თუმცა წინასწარ იცის, რომ საკმაოდ ბევრი პარტიისთვის უარესობისკენ შეიცვლება შედეგები. საერთოდ აჭარა მისთვის იმდენად ფაქიზი რეგიონია, რომ, მისი შეფასებით, "ნაციონალების" ლიდერის მსგავსი აქცია-ღონისძიებების ჩატარებას ყველა კატეგორიულად უნდა ერიდოს, რადგან აქ უკვე თავისუფლად **"შეიძლება რელიგიურ ნიადაგზე კონფლიქტის გაღვივება."**

... და ეს კაცი თავს საქართველოს მომავალ პრეზიდენტს უწოდებს.

# "ოპოზიციას აქვს სიმართლე!"

*"ოპოზიციას აქვს სიმართლე!" - ამბობენ აფხაზეთიდან დევნილები, რომლებიც კომენტარს უკეთებენ თამაზ ნადარეიშვილის განცხადებას იმის თაობაზე, რომ ოპოზიციური გამოსვლები ხელს შეუშლის აფხაზეთის დაბრუნებას.*

ზაზა ფარუაშვილი

თამაზ ნადარეიშვილის განცხადებაზე კომენტარი ვთხოვეთ ფოსტა-ტელეგრაფის შენობის წინ მდგარ დევნილთა პირველივე ჯგუფს, რომელმაც აღნიშნული საკითხისადმი ცხოველი ინტერესი გამოიჩინა. ცხადია, საუბარი არჩევნებსაც შეეხო.

**ჯგუფური პასუხი:** "თვითონ რა გააკეთა ამ 10 წლის მანძილზე. ერთი ნაბიჯი არ გადაუდგამს წინ. პარლამენტმა გამოიტანა დადგენილება, გაიყვანეთ რუსის ჯარიო. რატომ არ გაიყვანეს?!

სანამ ნადარეიშვილი იქნება, ჩვენ აფხაზეთში ვერ დავბრუნდებით. ამ ოპოზიციას თუ დავუდგებით გვერდში, ეს იქნება ჩვენი გამარჯვებაც და დაბრუნებაც. თუ არა, ამ მთავრობის ხელში ვერასოდეს დავბრუნდებით. ამას თუ ვერ მივხვდით კიდევ, ჩვენი საშველი არ იქნება."

**დავით დოლბაძე,** დოცენტი, თსუ-ს სოხუმის ფილიალის სამოქალაქო სამართლის კათედრის გამგე: "ეს ხელისუფლება არის კრიმინალთა ხელისუფლება. ვინ დგას შევარდნაძის გვერდით?! – ირინა სარიშვილი, რომელმაც ილიას პარტია გაანადგურა. მამალაძე... რჩეულიშვილი ვინ არის, კაცო?! ამიტომ შევარდნაძე იმისთანა გარემოცვაშია, ხალხისთვის ვერაფერს გააკეთებს. არც აქამდე გაუკეთებია. შევარდნაძის აურა არის დამანგრეველი. მას ედუარდ მნგრეველი უნდა ერქვას. შენება არ ეხერხება. ძალიან გული მწყდება ამაზე. სტალინი, მართალია, დიქტატორი იყო, მაგრამ ამავე დროს აღმშენებელი კაციც იყო. მან არაფრისგან სახელმწიფო შექმნა.

შევარდნაძეს ქართველი ხალხისთვის არაფერი გაუკეთებია. საქართველო დაანგრია. საერთოდ, ყველაფერს ანგრევს.

არჩევნები ოპოზიციას მოგებული აქვს დიდი უპირატესობით და ახლა მიმდინარეობს გაყალბება.

სამგორის რაიონში ვცხოვრობ. ოჯახში ექვსი ამომრჩეველი ვართ. არჩევნების წინ დამირეკეს და მითხრეს, ბატონო დავით, გთხოვთ, ხმა მისცეთ პანტიკო თორდიასო.

მე ვუთხარი: პანტიკო თორდიას ძალიან დიდ პატივს ვცემ, ვიცნობ, როგორც ბრწყინვალე კაცს, მაგრამ ის ისეთი სახელგატეხილი ხალხის გვერდით დგას, რომ ხმას ვერ მივცემ-მეთქი. მეორე დღეს მივედით და სიაში არც ერთი არ ვიყავით. ბევრი ვიბრძოლე და მაინც მივეცი ხმა მაჭავარიანს, მაგრამ ჩემნაირი ძალიან ბევრი ამომრჩეველი გააბრუნეს უკან."

**ნუგზარ გაბელია,** მწერალი, მწერალთა კავშირის წევრი: "თუ წინამძღოლმა არაფერი გააკეთა, აფხაზეთს როგორ დავიბრუნებთ? 11 წელია ვუცდით, კარგი არაფერი ხდება.

ჩვენს ოპოზიციას ცოტა რაღაც ეროვნული, ქართული ხასიათი აშკარად დაეტყო. ამიტომ, თუ მათებურად წავიდა საქმე, რაღაცას მივაღწევთ. ოპოზიციის მხარეზე სიმართლეა.


*დევნილები არჩევნების შედეგებზე ბჭობენ.*

ზაზა ფარუაშვილის ფოტო

მე და ჩემი მეუღლე ხელკავით წავედით არჩევნებზე. გულით მინდოდა, ხმა მიგვეცა, მაგრამ, არა ხართ სიაშიო. რატომ, ხუთჯერ მოხვედით ჩემთან სააგიტაციოდ და სიაში ვერ შემიტანეთ-მეთქი?! ენა დაებათ, გარკვევით ვერაფერი მიპასუხეს. გამოვბრუნდით გაბრაზებულები და, ჩვენს კორპუსში რომ შევედით, აღმოჩნდა - სიაში არავინ ყოფილა.

ასე მოხდა. სახელისუფლებო ბლოკი სომხებისა და აზერბაიჯანელების მიერ არის არჩეული. მათი საწინააღმდეგო არაფერი მაქვს. უბრალოდ, იმას ვერ ვურიგდები, რომ საქართველოში ქართველების ხმები იგნორირებულია და პრეზიდენტსა და პარლამენტს არაქართველი მოსახლეობა ირჩევს. მინდა მე მათი პრეზიდენტი?!"

**ჯემალ თოფურია:** "აფხაზეთის დაბრუნებას ოპოზიციონერების გამოსვლა კი არა, ნადარეიშვილის არსებობა უშლის ხელს. გაიგეთ?! მე ვმუშაობდი აფხაზეთის უმაღლეს საბჭოში, მაგრამ პროტესტის ნიშნად მივატოვე იქ მუშაობა."

**გურამ საჯაია:** "ბატონი თამაზის ეს გამოსვლა არ მომისმენია, ამიტომ არა მგონია, მას ეთქვას, რომ ოპოზიცია ხელს შეუშლის აფხაზეთის დაბრუნებას. პირიქით, ის ყოველთვის ამბობდა, რომ ყველა მშვიდობიანი საშუალება ამოიწურა, არაფერი გაკეთდა და ამიტომ საჭიროა ძალის გამოყენება."

www.24hours.ge 24 B

ნომრის სტუმარი

# იყო ხელისუფალი და ებრძოდე ოპოზიციას

## თუ იყო ოპოზიცია და ებრძოდე ხელისუფლებას

მაია ჭალაგანიძე

*თუკი ამ ვრცელი ინტერვიუს წასაკითხად მოცდებით, კარგი იქნება, აღმოაჩინოთ, როგორ დაატარებდა ხელისუფლებას თავის ჭკუაზე მაშინდელი ოპოზიცია, როგორ არ სჯერდებოდა მცირე დათმობებს და სულ უფრო მეტი უნდოდა. ვერ გეტყვით, სიმბოლურად დაამთხვიეს თუ შემთხვევით მოხდა, რომ 1989 წლის დარად, 2003 წელსაც 4 ნოემბერს დაიწყო საყოველთაო გამოსვლების ის ნაკადი, რომელიც მაშინდელი ხელისუფლების ცვლით დამთავრდა.*
*ჯუმბერ პატიაშვილი 15 წლის წინ, ნოემბერში, ხელისუფლების სათავეში იყო და ოპოზიციას უპირისპირდებოდა. დღეს კი მაშინდელი ოპოზიციის იმ ნაწილს ებრძვის, რომელიც, ბედის ირონიით, სახელისუფლო ბლოკში აღმოჩნდა.*
*სამწუხაროა, რომ 15 წლის მერეც იკეტება გზები და ხელისუფლებას ათიათასობით ადამიანი ჰყავს უკმაყოფილო. მაშინ კომუნისტურ ხელისუფლებას დამოუკიდებლობისთვის ებრძოდნენ. დღეს კი - ხელისუფლებას, რომელსაც ადრე ეროვნული ერქვა და ახლა ძალიან დიქტატორული სახელი - რეჟიმი დაარქვეს...*

**- რატომ და როგორ აღმოჩნდით აჯანყებულ ოპოზიციასთან?**

- აღმოვჩნდი დაზარალებულთა შორის. სამწუხაროდ, ოპოზიცია ბოლო პერიოდში გახდა პოპულარული. წელიწადნახევარია, რაც ჩვენი გაერთიანება "ერთობა" შეიქმნა. ამის ერთადერთი მიზანი იყო, შექმნილიყო ძალა, რომელიც საპრეზიდენტო არჩევნებისას მხარს დამიჭერდა. რაღა თქმა უნდა, პარალელურად საპარლამენტო არჩევნებისთვის ვემზადებოდით.

ჩვენს პარტიას საკრებულოში ფრაქცია აქვს და ცხადია, პარლამენტში მოხვედრის სურვილიც გვქონდა. სამართლიანობისთვის უნდა ითქვას, რომ ჩვენი პოლიტიკური ძალა მომძლავრებული არ არის, მაგრამ ამ არჩევნებში იმდენი მხარდამჭერი გვყავს, რომ 10-12 პროცენტი ნამდვილად უნდა მიგვეღო და 7 პროცენტიანი ბარიერის გადალახვა პრობლემა არ ყოფილიყო.

**- საკუთარი მონაცემებიც გექნებათ.**

- ჩვენი პარტიის შექმნიდან შემდეგი მოულოდნელობა ხელისუფლებისთვის საკრებულოში შესვლა იყო. სწორედ ამის შემდეგ დაიწყო ბრძოლა ჩვენს წინააღმდეგ. არც საკუთარი თავის და არც პარტიის რეკლამირება არ მიყვარს, მაგრამ ჩვენმა პოლიტიკურმა პარტიამ რეგიონებში და ქალაქში საკმაო ავტორიტეტი მოიპოვა საიმისოდ, რომ ბარიერი გადაგველახა. მაგრამ, სახელმწიფო მინისტრი, პირადად პრეზიდენტის დავალებით, ყველაფერს აკეთებდა იმისთვის, რომ პარტიისთვის და პირადად ჩემთვის, ჯუმბერ პატიაშვილისთვის შეეშალათ ხელი. ყველაფერი გათვლილი იყო იმისთვის, რომ პარლამენტში არ მოვხვედრილიყავით.

ეს ყველაფერი საპარლამენტო მუშაობის დროს გამომჟღავნდა. გახსოვთ, ალბათ, პარლამენტში პირველი მოსმენით უპრობლემოდ გავიდა საარჩევნო კოდექსი, რომლის მიხედვითაც, ჩვენს პარტიას საარჩევნო კომისიაში ერთი ადგილი ეკუთვნოდა. მეორე მოსმენისთვის "მრეწველმა" ზურაბ ტყემელაძემ გამოიჩინა ალტერნატიული ინიციატივა, რის მიხედვითაც, ახლადშექმნილ პარტიას (ვიგულისხმებოდით ჩვენ და აბსნაძის პარტია), საარჩევნო კომისიაში არც ერთი ადგილი არ გვეკუთვნოდა. ეს ინიციატივა არ გავიდა. ამის შემდეგ გამოჩნდა მაჟორიტარ არჩილ გოგელიას ანალოგიური წინადადება. ბატონი არჩილი მიხვდა, რომ ვიღაცის დავალებას ასრულებდა და თავისი წინადადება გაიწვია. ეს საკითხი, თითქოს, მოიხსნა მაგრამ ახლა ელიზბარ ჯაველიძემ და ჯემალ გამახარიამ წარმოადგინეს საკითხი და ჩვენ კვლავ ბლოკირებული აღმოვჩნდით.

თუმცა, "აღორძინების" ზემოთხსენებულმა წევრებმა თქვეს, თითქოს, საქმის კურსში არ იყვნენ, მაგრამ "მოქალაქეთა კავშირი", "აღორძინება" და "მრეწველები" გაერთიანდნენ და ასე დავრჩით თამაშგარე მდგომარეობაში.

მოგეხსენებათ, როგორ ტარდება არჩევნები საქართველოში. ჩვენ კი კომისიაში წარმომადგენელი არ გვყავს, არც სხვა რამ ბერკეტი გაგვაჩნია და სწორედ ამიტომ, ამ საარჩევნო კომისიაში სერიოზული პრობლემები შეგვექმნა.

სიმართლე გითხრათ, მცირედი კოსმეტიკური ცვლილებები - მარკირება, მეთვალყურეთა და დამკვირვებელთა ყოფნა - იმედს მაძლევდა, თუმცა...

**- არჩევნების წინ თქვენ გააკეთეთ განცხადება მოსკოვური ხმების გაყალბების შესახებ. ასეც მოხდა?**

- მქონდა ინფორმაცია, სტრუქტურებმა, ვინც ამ საკითხებს კურირებს, კატეგორიული დავალება მიიღეს, რომ მოსკოვის საარჩევნო უბნებიდან რეალური ხმები არ უნდა აგვეღო. იქიდან კი ჩვენ კარგ შედეგებს ველოდით, რადგან შექმნილი გვაქვს პარტიის რეგიონული ბიურო, რომელსაც სოხუმელი საკმაოდ პატივცემული, პოპულარული და ავტორიტეტული კაცი, დევნილი, "სოხუმხელსაწყოს" ყოფილი დირექტორი, ალექსანდრე მიქაძე ხელმძღვანელობს.

ამ დავალების შესახებ ინფორმაცია არაოფიციალურად ისევ ხელისუფლებიდან მივიღე. პრეზიდენტის მთავარი ამოცანაა, პატიაშვილი პარლამენტში არ მოხვდეს.

**- თქვენს დაპირისპირებას დიდი ხნის ისტორია აქვს...**

- დიახ, ამისთვის მას პირადი მიზეზები გააჩნია. ერთ-ერთი ასეთი მიზეზი ჩემი პრეზიდენტობისთვის ბრძოლა იყო. პრეზიდენტი 1995 წელსაც გაყალბებით მოვიდა ხელისუფლებაში. ჩემთვის ეს დიდად დამაიმედებელი არ არის, მაგრამ საშინელ ზეწოლას განვიცდიდით მეც და ჩემი მხარდამჭერებიც. ხელისუფალი ველარ მართავს პროცესებს. ამის თქმის უფლებას არჩევნების ორგანიზაცია მაძლევს. არჩევნების წინა დღეს სიების არარსებობა ნონსენსია. ეს შეგნებულად გაკეთდა. პრეზიდენტს სურდა, მაქსიმალურად ეჩვენებინა საზოგადოებისთვის, რომ არჩევნები დემოკრატიულად ჩატარდა, რომ პარლამენტში ოპოზიციური პარტიებიც მოხვდნენ. პატიაშვილი და მისი გუნდი კი არაფერს წარმოადგენს. აი, ამის ჩვენება სურდა.

მცხეთაში 43 000 ამომრჩევლიდან 460 ხმა დამიფიქსირეს. ხალხის ეს რაოდენობა მარტო ჩემს სოფელში ცხოვრობს. იქ არიან ჩემი თანამშრომლები, მეგობრები, ახლობლები... ამგვარი რამ ხელისუფალთათვის სამარცხვინოა. მე კი თავს შეურაცხყოფილად ვგრძნობ იმიტომ, რომ ხმები ვერ დავიცავი.

**- დაცვის რა საშუალებები გქონდათ?**

- არავითარი და ამიტომაც შევუერთდი ოპოზიციას.

**- რა ლოზუნგი მიიტანეთ გაერთიანებაში?**

- მივიტანე პროტესტი ხელისუფლების მიმართ. ჩვენი მოთხოვნაა, ეს არჩევნები არ ჩაითვალოს ჩატარებულად. ამ არჩევნების ლეგიტიმაცია ნულის ტოლია.

ჩემი ის მხარდამჭერები, ვინც ხმა ვერ მისცა, სასამართლოში სარჩელის შეტანას აპირებენ. და ამის მიზეზი მხოლოდ ის არის, რომ შევარდნაძემ ჩამომაშოროს პოლიტიკას და დაამტკიცოს, რომ როგორც პოლიტიკოსი, არ ვარსებობ და არავითარი რეიტინგი არ გამაჩნია.

**- ფილარმონიაში გამართულ ოპოზიციის შეხვედრაზე უჩვეულოდ ემოციურად გამოხვედით. დარჩა შთაბეჭდილება, რომ რაღაც ბოლომდე ვერ თქვით...**

- დიახ, შევარდნაძესთან სათქმელი მაქვს, მაგრამ არა ერთი-ერთზე. პარლამენტში მას ვუთხარი, რომ ისეთი რამ მაქვს სათქმელი, რაც ხალხმა უნდა იცოდეს. პოლიტიკოსობა ერთი დღით არ შემოიფარგლება. ვიცი ჩემი ადგილი საზოგადოებაში, ზედმეტი პრეტენზიები და ამბიციები არ გამაჩნია. მაგრამ, მაწუხებს ერთი რამ - ყველაფერი ფარულად კეთდება, რადგან ჩემი მისამართით მუდამ ისმის შეკითხვები... აი, თქვენც ხომ დაგებადათ?! მე კი ვიცი პასუხი ამ კითხვებზე, ხალხის წინაშე შეხვედრას ვითხოვ და არა იმიტომ, რომ მამაშვილური დარიგება მომცეს. პრეზიდენტს დანაშაულებრივი გზა აქვს არჩეული და უფლება არ მაქვს, რომ მომავალი თაობის წინაშე ეს დავმალო.

წინა საპრეზიდენტო არჩევნებისას სატელევიზიო დებატები შევთავაზე, მაგრამ მან შეხვედრა არ იკადრა.

**- თქვენთან გაერთიანდა მამუკა გიორგაძე, რომელიც, როგორც ჩანს, არ უნდა იყოს კმაყოფილი თქვენი ოპოზიციასთან მისვლით.**

- რა თქმა უნდა, მასაც აქვს თავისი მოსაზრებები, მაგრამ ისიც ოპოზიციასთან დგას. ჩვენს აზრებში ჰარმონიული თანხვედრა არ არის, მაგრამ მიზანი ერთი გვაქვს - საქართველოს პრობლემების გადაწყვეტას ერთნაირად ვხედავთ.

**- ოპოზიციის გაერთიანებისას ჭაჭია იყო უარყოფითი ფაქტორი. დღეს ამ ფაქტორმა უკანა პლანზე გადაინაცვლა?**

- დიახ. ოპოზიციის გაერთიანება არ უნდა იყოს თვითმიზანი. ამ პროცესებში ყველას თავისი ნიშა აქვს. არის აზრები, რაშიც თანხვედრილნი ვართ, მაგრამ აგრეთვე არსებობს წინააღმდეგობები. სახელისუფლო ბლოკის ამხელა პროცენტი საზოგადოებისთვის შეურაცხმყოფელია.

**- შეურაცხყოფილ საზოგადოებას ოპოზიცია გონივრულად უნდა მოეპყრას. ასეა?**

- ამას საკმაოდ დიდი მობილიზება და გამოცდილება უნდა. გზები გადაკეტილია, არის წინააღმდეგობა - ერთი პატარა ნაპერწკალი და ის იმგვარ დაპირისპირებაში გადაიზრდება, რომლის წინააღმდეგიც ვარ.

ვფიქრობ, რომ ჯერჯერობით ოპოზიცია სიტუაციას ფლობს და მშვიდობიან აქციებს ატარებს. არ მაშინებს, მაგრამ ცოტათი მაფიქრებს დაშინება ხელისუფლების მხრიდან. ბოლოს და ბოლოს, კაცი ყველაფერზე წავა, ოღონდ სიმართლე ხალხის მხარეს იყოს. პოლიტიკოსებად არ იბადებიან. ჯერ ადამიანური მუხტია მთავარი.

მიზანი თუ თანამდებობაა და არა საქართველოში ჭეშმარიტი თავისუფლების დამყარება, დავღუპულვართ.

მედია, თითქოს, თავისუფალია, მაგრამ ამავე დროს მასმედიაში გამოქვეყნებული მასალებისადმი ყურადღება ნულის ტოლფასია. "წერე და იკითხე" დამოკიდებულება ძალზე მძიმეა.

**- ისე, "კომუნისტში" ან заря востока-ში კრიტიკული ხასიათის წერილი რომ დაიწერებოდა, მაშინვე რეაგირებდნენ...**

- დიახ, რეაგირება მაშინვე იყო ხოლმე. ერთი კრიტიკული მასალა და... ნომერს იტაცებდნენ.

**- თავის დროზე თქვენ რესპუბლიკის მეთაური იყავით. მართალია, სხვა სისტემა იყო, მაგრამ, არ მსმენია, რომ საპროტესტო გამოსვლების დაშლის მეთოდიკას რეფორმები შეხებოდეს...**

- დიახ, სხვა სისტემაც იყო და სხვა კანონებიც. ყოველგვარ მიტინგს არასანქცირებული ერქვა და უნდა დაშლილიყო. ხელისუფლებას ჰქონდა დაშლის...

**- დარბევის მეთოდები...**

- სროლის უფლება არ ჰქონდა, მაგრამ მიტინგი უნდა აღკვეთილიყო.

**- რამდენად ხშირად ხვდებოდით მაშინდელ ოპოზიციას?**

- თავიდან როგორ არ ვხვდებოდი, მაგრამ, სამწუხაროდ, ბოლო პერიოდში აღარ ხერხდებოდა. ნოემბრის აქციების (1988 წელი) მთავარი თემა საკონსტიტუციო ცვლილებები იყო. სსრკ-ს კონსტიტუციაში შედიოდა ცვლილება, რომლის მიხედვითაც ერებს აღარ ეძლეოდათ თვითგამორკვევის უფლება. ამ პუნქტის ამოღების კატეგორიული წინააღმდეგი ვიყავი და ამის დამადასტურებელი საბუთებიც მაქვს. ამას წინათ ვიდეო ჩანაწერებიც მოვისმინე... ჩავატარეთ სესია და ცვლილება არ მივიღეთ. მიტინგებით კი თითქოს პოზიციას ვიმაგრებდი და ერთგვარი თანამონაწილე ვხდებოდი.

მაშინ სსრკ-ს საკანონმდებლო კომისიის თავმჯდომარე რაზუმოვსკი გახლდათ. მან მოახსენა გორბაჩოვს, რომ პატიაშვილის ინიციატივით ეს პუნქტი არ შეიცვალაო... "არ იქნას მიზანშეწონილი ამ პუნქტის ამოღება" - ასე მოვახსენე გორბაჩოვს. დამიძახეს მოსკოვში. თბილისში კი მიტინგები იყო დაწყებული. მოსკოვშიც მივაღწიე იმას, რომ ცვლილება არ შესულიყო (და ეს გამოსვლა არსებობს). ამის შემდეგ, ვითომ დეპეშა გამოაგზავნა გორბაჩოვმა, რომ საკითხი გადაწყვეტილი იყო და მიტინგი დაიშალა... სამიტინგო უკვე აღარაფერი იყო, კონსტიტუციაში აღარ შევიდა ეს ცვლილება.

**- როგორ ელაპარაკება ხოლმე ხელისუფლება აჯანყებულ ოპოზიციას?**

- ჩვენ ვხვდებოდით ამ ადამიანებს. გარკვეულ საკითხებზე ვთანხმდებოდით კიდეც. პირდაპირ შემიძლია გითხრათ, რომ არც ერთ მიცემული სიტყვას არ გადავსულვარ. ხანდახან იძულებით გადაწყვეტილებას ვიღებდი, რადგანაც შეწინააღმდეგება ჩემს შესაძლებლობებს აღემატებოდა.

ოპოზიციასთან შევთანხმდით, რომ აპრილის თვეში მიტინგი არ უნდა ჩატარებულიყო. საქმე ის იყო, რომ იმ პერიოდში საუბარი იყო ზამთრის ოლიმპიადაში ბაკურიანის მონაწილეობაზე. ამისთვის სსრკ-ს სპორტკომიტეტის თავჯმდომარე იყო ჩამოსული დიდი დელეგაციით. როდესაც ქვეყანაში ოლიმპიადის ჩატარებაზეა საუბარი, რა თქმა უნდა, არანაირი დესტაბილიზაცია არ უნდა იყოს. მსოფლიო ოლიმპიურ კომიტეტში საბჭოთა კავშირს უნდა წარედგინა საქართველო. მაშინ კომიტეტის თავმჯდომარე სამარანჩი იყო, ბასკი, რომელიც ქართველებისადმი სიმპათიით იყო განწყობილი და თქვა, ოღონდ საქართველო წარადგინონ და მერე პასუხისმგებლობას მე ავიღებო.

მოკლედ, ეს დელეგაცია წავიყვანეთ ბაკურიანში, დაათვალიერეს და იქვე მითხრეს, რომ გადაწყვეტილება მიიღეს. ინფრასტრუქტურის შესაქმნელად 1 მილიარდ 650 მილიონი მანეთი იყო გამოყოფილი. საკმაოდ დიდი კაპიტალი იყო...

უკვე ფაცხაში ვისხედით, ვაჯობეთ კონკურენტებს, კარგი განწყობა გვაქვს, და ამ დროს მირეკავენ, თბილისში მიტინგები დაიწყოო... გაოცებული დავრჩი.

გახსოვთ, მაშინ მიტინგებზე აფხაზეთის პრობლემატიკა იდგა. ლიხნის შეკრებაზე აფხაზებმა საქართველოდან გასვლის ანტიქართულ დოკუმენტს მოაწერეს ხელი, მათ შორის იყო საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ადლეიბაც. სოხუმში ჩავედი და ადლეიბა გავათავისუფლე. აფხაზეთის მთელი საზოგადოება ჩემ მხარეს იყო - ბაგრატ შინკუბაც კი.

თბილისში კი მიტინგები გრძელდებოდა. ოღონდ, თემა შეიცვალა - საქართველოს გამოსვლა საბჭოთა კავშირიდან.

შევარდნაძემ ტელევიზიით თავადვე აღიარა, ერთი ცოდვა მაქვს, გორბაჩოვს არ ვუთხარი, რომ საბჭოთა კავშირი იშლებაო... პატიაშვილისთვის მაინც ეთქვა, იშლება ეს სსრკ და ნუ მოყვებით ნანგრევებშიო...

**- მაშინდელი ოპოზიციის ნაწილი დღეს ხელისუფლებასთან არის... მაშინაც ადვილი იყო მათთან გარიგება?**

- ყველასთან მქონდა ურთიერთობა და საერთო ინტერესების გამოძებნას ვცდილობდი. 7 და 8 ნოემბერს, როცა აფხაზეთიდან დავბრუნდი, ინტელიგენცია ერთხმად თათხავდა ოპოზიციას, ფაშისტებს და სხვა ამგვარებს უწოდებდა...

**- ზოგს ახლაც არ შეუცვლია ტერმინები...**

- ინტელიგენციას შეხვედრას ვთხოვდი და არ მოდიოდნენ. მაშინ ახალი ხილი იყო ეროვნული თემა, ხალხის სიმპათიებიც ოპოზიციისკენ იყო. სისტემას მართლაც რეფორმა სჭირდებოდა. თუ ვინმე გრძნობდა ზეწოლას, ეს მე ვიყავი. მაქსიმალურად ვცდილობდი, საქართველოზე არ ასახულიყო მეზობელი ქვეყნის პრობლემები - ყარაბახის კონფლიქტი, ერევნის მიწისძვრა თუ სხვა რამ... ახლა არ მინდა ამაზე საუბარი... დრო გვიჩვენებს, თუ როგორ ხდება, რომ იმდროინდელი ოპოზიციის ე.წ. ლიდერები დღეს სახელისუფლო ბლოკის სპიკერები არიან. ისინი... არ ვიცი, ვერ ვხსნი...

**- როდის მიმართავს დასახმარებლად ხელისუფლება ინტელიგენციას?**

- იმ შემთხვევაში მიმართავს, როდესაც ხელისუფლებას მოსახლეობასთან ურთიერთობა უჭირს და როცა მოსახლეობას ხელისუფლების ნდობა არა აქვს. დამაჯერებლობისთვისაც მიმართავს, რადგან ინტელიგენციას უფრო მეტად შეუძლია ზნეობრივი ზეგავლენის მოხდენა. მათ უფრო ენდობა ხალხი, ვიდრე ჩინოვნიკს.

ხელისუფლება კი მიმართავს ინტელიგენციას, მაგრამ ეს შედეგს ყოველთვის არ იძლევა. ინტელიგენციის წარმომადგენელთა ნაწილი მყარ, პრინციპულ პოზიციაზე იდგა. მაშინაც და ახლაც ასეა. მხედველობაში არ მყავს ხელისუფალთა ერთგული ინტელიგენცია... მე ეს გადავიტანე და ძალიან კარგად ვიცი. ზოგჯერ გულდაწყვეტილი ვარ ხოლმე, მაგრამ არიან ადამიანები, ვისთანაც დღემდე კარგი პირადი ურთიერთობები მაქვს...

**- თქვენსა და ოპოზიციას შორის, ალბათ, არის რაიმე საერთო, რადგანაც მათთან ხართ. მაგრამ, ამავე დროს, არის სხვაობაც - თაობა, მენტალობა და სხვა. ბოლომდე მიყვებით ამ საქმეს?**

- ამ ეტაპზე ამის თქმა რთულია. არჩევნების პროცესში ერთად ვართ, მაგრამ იმის თქმაც არ შეიძლება, რომ ერთ მუშტად შეკრული და რაღაც ასეთი ვართ. თვითონ იდეა, რომ ხელისუფლებამ არჩევნები გააყალბა, - ჩემთვის მიუღებელია და ახლა აქ ვდგავარ.

როცა დრო გავა, ყველაფერი დაიხვეწება და თავის სახეს მიიღებს - გამოჩნდება, საბოლოოდ, რა გვინდა...

ოპოზიციონერობა ჩემი მიზანი არ არის.

**- რას იტყვით, რა ეტაპზეა ბრძოლა?**

- ბრძოლა არ წამიგია, მაგრამ რომ გითხრათ, მოგებული ვარ-მეთქი, მართალი არ ვიქნები. წაგებული არ ვარ. მოგებული ვარ იმ თვალსაზრისით, რომ ბევრი რამ გამოჩნდა ისეთი, რაც საზოგადოებისთვის აქამდე უცნობი იყო.

კიდევ შემიძლია ბრძოლა არა ძალაუფლებისთვის და არა ხელისუფლების დასამხობად, არამედ - წესიერების დასამყარებლად. არავის ვაძლევ მაგალითს, ამ ქვეყანაზე ბევრად უფრო კარგი და ინტელექტუალური ადამიანები ცხოვრობენ და წესიერება ხვალინდელი დღის განმსაზღვრელია...



**შევარდნაძის ერთადერთი მიზანია, ჩამომაშოროს პოლიტიკას და დაამტკიცოს, რომ როგორც პოლიტიკოსი არ ვარსებობ.**

**პრეზიდენტს დანაშაულებრივი გზა აქვს არჩეული და უფლება არ მაქვს, რომ მომავალი თაობის წინაშე ეს დავმალო.**

**ინტელიგენცია ერთხმად თათხავდა ოპოზიციას, ფაშისტებს და სხვა ამგვარებს უწოდებდა...**

**ხელისუფლება კი მიმართავს ინტელიგენციას, მაგრამ ეს ყოველთვის არ იძლევა შედეგს.**

სვეტი



## პირადი ბიბლიოთეკა

თედო სახოკია,
"მოგზაურობანი" (1950)

მალხაზ ხარბედია

ამ წიგნს მხოლოდ 1950 წელს ეღირსა ცალკე გამოცემა. თედო სახოკია უკვე 82-ისა გახლდათ და იმდროინდელ საზოგადოებას აღარც ახსოვდა, რომ ეს ჩანაწერები ჯერ კიდევ 1896-1903 წლებში "მოამბესა" და "ცნობის ფურცელში" იბეჭდებოდა.

წიგნი ასეთი საინტერესო ფრაზით იწყება: **"როცა ჩვენი სამშობლოს დედაქალაქი ერთ მთლიან გახურებულ თონეს წარმოადგენს, როცა ადამიანი აქ სასუნთქავ ჰაერს ამაოდ დაეძებს, ამ დროს აქედან გასვლას, ნეტავ, თუ რამე სჯობს!"**

უცნაური დამთხვევაა, მაგრამ დღესაც, ნოემბრის მიუხედავად, ჩვენი დედაქალაქი ასეთივე გახურებულ თონეს დაემსგავსა - პოლიტიკურ ღუმელს, სადაც ყველანი ვიწვით, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ დღეს აქედან არავინ აპირებს გასვლას "უმანკო ბუნებაში" თავის შესაფარებლად.

რადგან დღეს, თბილისში, ადამიანები ცდილობენ, საკუთარი ბედი გადაწყვიტონ.

თედო სახოკიას "მოგზაურობას", ასი წლის შემდეგ, საქართველოში ბევრი მიმბაძველი გამოუჩნდა. ეს ყველაფერი, რა თქმა უნდა, არჩევნებთანაა დაკავშირებული და წელს ჩვენმა პოლიტიკოსებმაც ბევრი იმოგზაურეს საქართველოში. "მოიხილეს" ის ადგილები, სადაც ოდესღაც თედო სახოკიას მასპინძლობდნენ. თუმცა, ამ ორ მოგზაურობას, სწორედ მასპინძელთა დახვედრა განასხვავებს ერთმანეთისგან და, რაღა თქმა უნდა, მოგზაურობის მიზნებიც.

მიზნებზე ბევრს არაფერს ვიტყვი, ისედაც ცხადია, რომ თედო სახოკია ხალხის სანახავად და ზნე-ჩვეულებათა აღსაწერად ჩავიდა გურიაში, აჭარაში, სამურზაყანოსა და აფხაზეთში, რათა ამ კუთხის შვილთა განუმეორებელი ხმა შემოენახა შთამომავლობისთვის; და ისიც ნათელია, რომ ჩვენი თანამედროვენი დღემდე მხოლოდ ამ ხმების დასაკუთრებისთვის იღწვოდნენ. ამიტომაც, უბრალოდ მინდა, თავდაპირველად მასპინძლობაზე მოვახსენო ორიოდე სიტყვა წლევანდელი, წინასაარჩევნო მასპინძლობით გაოგნებულ მკითხველს.

არსებითად, მთელი წიგნი ამაზეა, და ყველგან ერთნაირი გულუხვობით ხვდებიან მთხრობელს - მდიდარნიც და უპოვარნიც.

გურიის ერთ სოფელში, თედო სახოკიას ერთი გლეხი გადაეღობება გზაზე: "რაკი აქედან მობრძანდებით და ჩემს ქოხის პირდაპირ გაიარეთ, თუ შეიძლება, იმდენი პატივი მეცით, ჩემს ღარიბ ქოხში შემობრძანდით"-ო, და თან დასძენს, "თქვენი ხელის ნარეცხი დასტუეთ ჩემს სახლში"-ო. ბოლოს კი, ხილეულითა და ოქროსფერი, ნაზი "ჩხავერის" ღვინით მოხასიათებულ სტუმრებს ბოდიშს მოუხდის, - "ასე ცოტა რამისთვის გაგსარჯეთო".

ავტორს ყველგან ასე ხვდებიან - გურიაშიც, აჭარაშიც და სამურზაყანოშიც. თედო სახოკიას სამურზაყანოელ მასპინძელთან ურთიერთობაც ბოდიშებით იწყება; იქაური გლეხი, გუძა, წინასწარ ამბობს, - შენ რომ გეკადრება, ისეთ პატივს ვერა გცემო, თუმცა შემდეგ ავტორი მთელ თავს მიუძღვნის ამ ღარიბ გლეხთან ("თავისი კრუხის წიწილებივით სამი ნაგლეჯუა ბავშვით") სტუმრობის ამბავს. აჭარაში, სუფრასთან ჩამომჯდარ სტუმარს ერთი იქაური მოხუცებული ეტყვის, - "ბრძანე ბატონო!"- ო და საჭმლისკენ გაიშვერს ხელს: "...ხელმა მიმახვედრა, რომ საჭმლის ჭამასა მთხოვდა და - ჩვენებური "საჭმელი მიირთვით"-ის მაგიერ, "საჭმელი ბრძანე" ან მარტო "ბრძანე" სცოდნიათ მეთქი", - დასძენს თედო სახოკია. არადა, მან პირველად ვერც გაიგო ასეთი ქართული და თავს ეკითხებოდა, - ნეტა, რის თქმა უნდა აჭარელ მოხუცსო.

წიგნი, სწორედ ასეთ, ამჟამად გადაშენების პირას მისულ ქართულ კილოკავებს უკვდავყოფს (გაგახსენებთ, რომ თედო სახოკიამ უზარმაზარი "ქართულ ხატოვან სიტყვა-თქმათა" ლექსიკონიც შეადგინა). მაგალითად, შესანიშნავია ბახმაროში, საზაფხულო საძოვრებზე ამოსული მეგრელი მეჯოგეების აღწერა და მათი ენა, უცნაური, ჯვარული აქცენტით რომ საუბრობდნენ ქართულად. აი, რას ამბობს უზა კვარაცხელია, იქაური მწყემსების ბელადი: "ქალემქ რომუ გაჩიდენ აქანა, წახითა და მოგვესიპა, ბატონო, საქიმე: ნადირიქ გეიქცა, ხორიცი გოუფუჭდა, სემილარისტი (ვითომ, ნასწავლი) ქალებიქ აქური გოლეფი (მთები) რომე ნახესუ და დათვალესუ, ყოლიფერი წახითა. არ ღირს აქანა ყოფნა, ბალახი კიდო სუნთელი გაფუჭდა..."

ასეთი მაგალითები უსასრულოდაა წიგნში; უბრალოდ, რამდენიმე ნიმუში მინდა მოვიყვანო გურული და აჭარული მარაგიდან: მაგალითად, გურიაში წყაროს საცივს ეძახიან ("გურიელის საცივი"), დამსვენებლებს - მეჰაერეებს, თეთრეული კი აჭარაში წველა ძროხა, რძე და მისი პროდუქტები ყოფილა. დიდცხვირას - სურათცხვირიანს უწოდებენ აჭარაში, გზა-ბაწარს - ვიწრო ბილიკს, ზღვაურს კიდევ - ზღვიდან მობერილ ქარს.

წიგნი ნატანების სადგურით იწყება და გაგრით მთავრდება, გზადაგზა კი ავტორი ათას საინტერესო ისტორიას გვიამბობს, რომლებიც, მის მიერვე თარგმნილი ბოკაჩოს "დეკამერონივით", ძირითადი ამბის ჩარჩოში ჯდება თხრობით მარგალიტებად.

აქ წაიკითხავთ ბათუმის მაწყევარი მოხუცი გურული მეომრის მონათხრობს ("გამუექეცი და ბათუმს ქვა და გუნდა მივაყარე"), მიტროპოლიტ იაკობ დუმბაძის, მამუკა თავდგირიძის, აბდულ-ბეგ ხიმშიაშვილისა და აკეთელი მათუსალას, 147 წლის სიმონიკა ღლონტის ამბავს, მეორე ცოლი რომ შეურთავს 110 წლისას (ეს კაცი ავტორის იქ ყოფნისას გარდაიცვალა თურმე). დეტალურადაა მოთხრობილი აჭარის შემოერთების ისტორიაც და ავტორი სიტყვებს არ იშურებს იმ ადამიანთათვის, "ვისი სახელიც დაუვიწყრად უნდა ჩავიქსოვოთ ხსოვნაში". ამას გარდა, წიგნში ბევრ საინტერესო რამეს წაიკითხავთ ღომის (სიმინდის ღერღილში არ აგერიოთ) მოყვანის ურთულესი პროცესის შესახებ, შეხვდებით აჭარელ მეთევზეებს და ა.შ.

თავის დროზე სწორედ "მოგზაურობანი"-დან გავიგე, რომ პირველად ოზურგეთის ბაღში დაურგვევინებია თ. ვორონცოვს ოდესიდან გამოწერილი ვაზის, "იზაბელას" ჯიში. არაჩვეულებრივია გურიელის მეღვინეთუხუცესის, "ღვინის გამოცნობაში მეტად დახელოვნებული კაცის", ვინმე ანთაძის ამბავი. ერთხელ უცხო სტუმრების თანდასწრებით გამოუცდია მთავარს თავისი მეღვინეთუხუცესი; აურევიათ სამნაირი ღვინო: ფერსათული, ოსეთური, ჩაქვური და ანთაძისთვის მოუხმიათ, - გამოიცანიო. მეღვინეთუხუცესს კი გემო უნახავს თუ არა, უთქვამს:

**"ფერად ფერსათულიაო,**
**გემოდ - ოსეთურიო,**
**ცოტას მოიჩაქურებსო."**

აფხაზეთისადმი მიძღვნილ თავებზე ლაპარაკი დიდხანს გაგვიგრძელდება, უბრალოდ ვიტყვი, რომ თედო სახოკია "ცნობის ფურცელში" თავის დროზე "სოხუმელის" ფსევდონიმითაც კი წერდა და მისი წერილები დღემდე არ კარგავს აქტუალობას. ეგ კი არადა, ამასწინათ, ინტერნეტში, სეპარატისტების ცისფრად აკიაფებულ საიტზე (abkhazia.narod.ru), ვიღაც ენამახვილი პუბლიცისტი კრიტიკის ქარცეცხლში ატარებდა თედო სახოკიას 1905 წელს გამოქვეყნებულ ერთ სტატიას.

ბოლოს, ისევ არჩევნების თემით დავასრულებ და აბა, რა ნამუსი იქნება, "მოგზაურობანი"-ს აჭარული თავიდან რომ არ მოვიყვანო ეს საფინალო ამბავი.

თედო სახოკიას ხულოში ხის ჯამე (მეჩეთი) უნახავს, რომელსაც საძირკვლად ოსმალთა მიერ დანგრეული ქართული ეკლესიის ქვები ჰქონია. მაჰმადიანებს თავიდან პირდაპირ მეჩეთად უქცევიათ ეს ეკლესია, მაგრამ ხოჯასა და მლოცველების **ხმა**, გუმბათის რეზონანსის მიზეზით, ერთმანეთში ირეოდა თურმე და ამ უხერხულობის ასაცილებლად ქვის გუმბათი მოუნგრევიათ, ხით შეუცვლიათ, მერე კი სულაც დაუქცევიათ ქვითკირის ეკლესია. დაახლოებით 100 გვერდის შემდეგ კი სხალთის ეკლესიის აღწერისას ავტორს "წამოსცდება": "ჭერში (ეკლესიის) ოთხივ კუთხივ ჩაკირულია **ხმის** გასადიდებელი ჭურები, რომელნიც მტრის ხელს ხელუხლებლად გადარჩენილან"-ო.

ახლა კიდევ, სადღაა ის ჭურები, ხალხის ხმას რომ ადიდებს?! ისინი, მტრისგან ხელუხლებლად გადარჩენილნი, რამდენიმე დღის წინ, მარტო აჭარაში კი არა, მთელ საქართველოში ჩამოანგრიეს, რათა ამიერიდან ქვეყანაში არა ხალხის, არამედ კანცელარიის ხოჯათა ხმა გაისმას - ჩვენი **"უმეცრებისა და უმწეობის აღმნიშვნელად..."**

# მარშლიანთკარში ნაალაფარი ფერები

ნატა კუპრაძე

გუშინ სამხატვრო აკადემიაში სტუდენტთა ნამუშევრების გამოფენა გაიხსნა - ფერწერის, გრაფიკის, მონუმენტური ფერწერის, კინოსა და თეატრის მხატვრობის ფაკულტეტების სტუდენტებმა ზაფხულში ახალქალაქში პრაქტიკის დროს შესრულებული ნამუშევრები გამოფინეს.

კასპის რაიონის სოფელ ახალქალაქში, იმ ადგილს, სადაც აკადემიის ტრადიციული ბაზაა, "მარშლიანთკარს" ეძახიან - გიორგი სააკაძის შთამომავლობის თარხან-მოურავების საცხოვრებელი ყოფილა. "თითქმის, ათი წელი ბაზა არ ფუნქციონირებდა და, მეორე წელია, რაც აღვადგინეთ. შარშანდელისგან განსხვავებით, როცა კულტურის სამინისტრომ და აკადემიამ დააფინანსეს, წელს სტუდენტებმა თავად დაიფინანსეს პრაქტიკა. გამოფენისთვის ნამუშევრებიც საკუთარი ხარჯით მოაწესრიგეს. ვინც ვერ მოახერხა, სამწუხაროდ, ვერ გამოფინა," - აღნიშნა პრაქტიკის ხელმძღვანელმა ზურაბ გაბუნიამ. ადრე რომ აკადემია თავის სტუდენტებს კარგად უვლიდა, არავინ უარყოფს, მაგრამ დღევანდელ სტუდენტებს ამის წარმოდგენა გაუჭირდებათ. მათ ხომ ყველაფრით თავად უნდა უზრუნველყონ აკადემიაში სწავლის პროცესი - წყლითაც კი. ძალიან კარგი ყოფილა ახალქალაქური ზაფხული - მხიარული და საქმიანი. თითოეულმა ოცი-ოცდაათი ნამუშევარი ჩამოიტანა, ზოგი ჩანახატის და ზოგიც დასრულებული სახით.

"პირველად ვხატავდი პეიზაჟს, ასე მგონია, რომ ხელი გამითავისუფლდა. გაისადაც წავალ, " - ამბობს ელენე ნავერიანი, მონუმენტური ფერწერის ფაკულტეტის მეორე კურსის სტუდენტი.



*მეორე კურსელები პრაქტიკის შემდეგ*

"ბუნება რომ საუკეთესო მასწავლებელია, ამას რა მტკიცება უნდა -ფორმას და ფერს უფრო თავისუფლად ხედავ, არაფერი არ გკეტავს, თუმცა ყველაფერი მაინც ინდივიდუალურია, ყველა ერთნაირად ხომ არ ხედავს, " - ამბობს ფერწერის ფაკულტეტის მეხუთეკურსელი დათო ნანეიშვილი.

მეორეკურსელი ფერმწერის პეიზაჟებში აბსოლუტურად განსხვავებული ტონი და მოულოდნელი ჟოლოსფერი ჩნდება. "მე ვხედავდი,"- გვეუბნება ამირან ხარისთვალაშვილი. ბუნებრივია, ყველას ერთ გარემოში აქვს შესრულებული, მაგრამ რამდენი მხატვარიცაა, ერთ პეიზაჟს იმდენი ფორმა და ფერი შეიძლება ჰქონდეს - თვალზე, ხელსა და ოსტატობაზეა დამოკიდებული. "ახალქალაქში მეორედ ვიყავი, ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია, ექსპერიმენტებისთვის. სწავლის ეს ფორმა ძალიან სასარგებლოა," - გვეუბნება მონუმენტური მოხატვის ფაკულტეტის მესამეკურსელი გიორგი მარი.

რა თქმა უნდა, ძალიან სასარგებლო იქნება, თუ ამგვარი პრაქტიკა, წელიწადში ერთხელ კი არა, სასწავლო პროცესის ერთ-ერთ აქტიურ ფორმად დამკვიდრდება.

ეს კი, სურვილის გარდა, ფინანსებსაც მოითხოვს.

# რუსი სტილისტები მაყურებელს აოგნებენ

მოსკოვში ერთი კვირის მანძილზე რუსი სტილისტების მოდელების ჩვენება გაიმართა. რუსები მუდამ საზოგადოების გაოცებას ცდილობენ, მაგრამ ამჯერად მათ ყოველდღიური ტანსაცმელი წარმოადგინეს.

გრძელფეხებიანი გოგონები ნამდვილი პისტოლეტით შეიარაღებულნი და მოტოციკლზე შემომსხდრები გამოდიოდნენ პოდიუმზე. მიუხედავად ამ უჩვეულო სანახაობისა, იქ მყოფებმა აღნიშნეს, რომ მკერავების მიერ შექმნილი ტანისამოსი პროფესიონალთა წუნდაუდებელი ნამუშევარი გახლდათ.

“ჯეიმს ბონდის გოგონებისთვის” ბრილიანტები აუცილებელი აქსესუარი იყო.

პეტერბურგელი ალექსანდრე არნჰოლტის მოდელები შორტებში, შარვლებში და საღამოს ბრწყინვალე კაბებში იყვნენ გამოწყობილები.

სტილისტი ლიუდმილა იაკუშინა თავის საქმეს უკვე 12 წელია უძღვება. იგი ერთ-ერთი იმ რუს სტილისტთაგანია, ვინც თავის მოდელებში რუსულ სტილს არ კარგავს; მისი კოლეგები კი, საქონლის უკეთესად გაყიდვის მიზნით, მოდელებში აღმოსავლურ სტილს ურევენ. “მთავარია, პროფესიონალი იყო, მოდას ხომ ეროვნება არ აქვს,” – აცხადებს იგი.



REUTERS

*აზიური მოტივები რუსულ მოდაში*

ჩვენება ვასას Easy rider-ად მონათლულმა დეფილე-სპექტაკლმა გახსნა, რომელიც 60-იანი წლების ნოსტალგიას წარმოადგენდა და სტრიპტიზით დასრულდა. იმის დასამტკიცებლად, რომ ისინი სექსუალურები, რეტროს სტილის მიმდევრები, ველურები და თან ქალურები არიან, მოდელებს ულტრაკლასიკური ფერები ამშვენებდათ.

“უბრალოება, მისაწვდომი ფასის საწინდარია,” – აცხადებს რუსი სტილისტი, რომელსაც მოსკოვში უამრავი “ბუტიკი” აქვს გახსნილი.

ტატიანა სუდარიანკომ, რომელიც, უკვე ათი წელია, რაც კუტურიეა, Russian Fashion Week-ში მიიღო მონაწილეობა, რათა თავისი კლიენტების რიცხვი საგრძნობლად გაეზარდა. მისი ტანისამოსი კლასიკურ შტრიხებს შეიცავდა. ტატიანა ამტკიცებდა, რომ რუსული მოდა თავხედობით და გამბედაობით გამოირჩევა.

მაქს ჩერნისტოვი, რომლის კოლექცია იუმორით იყო აღსავსე, აფრო-ამერიკული და თავისუფალი სტილის ნაზავს წარმოადგენდა. “გართობა ჩემი კრედოა,” – ამტკიცებდა ახალგაზრდა სტილისტი.

რუსული მოდის კვირეულის ორგანიზატორის – მიხაილ შუმსკის და სააგენტო “არტეფაქტის” განცხადებით, - “სიგიჟე ფანტაზიის უკიდურესი გამოვლინებაა”.

მიხაილ შუმსკის აზრით, რუსი სტილისტები ამიერიდან უფრო პრაგმატულები გახდებიან, რადგან ისინი საბოლოოდ მიხვდნენ, რომ მოდა არა მარტო ხელოვნებაა, არამედ - ინდუსტრიაც. ბოლო ორი წლის მანძილზე მოსკოვში მხოლოდ ორი “ბუტიკი” ვაჭრობდა რუსული ნაწარმით. ამიერიდან მაღაზიების რიცხვი შეუზღუდავად იმატებს.

# ფოტოგრაფიის საერთაშორისო სახლი

პირველი გამოფენა

ჰამბურგელი ფოტოგრაფის ფრანც ქრისტიან გუნდლახის კოლექციის ჩვენებით ჰამბურგის „ფოტოგრაფიის საერთაშორისო სახლმა“ საგამოფენო საქმიანობა დაიწყო. მისი სამხრეთ დარბაზების ოფიციალური გახსნა რემონტის შემდეგ, 2004 წელს შედგება.

გამოფენა "სუფთა ხედვა", რომელიც გუშინ გაიხსნა, 26 იანვრამდე გასტანს. გუნდლახის 12 ათასი ნამუშევრის მომცველი კოლექციიდან აქ ოთხასია გამოფენილი.

77 წლის გუნდლახი „ფოტოგრაფიის საერთაშორისო სახლის“ ერთ-ერთი დამფუძნებელი და დირექტორია. მისი ფოტოკოლექცია ევროპის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს კოლექციად ითვლება.

ფრანც-ქრისტიანი ათი წლისა იყო, როცა მშობლების სააბაზანოში, ფარდის უკან ფოტოსურათების გამჟღავნება დაიწყო. წლების გავიდა და ის იმისშემდგომ ევროპის ერთ-ერთი უდიდესი მოდის ფოტოგრაფი გახდა.

60-იანი წლების ბოლოს გუნდლახმა კამერა გვერდზე გადადო და „პროფესიული ფოტომომსახურების სახლში“ გახსნა, რომელიც ლაბორატორიებსა და სტუდიებს მოიცავდა. შემდგომ ეს სახლი ჰამბურგში „ფ.ქ.გუნდლახის გალერეა“ იქცა – ეს პირველი ნამდვილი ფოტოგალერეა იყო გერმანიაში. 90-იანი წლების დასაწყისში, როცა მისმა წლიურმა შემოსავალმა 30 მილიონ გერმანულ მარკას მიაღწია, გუნდლახმა თავისი იმპერია გაყიდა და თავდაუზოგავად კოლექციონერობასა და გამოფენების ორგანიზატორად მოგვევლინა.



*ერვინ ბლუმენფელდი. „ვენერა“, 1946 წელი*



*ანასტას სუტკუსი. „მამის ხელი“, 1964*

და აი, წელს მან თავისი სიმდიდრე ჰამბურგში გამოფინა: „ამ გამოფენის შექმნისას გვინდოდა, რომ ფოტოგრაფიის კონტრასტები გვეჩვენებინა: ის ლამაზია და საშინლად ელეგანტური და ველური; ახალგაზრდა თაობის ყურადღების მიპყრობა გვინდა,“ - ამბობს გუნდლახი.

გამოფენა "სუფთა ხედვის" ძირითადი სიმდიდრეა გასული საუკუნის 50-იანი წლების ფოტოგრაფია. დარბაზებში 56 ხელოვანის ნამუშევრებია წარმოდგენილი. თემატური თვალსაზრისით, ისინი ადამიანზე არიან კონცენტრირებული. აქ დადგმულ ფოტოსურათებსაც ნახავთ, რეპორტაჟებსაც და შიშველი ნატურის გამოსახულებებსაც. ერთადერთი სფერო, რომელიც ფელიქსმა თავის გამოფენიდან „გარიყა“, მოდის ფოტოგრაფიაა: “ისედაც ბევრია. მოდა ცალკე გამოფენებისთვის გადავდეთო“.

ერვინ ბლუმენფელდის, ირვინ პენის, რობერტ ფრანკის თუ ოტო შტაინერტის ნამუშევრებთან ერთად კოლექციონერმა ნაკლებად ცნობილი ფოტოგრაფების სურათებიც გამოიტანა. თავად ფელიქს ქრისტიანი თავის განსაკუთრებულ სიმდიდრედ მიიჩნევს აღმოსავლეთევროპელი ფოტოგრაფების ფოტოებს – იოზეფ კუდელკას, ანასტას სუტკუსის თუ ევგენი მოხორევის ნამუშევრებს.

მთელი ეს საგანძური 204 გვერდიან კატალოგშია თავმოყრილი, რომელიც „ფოტოგრაფიის საერთაშორისო სახლში“ იყიდება.

# ელჩი უნივერსალური ენის სამყაროდან

## ლალო შიფრინი დღეს ჰოლივუდის ეპოქას გააცოცხლებს



*მსოფლიო კინომუსიკის კლასიკოსი ლალო შიფრინი დღეს უდავოდ დატოვებს თბილისში ყვავილებსა და დაუვიწყარ განცდებს. დიდი მაესტროს კონცერტზე ახლებურად გაცოცხლდება ეკრანზე უამრავჯერ ნანახი. "ამ მოგზაურობაში იგრძნობთ იმ საფრთხეს, რომელიც უკვე კარგად ცნობილი ფილმების გმირებს ემუქრებათ. მოხვდებით სხვადასხვა საუკუნეში, იმღერებთ, იცინებთ, შეხვდებით თქვენს სიყვარულს, ფინალში კი გელით ტრიუმფი", - ასეთია გამოცდილება, რომელიც დიდი კომპოზიტორის, პიანისტისა და დირიჟორის მსმენელებმა წლების განმავლობაში დააგროვეს. ჩვენ კი ამ ყველაფერს დღეს პირველად განვიცდით. არგენტინელი მუსიკოსი თბილისში კინომუსიკის კლასიკური რეპერტუარით ჩამოვიდა.*

თამარ ბაბუაძე
ვერა ნეფარიძე

**- მეორე დღეა, თბილისში ხართ. როგორია თქვენი პირველი შთაბეჭდილება, როგორ გრძნობთ თავს?**

- აეროპორტიდან გამოსვლისთანავე მივხვდი, რომ საოცარ ქვეყანაში ჩამოვედი. შესანიშნავი ხალხი ხართ. ყველა, ვისაც ამ მოკლე ხნის განმავლობაში შევხვდი, არაჩვეულებრივი ადამიანია. იგივე შემიძლია ვთქვა ორკესტრის წევრებსა და თავად დირიჟორზეც. მაჭავარიანი საოცრად გულისხმიერია, ყველანაირად მეხმარება. უკვე ვიცი, როცა აქედან წავალ, ძალიან მომენატრება საქართველო.

**- თუმცა, ვითარება საკმაოდ დაძაბულია...**

- გუშინ ღამით ტელევიზორისთვის უნდა მეყურებინა, მაგრამ ვერ მოვახერხე. თუმცა, მე ისედაც არ მინდა პოლიტიკაში ჩარევა. მუსიკა ხომ ხელოვნებაა, რომელიც კაცობრიობას შემწყნარებლობას ასწავლის, მსოფლიოში მშვიდობას, სიყვარულს, სიკეთეს ავრცელებს. მე ცუდ პერიოდში გავიზარდე: მეორე მსოფლიო ომი, საბჭოური რეჟიმი, პოლიტიკური ბატალიები თვითონ არგენტინაში. სწორედ ამიტომ, ბავშვობიდანვე გააზრებული მაქვს, თუ რა საშინელებაა დიქტატურა, რამხელა დანაშაულია სისასტიკე. შინაგანად ყოველთვის ამის წინააღმდეგი ვარ. მე მუსიკით და მისი იდეალებით ვცხოვრობ...

რატომღაც მეგონა, რომ 2000 წლით დედამიწაზე ახალი, მშვიდობიანი ეპოქის ათვლა დაიწყებოდა, მაგრამ, სამწუხაროდ, შევცდი. მუსულმანი ტერორისტების გამო, რომელთაც მე მუსულმან ფაშისტებს ვეძახი, ყველაფერი აირია. არ შეიძლება, მსოფლიო ამ პრინციპით ვმართოთ – იფიქრე, როგორც მე, თორემ მოგკლავ. ასე აზროვნება ჩემს იდეალებს ეწინააღმდეგება. ორიოდე წლის წინათ ერთი ნაწარმოები დავწერე, რომელსაც "ესპერანტო" დავარქვი და იცით, რატომ? იმიტომ, რომ მუსიკა უნივერსალური ენაა, რომელიც ჰუმანურობას გვასწავლის.

**- წინასწარ რომ გქონოდათ ინფორმაცია საქართველოში არსებულ მწვავე პოლიტიკურ სიტუაციაზე, მაინც გარისკავდით ჩამოსვლას?**

- რა თქმა უნდა, მაინც ჩამოვიდოდი. ზუსტად არ მახსოვს როდის, 60-70-იანი წლებში, ირლანდიელი ტერორისტების განსაკუთრებული აქტიურობის დროს კონცერტებს ინგლისში ვმართავდი. ძალიან დაძაბული სიტუაცია იყო, ეს განცდა მე და ჩემს მეუღლეს სადილობის დროსაც არ გვშორდებოდა – რესტორნებს ხომ საგანგებოდ იცავდნენ. ბევრჯერ ჩავსულვარ ისრაელშიც, ისრაელის ფილარმონიის ორკესტრთან ერთად გამოსასვლელად; ხდებოდა ისეც, რომ კონცერტის დროს აუდიტორიას აირსაწინააღმდეგო ნიღბები ეკეთა. ყველა მეუბნებოდა, - გიჟი ხარო, - მაგრამ სხვანაირად მოქცევა არ შეიძლება. არც ერთი მუსიკოსი, არც ერთი ხელოვანი არ ირჩევს ეპოქას, რომელშიც ცხოვრობს. ბახის ბიოგრაფიას რომ გადაავლოთ თვალი, ნახავთ, რომ ის პროტესტანტებსა და კათოლიკეებს შორის ასწლიანი ომის შემდეგ დაიბადა. ბეთჰოვენის ეპოქაში ნაპოლეონი ვენაში შეიჭრა... ასე იყო ოდითგანვე - კაცობრიობის ისტორიის განმავლობაში ხელოვანები რთულ პერიოდებში მოღვაწეობდნენ და შედევრებსაც ქმნიდნენ.... თქვენთან რა ხდება ახლა, ძალიან დაძაბული სიტუაციაა? ვინ გაიმარჯვა არჩევნებში?

**- ჯერ საბოლოო შედეგები ცნობილი არ არის, თუმცა, სიტუაცია, მართლაც, რთულია. ხალხს მთავრობის არ სჯერა, ოპოზიცია სამართლიანობას ითხოვს...**

- როგორც უნდა იყოს საქმე, იმედი მაქვს, ყველაფერი მშვიდობიანად მოგვარდება.

**- როგორც ვიცით, მაჭავარიანის ორკესტრის შესახებ ადრეც გსმენიათ...**

- დიახ, ბევრი დირიჟორი მეგობარი მყავს და მაჭავარიანის შესახებ სწორედ მათგან ვიცოდი. მართალია, მაჭავარიანის ორკესტრის შესრულებით არაფერი მქონდა მოსმენილი, მაგრამ გავიცანი ვახტანგი და მივხვდი, რომ ძალიან კარგი პიროვნებაა. გუშინ, რეპეტიციის შემდეგ ერთად ვისადილეთ, ქართული კერძები გავსინჯე - ძალიან მომეწონა.

**- ქართულ ორკესტრს პარტიტურის გარეშე მოუწია ამ კონცერტისთვის მომზადება...**

- ზუსტად იმ პერიოდში პარტიტურა სხვაგანაც მჭირდებოდა და ეს ამიტომ მოხდა.

**- თქვენი კონცერტები მსოფლიოს უდიდეს დარბაზებში იმართება ხოლმე. ახლა კი პატარა ქვეყნის პატარა დარბაზში გამოხვალთ. ხომ არ იქნება ეს კონცერტი თქვენთვის უფრო მყუდრო და ინტიმური? როგორ გგონიათ, რა განსხვავებას იგრძნობთ?**

- პატივს ვცემ ყველანაირ აუდიტორიას. არ აქვს მნიშვნელობა, სად ვარ. როგორც კი მიხსენეს საქართველო, თბილისი, მაშინვე მომინდა აქ წამოსვლა. კონცერტი მუსიკის მონოლოგი არ არის, ეს ურთიერთობაა, დიალოგია დარბაზსა და ჩვენს შორის, სწორედ ამ დიალოგს ვეძებ თითოეულ დარბაზში, სადაც კი მიწევს გამოსვლა. ასე იქნება თბილისშიც.

**- როგორი რეაქცია გაქვთ, როდესაც საკუთარი ნაწარმოების განსხვავებულ ინტერპრეტაციას ისმენთ. როგორ შეხვდით, თუნდაც, ცნობილი როკ-ჯგუფის U2-ს წევრების მიერ შესრულებულ Mission: Impossible-ის ვერსიას?**

- მომწონს ეს პროცესი; ახლებურად აღვიქვამ საკუთარ ნაწარმოებს. განსაკუთრებით ის მსიამოვნებს, თუ ინტერპრეტაციის ავტორი ახალგაზრდა შემსრულებელია – მათთან ურთიერთობა ხომ მეც მაახალგაზრდავებს. ჩვენი კონტაქტი, თითქოს, თაობებს შორის გადებული ხიდია. რაც შეეხება კონკრეტულად ამ თემას, მომეწონა. არაფერი საწინააღმდეგო არ მქონია.

**- ისევ ასრულებს თუ არა ჯაზი თქვენს ცხოვრებაში უმნიშვნელოვანეს როლს? რას იტყოდით თანამედროვე ჯაზის შესახებ?**

- ახალგაზრდობაში მე მთელი გულით გავეხსენი ჯაზს, მთელი ჩემი არსებით განვიცადე და გავითავისე. ასეა უცვლელად მას შემდეგ, რაც დიზი გილესპიმ აღმომაჩინა და ამერიკაში წამიყვანა. მართლაც, ბევრ დიდ მუსიკოსთან ერთად დამიკრავს, მაგრამ ამ წუთში ჩემთვის ერთი რამ არის განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი: ამ ადამიანების უმრავლესობა ახლა ცოცხლებს შორის აღარ არის, მაგრამ მათ დატოვეს მემკვიდრეობა და მე ვგრძნობ, რომ ამ მემკვიდრეობას უნდა მოვუარო, მათი საქმე უნდა გავაგრძელო. ყველაფერი ვითარდება, რაც ადამიანის ხელით იქმნება. ასეა ჯაზიც. ყოველ შემთხვევაში, ვიმედოვნებ, რომ ჯაზი, მართლაც, ცოცხალი, განვითარებადი ორგანიზმია და არა დროსა და სივრცეში გაყინული მუზეუმი. სწორედ ამის დასადასტურებლად დავიწყე მუშაობა მუსიკალურ სერიაზე "ჯაზი ხვდება სიმფონიას". ამ პროექტის ფარგლებში ჯაზი სიმფონიური მუსიკის დარბაზში გადამაქვს, სიმფონიური მუსიკის ორკესტრსა და ჯაზის სოლო-ვირტუოზებს შორის დიალოგს ვმართავ. გამოსულია ხუთი კომპაქტ-დისკიც. ახლა მეექვსეზე ვმუშაობ. მინდა, სულ ცხრა დისკი გამოვცე – როგორც ბეთჰოვენმა დაწერა ცხრა სიმფონია. მიმაჩნია, რომ ამ ჩანაწერებზე მუშაობით ჩემი დიდი სასცენო პარტნიორების მემკვიდრეობას ვუვლი და ვზრდი.

**- ხომ არ გაიხსენებდით, როგორ აღმოგაჩინათ დიზი გილესპიმ...**

- საფრანგეთის კონსერვატორიაში ვსწავლობდი, როდესაც არგენტინაში პერონის მმართველობა გადავარდა. შინ მთელი ოთხი წლის განმავლობაში არ ვიყავი ნამყოფი და ბუენოს აირესში დაბრუნებულს სულ სხვა არგენტინა დამხვდა. მაშინ 24 წლის ვიყავი. მალევე არგენტინის სახელმწიფო რადიოტელევიზიამ ჯაზის ორკესტრის ჩამოყალიბება შემომთავაზა. სხვათა შორის, პოპულარობა იოლად მოვიპოვე – თითქმის, სულ ტელე და რადიოეთერში ვიყავი და იმიტომ. იმხანად ბუენოს აირესს დიზი გილესპის ბენდი სტუმრობდა, სულ ვარსკვლავებით სავსე, უკრავდა ქუინსი ჯონსიც... კონცერტის შემდეგ დიზი მოვიდა და მკითხა, - "მოგწონს ეს მუსიკა"? - დავეთანხმე. მერე მკითხა: არ გინდა ამერიკაში წამოსვლაო? - მეგონა, ხუმრობდა. მართლა ზღაპარივით მოხდა ყველაფერი.

**- როგორ ფიქრობთ, რომ არა კინომუსიკა, იქნებოდით ასეთი აღიარებული?**

- ვერ გიპასუხებთ. შეიძლება სახელი გამეთქვა როგორც ჯაზის მუსიკოსს. როგორც იცით, დიზი გილესპისთვის დაწერილი "გილესპიანას" მილიონი კომპაქტ-დისკია გაყიდული... ანდა შეიძლება, კლასიკური მუსიკის განხრით წავსულიყავი. სხვათა შორის, ორი კვირის წინ ჩემი ნაწარმოების "ფანტაზია ორკესტრისთვის" მსოფლიო პრემიერა გაიმართა ჩიკაგოს სიმფონიური ორკესტრის შესრულებით. თუმცა, მაინც არ ვიცი, რა იქნებოდა სინამდვილეში.

**- როგორია ფილმის მუსიკის შექმნის პროცესი.**

- ეს ხანგრძლივი პროცესია. იწყება იმით, რომ სცენარი უნდა მოგეწონოს. მერე უნდა დაელოდო გადაღებებს, ეს ხშირად 9 თვეს გრძელდება. პარალელურად, სულ უნდა იფიქრო მუსიკაზე, რომელიც კინოსურათის განწყობას მსმენელამდე მიიტანს. ვფიქრობ, ამ პროცესში ყოველთვის ძალიან მეხმარება ბავშვობა. მამაჩემი ბუენოს აირესის ორკესტრის კონცერტმეისტერი იყო და ხშირად მიწევდა საოპერო სპექტაკლებზე დასწრება. ამიტომ თავიდანვე გავითავისე თეატრის ეს ელემენტები – ტრაგედია, კომედია, დრამა. ჩემი მუსიკაც ძალზე დრამატულია. საერთოდ, ვფიქრობ, რომ კინო მეოცე საუკუნის ოპერაა.

**- თქვენ უამრავ ცნობილ ჰოლივუდელ რეჟისორთან გითანამშრომლიათ. რომელმა მათგანმა დატოვა თქვენზე განსაკუთრებული შთაბეჭდილება?**

- ბევრია ასეთი. მაგალითად, სულ მენატრება დონ სიგალი. მასთან ერთად ბევრ ფილმზე მიმუშავია, მაგრამ ყველაზე ცნობილია "ბინძური ჰარი". ახლაც სიამოვნებით ვითანამშრომლებდი მასთან.

**- ვიცით, რომ არგენტინის კულტურის მინისტრის კონსულტანტად აგირჩიეს. ახლაც მსახურობთ ამ პოსტზე?**

- მართალია, ეს შემოთავაზება მეორედაც მივიღე, მაგრამ აღარ დავთანხმდი. არ მინდა არგენტინის შიდა პოლიტიკაში ჩარევა. თანაც, დარწმუნებული ვარ, რომ თბილისში დამოუკიდებლად ჩამოსვლით უფრო მეტად წარმოვადგენ არგენტინას, უფრო კარგი ელჩი ვარ ჩემი ქვეყნის, ვიდრე - ოფიციალური ვიზიტით რომ ჩამოვსულიყავი.

**- თქვენ უამრავი ჯილდოს მფლობელი ხართ. რა მნიშვნელობას ანიჭებთ ამ პრიზებს და თუ გამოჰყოფთ რომელიმე მათგანს.**

- აი, ხომ ხედავთ, ახლა შევალიეს ღირსების ორდენი მიკეთია – საფრანგეთის კულტურის სამინისტროს მთავარი ჯილდო. რა თქმა უნდა, თითოეული ეს პრიზი ჩემთვის ბევრს ნიშნავს, მაგრამ მათ ჩემი ცხოვრების საგანძურს ნამდვილად ვერ ვუწოდებ. ბევრი მეგობარი მყავს, რომელიც ამას ზედმეტ მნიშვნელობას ანიჭებს. შემოდებენ ბუხრის თავზე მედალს და მერე აღარაფერს წერენ.

**- თუ თქვენს შემოქმედებას გადავხედავთ, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ბევრჯერ გამოხმაურებიხართ მსოფლიო მნიშვნელობის მოვლენას თქვენი მუსიკით - თუნდაც, ფეხბურთის მსოფლიო ჩემპიონატი გავიხსენოთ, ან თავისუფლების ქანდაკებისადმი მიძღვნილი მუსიკა. რამ მოახდინა თქვენზე ბოლო დროს ყველაზე დიდი შთაბეჭდილება?**

- შთაბეჭდილებებზე ერთი ამბავი გამახსენდა, რომელიც ნაკლებად არის ცნობილი და, ალბათ, არც თქვენ იცით. საერთოდ, ისტორია ჩემი საყვარელი სფეროა; აცტეკების ცივილიზაციის ამბები ხომ უდიდეს ინტერესს იწვევს ჩემში. მე-12 საუკუნეში მათ ჰყავდათ მეფე ნეზაჰუალკოიოტლი (Nezahualcoyotl), რომელიც დიდი ფილოსოფოსი და შესანიშნავი პოეტი იყო. მისმა ლექსებმა ისე შემძრა, რომ მუსიკა დავწერე, რომელიც შემდეგ პლასიდო დომინგომ შეასრულა. მისთვის ლექსები არც კი მითარგმნია – ორიგინალ ენაზე ნაჰუატლიზე დავტოვე... კონცერტი მეხიკო-სიტიდან ერთი საათის სავალზე, ტეოტიჰუაკონის ("ოქროს ქალაქის") პირამიდებთან გაიმართა. ჩემთვის ეს უმნიშვნელოვანესი დღე იყო.

ნეზაჰუალკოიოტლის ლექსები კი ჩემზე ახლაც ისეთივე შთაბეჭდილებას ახდენს, როგორც თავიდან. იმ კონცერტზე გამოსვლას დომინგო მეფე-პოეტის ამ სიტყვებით ასრულებდა: "ჩვენ ყველანი ბოლოს მის სამფლობელოში დავბრუნდებით, ამ ქვეყნად კი ყვავილებსა და სიმღერებს დავტოვებთ. ჩვენ ყველანი ბოლოს მის სამფლობელოში დავბრუნდებით და აქ, ჩვენს ნაცვლად, ჩვენი სიტყვები იცოცხლებენ... ჩვენ არ ვიცით, რატომ მოვდივართ ამ ქვეყნად, ან რატომ ვქრებით, მაგრამ ყველაფერს თავისი აზრი აქვს, ყველაფერსა აქვს თავისი აზრი. ნება მოგვეცი, ცოტა ყვავილი მაინც დავტოვოთ ამ ქვეყნად და დედამიწას ჩვენგან ცოტა სიმღერაც დარჩეს"... – ეს სიტყვები ჩემთვის ძალიან ძვირფასია და, მგონი, ჩვენი საუბრის ლამაზად დასრულებისთვისაც გამოდგება.



ფეხბურთი

# ქალური შტრიხები იტალიურ ფეხბურთში


"პერუჯას" პრეზიდენტს შვედი ვიქტორია სვენსონი მოსწონს

ნინო პირველი

უკვე დიდი ხანია, ფეხბურთი აღარ არის წმინდა წყლის მამაკაცური სპორტი. ქალები მშვენივრად დაეუფლნენ სპორტის ამ ერთ-ერთ ყველაზე პოპულარულ სახეობას და, უნდა ითქვას, რომ არცთუ ისე ცუდად ეხერხებათ ბურთის გაგორება. ქალთა კლუბები თითქმის მთელ ევროპაში არსებობს. ამერიკის კონტინენტზეც უყვართ ქალთა ფეხბურთი. ამერიკის შეერთებული შტატების ქალთა ეროვნული ნაკრები ლამის მამაკაცებზე უკეთ თამაშობს. წლევანდელ მსოფლიო ჩემპიონატზე ამერიკელმა ქალებმა საკმაოდ კარგი შთაბეჭდილება დატოვეს - ნახევარფინალამდე მივიდნენ, იქ კი მომავალ ჩემპიონთან, გერმანიის ნაკრებთან დამარცხდნენ. როცა გერმანელმა ქალებმა ფინალში შვედებს სძლიეს, გერმანიაში ქალთა ფეხბურთი უცებ საოცრად პოპულარული გახდა. სამშობლოში დაბრუნებულ ჩემპიონებს ფანებმა საზეიმო დახვედრა მოუწყვეს ფრანკფურტის აეროპორტში. აქამდე ასეთი პატივი მხოლოდ მამაკაც ფეხბურთელებს თუ ღირსებიათ. პრესა ეიფორიაში იყო, ჟურნალისტები რუდი ფიოლერს ურჩევდნენ, ქალებისგან ესწავლა, თუ როგორ უნდა გამხდარიყო საუკეთესოთა შორის საუკეთესო. რუდი ფიოლერს არავითარი კომენტარი არ გაუკეთებია, მაგრამ გულის სიღრმეში, ალბათ, საშინლად შურდა ქალთა ნაკრების მთავარი მწვრთნელის, რომელმაც ასე წარმატებით უხელმძღვანელა თავის გუნდს. გერმანიის ნაკრები ხომ ამ ბოლო დროს, ძირითადად, მხოლოდ კრიტიკას ისმენს უგერგილო თამაშის გამო...

მოკლედ, ქალთა ფეხბურთი, ასე თუ ისე, პოპულარულია და მსოფლიო ჩემპიონ გერმანელ ქალებს სამშობლოში დაფასება ნამდვილად არ აკლიათ, მაგრამ ის, რის გაკეთებასაც იტალიელები აპირებენ, საერთოდ სცილდება ყველანაირი ტრადიციის ფარგლებს. აქამდე სერია ა-ში ასეთი რამ არასოდეს მომხდარა. იტალიაში ქალთა კლუბების სიმცირეს ნამდვილად არ უჩივიან. აქ თვით რონალდოს ყოფილი მეუღლე მილენა დომინგესიც კი თამაშობს. ქერათმიანი მილენა იმდენადაა შეყვარებული თავის პროფესიაზე, რომ "ფიამა მონცას" დატოვებას და მადრიდში გადასვლას რონალდოს მიტოვება არჩია. რა თქმა უნდა, "ფენომენისა" და მისი "რონალდინიას" განშორების მიზეზი მხოლოდ გამუდმებული მადრიდი-მილანის რეისი არ ყოფილა, მილენას სხვა მიზეზებიც ჰქონდა, რის გამოც აღარ უნდოდა რონალდოსთან დარჩენა, მაგრამ ფეხბურთის სიყვარულმა "ფენომენის" ოჯახური იდილიის დარღვევაში ნამდვილად დიდი როლი შეასრულა.

მიუხედავად იმისა, რომ მილენა კარგი ფეხბურთელია და, ყველა სიკეთესთან ერთად, საოცრად მომხიბვლელი ახალგაზრდა ქალიც ბრძანდება, აქამდე მაინც არავის მოსვლია აზრად, ის მამაკაცთა გუნდში აეყვანა. "პერუჯას" პრეზიდენტის უცნაური განცხადების შემდეგ კი ნამდვილად არ არის გამორიცხული, მალე მილენამაც სერია ა-ს რომელიმე კლუბში გააგრძელოს კარიერა. "პერუჯას" პრეზიდენტი ლუჩანო გაუჩი მუდამ გამოირჩეოდა თავისი ექსცენტრულობით. მარტო ის რად ღირს, 2002 წლის მსოფლიო ჩემპიონატის დროს რომ გადაირია, როგორ თუ ჩემი კლუბის ფორვარდმა, კორეელმა ანმა იტალიის ნაკრებს მერვედფინალში "ოქროს გოლი" გაუტანა და მსოფლიო ჩემპიონატიდან გამოაგდოო. გაუჩის რეაქცია იმდენად მოულოდნელი აღმოჩნდა ანისთვის, რომ თავიდან მხოლოდ თავის მართლებაღა მოახერხა, აბა რა უნდა მექნაო. მერე კი გონს მოვიდა და პერუჯაში დაბრუნებაზე უარი განაცხადა. გაუჩიმ თავი სასაცილოდ გაიხადა.

ამ ისტორიის შემდეგ "პერუჯას" შეფს კიდევ ერთი ორიგინალური იდეა მოუვიდა თავში - ქალი ფეხბურთელის შეძენა. უმბრიელები შვედი სპორტსმენი ქალებით დაინტერესდნენ. "პრეზიდენტს უნდა, რომ ზუსტად ჩვენი კლუბი გახდეს პირველი გუნდი, სადაც ქალი ფეხბურთელებიც ითამაშებენ. მან ქალთა მსოფლიო ჩემპიონატის რამდენიმე მატჩს უყურა და ძალიან მოეწონა ჰანა იუნბერგი და ვიქტორია სვენსონი", - განაცხადა "პერუჯას" პრეს-მდივანმა. ლუჩანო გაუჩიმ დაადასტურა, რომ აუცილებლად აპირებს შვეციაში წასვლას და მოლაპარაკების დაწყებას. "სვენსონი და იუნბერგი მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელები არიან. ჩემი აზრით, ისინი შესანიშნავად ითამაშებენ სერია ა-ში. არა მგონია, მამაკაცი ფეხბურთელები გუნდში ქალების გამოჩენის წინააღმდეგნი იყვნენ", - თქვა გაუჩიმ. იმის მიუხედავად, რომ იტალიაში აქამდე მსგავსი არაფერი მომხდარა, გაუჩის სჯერა, რომ ქალი ფეხბურთელის გუნდში ჩარიცხვას უპრობლემოდ მოახერხებს. "იტალიაში არ არსებობს ისეთი კანონი, რომელიც ქალებს სერია ა-ში თამაშს უკრძალავს", - ამბობს პრეზიდენტი. თავად ჰანა იუნბერგს კი ნაკლებად სჯერა, რომ მალე "პერუჯაში" გააგრძელებს კარიერას. აქამდე ხომ ასეთი რამ არც ერთი ქალი ფეხბურთელის ბიოგრაფიაში არ დაფიქსირებულა. 1999 წელს კაროლინა მორაჩე პირველი ქალი იყო, რომელიც მამაკაცთა გუნდის მწვრთნელი გახდა. 2003 წლის ზაფხულამდე ის "ვიტერბესეს" ხელმძღვანელი იყო, მერე კი კლუბი ლიბიელი მაგნატის მუჰამედ ალ კადაფის შვილმა, საადი კადაფიმ იყიდა და კაროლინა მორაჩე გუნდიდან წავიდა. ვნახოთ, რამდენად მოახერხებს "პერუჯა" თავისი ფანტასტიკური იდეის განხორციელებას.

## TV-სპორტი

### ხუთშაბათი. 6 ნოემბერი

**НТВ + ФУТБОЛ**

13:00 თავისუფალი დარტყმა
13:25 ჩემპიონთა ლიგა. "ინტერი" (იტალია) – "ლოკომოტივი" (რუსეთი)
15:20 ბრაზილიის ჩემპიონატი
17:15 თავისუფალი დარტყმა
17:30 ჩემპიონთა ლიგა. "არსენალი" (ინგლისი) – "დინამო" (უკრაინა)
19:15 "ფეხბურთი ა-დან წ-მდე"
19:45 ჩემპიონთა ლიგა. "მონაკო" – "დეპორტივო"
21:40 სახვალიო ტელეპროგრამა
21:45 საუიკენდო მატჩების ანონსი
21:50 თავისუფალი დარტყმა
22:05 ჩემპიონთა ლიგის დღიური
00:05 "FUTBOL MUNDIAL"
00:35 ბრაზილიის ჩემპიონატი
01:20 თავისუფალი დარტყმა
01:35 გერმანიის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
02:35 ესპანეთის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა

**НТВ + СПОРТ**

11:00, 19:00 პრესცენტრი
11:15, 19:15 "ოლიმპის შვილები"
11:20 ჰოკეი. NHL-ის ჩემპიონატი. "FLORIDA PANTHERS" - "LOS ANGELES KINGS"
13:25 ათენის გზაზე
14:25 ფიგურული სრიალი. საერთაშორისო ასპარეზობა. გრან-პრი "CUP OF CHINA". პირდაპირი ტრანსლაცია
15:00 ფიგურული სრიალი. საერთაშორისო ასპარეზობა. გრან-პრი "CUP OF CHINA". პირდაპირი ტრანსლაცია
18:30 "Power week – NHL-ის კვირა"
19:20 სახვალიო ტელეპროგრამა
19:25 "ჩქაროსნული სამყარო"
19:55 "სპორტის აკვატორია"
20:25 ჰოკეი. ევროტური. "მეფის" თასი. ფინეთი - რუსეთი. პირდაპირი ტრანსლაცია
22:50 NBA-ს საკალათბურთო მიმოხილვა
23:35 ATP საჩოგბურთო მიმოხილვა
00:05 "მოტოვებული კვირა"
00:50 ჰოკეი. ევროტური. "მეფის" თასი. შვედეთი - ჩეხეთი. შესვენებისას (01:25) ახალი ამბები
03:00 "ჩქაროსნული სამყარო"
03:30 "სპორტის აკვატორია"

**EUROSPORT**

06:00 ჩოგბურთი. WTA ტურნირი აშშ-ში
11:00 გოლფი. PGA ტურნირი აშშ-ში
12:00 ჩოგბურთი. WTA ტურნირი აშშ-ში
13:15 ჩოგბურთი. WTA ტურნირი აშშ-ში
14:30 ჩოგბურთი. WTA-ს ლეგენდები
15:30 ჩოგბურთი. WTA ტურნირი აშშ-ში
16:30 ჩოგბურთი. WTA ტურნირი აშშ-ში
18:00 ჩოგბურთი. WTA ტურნირი აშშ-ში
19:30 ჩოგბურთი. WTA ტურნირი აშშ-ში
21:00 ჩოგბურთი. ჰოლივუდის ხეივანი
21:30 კრივი. WBA მსოფლიო ჩემპიონატი გერმანიაში. მ. ტრაბანი – ხ.ა.რივერა
23:15 კიკბოქსინგი. საერთაშორისო ასპარეზობა
00:15 K1: ლეგენდები
01:15 ახალი ამბები
01:30 ფეხბურთი. უეფას თასი
03:00 ფეხბურთი. უეფას თასი
04:30 ჩოგბურთი. WTA-ს ლეგენდები
05:30 ჩოგბურთი. ჰოლივუდის ხეივანი

# რეკორდი!!!

8:3 - 11 გოლი ერთ მატჩში



ჯოვანი ელბერი სიტყვის კაცია

ხავიერ ირურეტას დიდხანს ემახსოვრება მონაკოს პატარა სამეფოში სტუმრობა და დადო პრსოს პოკერი. მისი "დეპორტივო" საქვეყნოდ შერცხვა. თანაც ისე, რომ ამ სირცხვილის ჩამოწერა, ალბათ, კარგა ხანს შეუძლებელი იქნება. "დეპორტივომ" 3:8 წააგო. ხოლო, თუ თანამედროვე ფეხბურთის პერიმეტრებს გადავხედავთ, ანალოგიურ უხვგოლიანობას, ალბათ, დიდხანს არ უნდა ველოდოთ. აქამდე უხვგოლიანობის რეკორდი ერთ მატჩში 8 გოლს უდრიდა. ბრემენის "ვერდერმა" ბელგიის "ანდერლეხტი" - 5:3 დაამარცხა. ახლა კი რეკორდის გაუმჯობესება ძალიან რთული იქნება.

მოხდა ისე, რომ პრსომ პოკერი შეასრულა და ლა კორუნიელებს ოთხი გოლი გაუტანა. "დედა, რა იყო ეს, ა?" - დაახლოებით ასეთ კონტექსტში ჟღერდა მატჩის შემდეგ "დეპორტივოს" მწვრთნელის ხავიერ ირურეტას სახელდახელო კომენტარი. თუმცა, პრინციპში ესპანელს სათქმელიც ბევრი არაფერი ჰქონდა. "მონაკოს" მწვრთნელმა დიდიე დეშამმა პირწმინდად დაამარცხა თავისი ესპანელი კოლეგა და გუნდი სატურნირო ცხრილის სათავეში მოაქცია.

"დეპორტივოსთვის" მონაკოში წაგება თავისთავად კატასტროფას არ ნიშნავს, მაგრამ წაგების ხარისხი იმდენად მძიმეა, რომ ირურეტას სიტყვებს თუ ვენდობით, "ვშიშობ, გუნდი კარგა ხანს ვერ დაივიწყებს მონაკოში განცდილ კოშმარს". თუმცა, ესპანელთა მწვრთნელი იმასაც აღნიშნავს, რომ ჯგუფიდან გასასვლელად მის გუნდს "პსვ ეინდჰოვენთან" ერთი გამარჯვებაც ჰყოფნის - "ჩვენ ყველაფერს ვიღონებთ ამ გამარჯვების მოსაპოვებლად" - კატეგორიულად აცხადებს ხავიერ ირურეტა.

გუშინ ლიგაში კიდევ ერთი აღსანიშნავი ფაქტი მოხდა. ჰიტცფელდის დაწუნებულმა ჯოვანი ელბერმა მიუნხენის ოლიმპიურ სტადიონზე "ბაიერნს" გაუტანა გოლი, ოლივერ კანი მდგომარეობიდან გამოიყვანა და "ლიონმა" - 2:1 დაამარცხა გერმანელთა სიამაყე. "აკი გპირდებოდით გავიტან-მეთქი. ბედნიერი ვარ, რომ ჩემი გოლი გადამწყვეტი აღმოჩნდა". - განაცხადა ელბერმა. ოლივერ კანს კი დანა პირს არ უხსნიდა და მინდორი ისე დატოვა, თანაგუნდელებიც ვერ მიეკარნენ. ხუმრობა როდია, მიუნხენის "ბაიერნი" მესამე ადგილზე ჩამოქვეითდა და არავინ იცის დარჩენილ ორ ტურში შეძლებს, თუ არა ჯგუფური ბარიერის დაძლევას.

ჰიტცფელდის შეგირდებს "სელტიკთან" გლაზგოში მოუწევთ ურთიერთობის გარკვევა მომდევნო ტურში და თუ წააგეს, მერვედფინალის საგზური ოცნებად დარჩებათ. გლაზგოს "სელტიკმა" კი აკადემიურ სტილში დაამარცხა ბელგიის "ანდერლეხტი" - 3:1.

საინტერესო მდგომარეობაში იმყოფება მილანის "ინტერიც". მოსკოვის "ლოკომოტივთან" ფრე არაფრით შედიოდა მილანელთა გეგმებში, მაგრამ, ანჩელოტის გუნდი, როგორც ჩანს კრიზისს განიცდის და დარჩენილ ორ ტურში, ალბათ, ძალიან გაუჭირდება. "ინტერმა" ვერაფერი მოუხერხა "ლოკომოტივს" და ამით საგრძნობლად გაირთულა ჯგუფიდან გასვლის საქმე. 25 ნოემბერს მილანელები ლონდონის "არსენალს" მასპინძლობენ, რომელმაც 1:0 დაამარცხა კიევის "დინამო" და ჯგუფიდან გასვლის შანსი შეინარჩუნა. სავარაუდოა, რომ ამ ჯგუფში ერთი საგზურის ბედი სწორედ ამ შეხვედრაში გადაწყდება.

თუ ვინმეზე ითქმის, რომ შეუძლია მშვიდად იყოს, ერთ-ერთი ტურინის "იუვენტუსია". მარჩელო ლიპის გუნდმა სან-სებასტიანში ადგილობრივ "რეალ სოსიედადთან" შეხვედრაში ფრე - 0:0 დააფიქსირა და 10 ქულით დამაჯერებლად ლიდერობს სატურნირო ცხრილს. მას შემდეგ, რაც ბერძნულმა "ოლიმპიაკოსმა" შინ თურქეთის "გალათასარაი" დაამარცხა - 3:0, ამ ჯგუფში ყველაფერი გაირკვა. წესით და რიგით, "იუვენტუსსა" და "სოსიედადს" მომდევნო ეტაპზე გასვლა არ უნდა გაუჭირდეთ.

**A ჯგუფი**

| | | |
|---|---|---|
| ბაიერნი | 1 - 2 | ლიონი |
| სელტიკი | 3 - 1 | ანდერლეხტი |

| | საკომანდო | თ | მ | ფ | წ | ბ.ბ. | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ლიონი | 4 | 2 | 1 | 1 | 4:4 | 7 |
| 2 | სელტიკი | 4 | 2 | 0 | 2 | 6:4 | 6 |
| 3 | ბაიერნი | 4 | 1 | 2 | 1 | 5:5 | 5 |
| 4 | ანდერლეხტი | 4 | 1 | 1 | 2 | 3:5 | 4 |

**B ჯგუფი**

| | | |
|---|---|---|
| არსენალი | 1 - 0 | დინამო |
| ინტერი | 1 - 1 | ლოკომოტივი |

| | საკომანდო | თ | მ | ფ | წ | ბ.ბ. | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ინტერი | 4 | 2 | 1 | 1 | 6:5 | 7 |
| 2 | დინამო | 4 | 2 | 0 | 2 | 5:4 | 6 |
| 3 | ლოკომოტივი | 4 | 1 | 2 | 1 | 4:3 | 5 |
| 4 | არსენალი | 4 | 1 | 1 | 2 | 2:5 | 4 |

**C ჯგუფი**

| | | |
|---|---|---|
| მონაკო | 8 - 3 | დეპორტივო |
| ეინდჰოვენი | 2 - 0 | აეკ |

| | საკომანდო | თ | მ | ფ | წ | ბ.ბ. | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | მონაკო | 4 | 3 | 0 | 1 | 14:5 | 9 |
| 2 | დეპორტივო | 4 | 2 | 1 | 1 | 7:8 | 7 |
| 3 | ეინდჰოვენი | 4 | 2 | 0 | 2 | 4:4 | 6 |
| 4 | აეკ | 4 | 0 | 1 | 3 | 1:8 | 1 |

**D ჯგუფი**

| | | |
|---|---|---|
| ოლიმპიაკოსი | 3 - 0 | გალათასარაი |
| სოსიედადი | 0 - 0 | იუვენტუსი |

| | საკომანდო | თ | მ | ფ | წ | ბ.ბ. | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | იუვენტუსი | 4 | 3 | 1 | 0 | 8:4 | 10 |
| 2 | სოსიედადი | 4 | 2 | 1 | 1 | 5:5 | 7 |
| 3 | ოლიმპიაკოსი | 4 | 1 | 0 | 3 | 4:4 | 3 |
| 4 | გალათასარაი | 4 | 1 | 0 | 3 | 3:7 | 3 |

# ფიგუს 31-ე დაბადების დღე

*4 ნოემბერს ლუიშ ფიგუ თავის 31-ე დაბადების დღეს აღნიშნავდა. ეს თარიღი ბელგრადის "პარტიზანის" წინააღმდეგ ჩემპიონთა ლიგის მატჩს დაემთხვა. ამიტომაც დაბადების დღის აღნიშვნა ფიგუს სწორედ იუგოსლავიაში მოუხდა. მატჩის შემდეგ მადრიდის "რეალის" ფეხბურთელები სასტუმროში, დიდ სუფრასთან შეიკრიბნენ. ჰქონდათ დიდი ტორტი, რომელზეც გამოსახული იყო რიცხვი 31 და ამდენივე სანთელი ენთო. ფიგუმ სანთლები ჩააქრო და იქვე მყოფი ჟურნალისტებისთვისაც მოიცალა.*

**- გილოცავთ დაბადების დღეს! დრო სწრაფად გარბის?**

- წლები მიდიან, თუმცა, ბევრ რამეს გვასწავლიან. მე უამრავი რამ ვისწავლე და გავიზარდე. ყოველწლიურად სულ უფრო მეტი ახალი ისტორია მემატება, რომელთაც ჩემს მეგობრებს და შვილებს მოვუყვები.

**- პრესა მიიჩნევს, რომ ახლა საუკეთესო პერიოდი გიდგას.**

- ზოგჯერ კრიტიკოსების აზრი ჩემსას არ ემთხვევა, თუმცა, მათ მოსაზრებას ყოველთვის პატივი უნდა სცე. თუ კრიტიკა კონსტრუქციულია, ის უნდა მიიღო. მე ყოველდღიურად ვმუშაობ, რათა კოლექტივს დავეხმარო. როგორც კოლექტიური, ისე ინდივიდუალური თვალსაზრისით, საქმეები, მართლაც, კარგად მიდის.

**- მიმდინარე წელზე რას იტყვი?**

- როდესაც მადრიდის "რეალის" წევრი ხარ, შენს წინაშე მაქსიმალური ამოცანები დგას და მაქსიმალური ზეწოლის ქვეშ ხარ. შენ მუდამ უნდა აკმაყოფილებდე მკაცრ მოთხოვნებს და უნდა ეცადო, რომ მოიგო ყველა ის ტურნირი, რომელშიც მონაწილეობას იღებ. ამ სეზონში გველის ევროპის ჩემპიონატი, რომელიც უაღრესად მნიშვნელოვანია ჩვენთვის. ყველაფერი უნდა გავაკეთოთ იმისთვის, რომ ეს ჩემპიონატი მოვიგოთ, თუმცა, ეს ძალიან ძნელი იქნება, რადგან, ჩვენს გარდა, იქ ბევრი ძლიერი ნაკრები იღებს მონაწილეობას. იმის პირობას ვერ დავდებთ, რომ აუცილებლად გავიმარჯვებთ, თუმცა, საკუთარ კედლებში ვთამაშობთ და ვეცდებით, მაქსიმალურ შედეგს მივაღწიოთ.

**- რამდენიმე ხნის წინ განაცხადე, რომ ევროპის ჩემპიონატის შემდეგ ნაკრებიდან წახვალ.**

- ვგრძნობ, რომ ნაკრებში თამაშის გაგრძელება შემიძლია. მაგრამ ჩვენ არ ვართ ბრაზილია, რომელსაც ფეხბურთელების უდიდესი არჩევანი აქვს. ვგრძნობ, რომ კიდევ შევძლებ თამაშს, თუმცა, გზა ახალგაზრდა ფეხბურთელებს უნდა დავუთმოთ. უნდა მივხვდეთ, რომ მთელი ცხოვრების მანძილზე ვერ ვითამაშებთ. ნაკრებიდან წასვლაზე დღემდე ვფიქრობ. როდესაც ნაკრებს დატოვებ, სხვა რამეებს უნდა მივუძღვნა თავი...

**- თუ ნაკრებიდან წახვალ, დაგრჩება ორი წელი. ამ ხნის განმავლობაში მხოლოდ მადრიდის "რეალზე" კონცენტრირების საშუალება გექნება.**

- ცხადია, კლუბში კიდევ ორი წელი დამრჩა. თუმცა, მე არ მივეკუთვნები იმ ადამიანებს, რომლებიც შორეულ მომავალზე აწყობენ გეგმებს. თუ ნაკრებს მივატოვებ, "რეალისა" და ოჯახისთვის მეტი დრო მექნება.

**- როგორ შეაფასებ შენს ყოფნას მადრიდში?**

- იმისთვის, რომ შენს კლუბთან გაიგივდე, დროა საჭირო. ეს "რეალში" მოსვლის პირველივე წელს დამემართა. აქ მომცეს ყველაფერი, რასაც ვეძებდი: მე აქ გავიზარდე, მოვიგე უამრავი ტიტული, დიდი პატივისცემა დავიმსახურე. ეს არის ყველაფერი ის, რასაც ვეძებდი. ამას გარდა, ყოველთვის მნიშვნელოვანია ფინანსური სტაბილურობა. ყველამ უნდა იფიქროს თავის მომავალზე.

**- პირველ სეზონში შენ ოქროს ბურთი მოიპოვე და ესპანეთის ჩემპიონი გახდი.**

- ყველაფერი სწრაფად მოხდა და ეს ბოლო წლების ჩემი მუშაობის კომპენსაცია იყო. ის წელი ძალიან კარგად მახსენდება, მიუხედავად იმისა, რომ დიდი ზეწოლის ქვეშ ვიყავი. მას შემდეგ, რაც სტაბილურობა მოვიპოვე, პირველი ტიტული საჩუქარივით იყო.

**- როგორც იქნა, ჩემპიონთა ლიგაც მოიგე.**

- გაგვიმართლა, რომ წლების მანძილზე უამრავი მიზეზი გვაქვს სიხარულისთვის. თუმცა, იმ წელიწადს ჩემი კარიერის ერთადერთი სერიოზული ტრავმაც მივიღე. მთელი სეზონის მანძილზე პირში მომწარომოტკბო გემოს ვგრძნობდი, მაგრამ ჩემპიონთა ლიგაში გამარჯვების შემდეგ ყველა უსიამოვნება დამავიწყდა.

**- მადრიდის "რეალში" შენს მიერ გატარებულ მესამე წელს რონალდო შემოგიერთდათ და ესპანეთის ჩემპიონის კიდევ ერთი ტიტულიც მოიპოვეთ.**

- წინა წელიც წარმატებული იყო. ჩვენ ბოლომდე ვიბრძოლეთ ჩემპიონთა ლიგაში და ესპანეთის ჩემპიონატი უდიდესი კონკურენციის პირობებში მოვიგეთ. "სოსიედადმა" ფანტასტიკურად ჩაატარა სეზონი. საბედნიეროდ, ჩემპიონები მაინც ჩვენ გავხდით. ეს იმის შედეგი იყო, რომ ბოლოს ორ ფრონტზე აღარ გვიწევდა ბრძოლა.

**- "რეალში" მოსვლის შემდეგ ყოველწლიურად იმაღლებდით თამაშის კლასს. მწვრთნელის შეცვლასაც კი მოესწარით.**

- როდესაც ახალი მწვრთნელი მოდის, საჭიროა ექსპერიმენტების ჩატარება. მიმდინარე სეზონში ბევრი ექსპერიმენტი ჩავატარეთ. ვფიქრობ, ეს გუნდს წაადგა, თუმცა, საქმე ჯერ ბოლომდე არ მიგვიყვანია. ყველა გუნდი ყოველწლიურად ცდილობს, უფრო კონკურენტუნარიანი გახდეს. კარგი ფეხბურთელების მოსვლა კი ამას ყოველთვის ხელს უწყობს.

**- როგორც სალგადოს, გუტის და რაულის მეგობარი, რას იტყვი მათი კონტრაქტების გაგრძელებაზე?**

- ეს ის ფეხბურთელები არიან, რომლებიც "რეალში" მთელი ცხოვრების მანძილზე თამაშობენ და სურთ, კარიერა აქ გააგრძელონ. საბედნიეროდ, ყველაფერი კარგად დასრულდა. ამით "რეალმა" მოიგო, რადგან ეს ფეხბურთელები სჭირდებიან გუნდს.



## ინფოთეკა

**ფეხბურთი.** ბარსელონის "ესპანიოლმა" მწვრთნელი შეცვალა. ხავიერ კლემენტეს ნაცვლად კლუბში ლუის ფერნანდესი იმუშავებს. ამჟამად "ესპანიოლი" პრიმერადივიზიონის სატურნირო ცხრილში ბოლო ადგილზეა. გუნდმა 10 მატჩში მხოლოდ 5 ქულა მოიპოვა.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** "ჩელსისთან" შეხვედრაში უხამსი საქციელისთვის რომის "ლაციოს" მცველს სინიშა მიხაილოვიჩს უეფასთან საქმის გარჩევა მოუწევს. მიხაილოვიჩმა ლონდონელი ადრიან მუტუ ჯერ წააქცია, შემდეგ ფეხი ჩაარტყა, ბოლოს კი დესერტად შეაფურთხა. მატჩის არბიტრმა ვალენტინ ივანოვმა ეს ვერ შეამჩნია და მხოლოდ ჯარიმა დანიშნა, მაგრამ ინციდენტი ვიდეოკამერებმა დააფიქსირეს. მიხაილოვიჩი ნებისმიერ შემთხვევაში დისკვალიფიკაციას მიიღებს, რადგან მეორე ტაიმში წითელი ბარათი მიიღო. საქმეს 7 ნოემბერს განიხილავენ.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** "ლაციოსთან" მატჩის შემდეგ ლონდონის "ჩელსის" მცველმა ჯონ ტერიმ გაოცება და აღშფოთება გამოთქვა სინიშა მიხაილოვიჩის არასპორტული საქციელის გამო, რასაც მეორე ტაიმში ფეხბურთელის გაძევება მოჰყვა. "ის საშინლად იქცეოდა. ეს, უბრალოდ, თავის მოჭრაა, – განაცხადა ჯონ ტერიმ, – მოედნის კუთხეში მან რამდენჯერმე იდაყვი ჩამარტყა. მათ შორის ერთხელ თვალში. არ მოველოდი, რომ ასეთი კლასის ფეხბურთელი მსგავს ტაქტიკას გამოიყენებდა. ვერ დავიჯერებ, რომ არბიტრმა ეს ვერ შეამჩნია. მე დავინახე, როგორ შეაფურთხა მიხაილოვიჩმა მუტუს, მაგრამ მან რეპუტაცია ამის გარეშეც შეილახა". შეგახსენებთ, რომ მიხაილოვიჩმა ორი წლის წინაც ორმატჩიანი დისკვალიფიკაცია მიიღო იმისთვის, რომ პატრიკ ვიეირას სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** ლონდონის "არსენალის" ჰოლანდიელმა ფორვარდმა დენის ბერგკამპმა განაცხადა, რომ გუნდს ჯგუფში მისთვის არასაკადრისი ადგილი უკავია. "თუმცა, იმისთვის, რომ ევროპის ერთ-ერთი საუკეთესო გუნდი იყო, ეს უნდა დაამტკიცო, – ამბობს ბერგკამპი, რომელიც თვითმფრინავის შიშის გამო მოსკოვში და კიევში არ გამგზავრებულა, – პრემიერლიგის ჩემპიონატში პერიოდულად ვრისკავთ. ჩვენ ვუტევთ, იმიტომ რომ კარგად ვიცნობთ მეტოქის შესაძლებლობებს. ევროპაში კი ძალიან ფრთხილად ვმოქმედებთ და არ ვიცით, სინამდვილეში რა შეგვიძლია და რა არა".

■ ■ ■

**ფეხბურთი.** "მანჩესტერ სიტის" ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა, მკაცრად დასაჯოს თავდამსხმელი რობი ფაულერი. "ლივერპულისა" და "ლიდს იუნაიტედის" ყოფილი ბომბარდირი 120 ათასი გირვანქა სტერლინგით დაჯარიმდება (ფეხბურთელის ორი კვირის ხელფასი). საქმე ის არის, რომ გუნდის მწვრთნელის, კევინ კიგანის ხელში აღმოჩნდა ფოტოები, რომლებზეც აღბეჭდილი ფაულერი ღამის კლუბებში დასეირნობს – სვამს და ეწევა. თუმცა, გუნდი ერთგვარ დათმობაზე წავიდა და იმისთვის, რომ მას ფორმა არ დაეკარგა, გუნდმა გადაწყვიტა, ამჯერად ფეხბურთელს გაფრთხილება აკმაროს.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** "ლივერპულის" ფორვარდი მაიკლ ოუენი გამოტოვებს უეფას თასის მეორე წრის პირველ შეხვედრას რუმინეთის "სტიაუას" წინააღმდეგ, რომელიც ბუქარესტში გაიმართება. "ლივერპულის" ფორვარდმა ტერფი დაიზიანა. ამიტომ გუნდის მთავარმა მწვრთნელმა გადაწყვიტა, ოუენს კვირამდე გაუფრთხილდეს, როცა ინგლისის პრემიერლიგის მორიგი ტურის მატჩში "ლივერპული" "მანჩესტერ იუნაიტედს" შეხვდება. შეგახსენებთ, რომ ლონდონის "არსენალთან" მატჩში მიღებული ტრავმის გამო მაიკლ ოუენმა ამ სეზონში რამდენიმე შეხვედრა უკვე გამოტოვა.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** 2003 წლის მსოფლიო ჩემპიონატმა უსახლკაროთა შორის, რომელიც ავსტრიის ქალაქ გრაცში მიმდინარეობს, დიდი რეზონანსი გამოიწვია. ტურნირმა უსახლკაროდ დარჩენილი ადამიანების დამცველთა გულები ისე მონუსხა, რომ გადაწყდა, ანალოგიური ტურნირი 2004 წელს შვედეთში ჩატარდეს. შეჯიბრების ორგანიზატორობა იკისრა გეტებორგში გამომავალმა ქუჩის გაზეთმა "ფაქტუმ". შეგახსენებთ, რომ მიუსაფართა შორის საუკეთესო ფეხბურთს ავსტრიაში თამაშობენ.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** ჩემპიონთა ლიგის მეოთხე ჯგუფური ეტაპის მეოთხე ტურის მატჩში "მანჩესტერ იუნაიტედმა" – 3:0 დაამარცხა "გლაზგო რეინჯერსი". ამ მატჩში ჰოლანდიელმა რუუდ ვან ნისტელროიმ დუბლი შეასრულა. მისმა თამაშმა კიდევ ერთხელ მოხიბლა ინგლისური კლუბის ხელმძღვანელობა, ამიტომ "მანჩესტერ იუნაიტედმა" რუუდ ვან ნისტელროისთან კონტრაქტის გაგრძელებაზე მოლაპარაკება დაიწყო. ჰოლანდიელის თქმით, კლუბი მას, ხელფასის სახით, კვირაში 60 ათას გირვანქა სტერლინგს სთავაზობს.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** რობერტო ბაჯოს აგენტმა უარყო ხმები იმის შესახებ, რომ იანვრის სატრანსფერო დერეფნის გახსნის შემდეგ ბაჯო "ბრეშადან" "ბოლონიაში" გადავა. ამ სპეკულაციის საბაბი გახდა "პარმასთან" მატჩის შემდეგ მომხდარი ინციდენტი, როცა მინდორზე შემოჭრილი გულშემატკივარი თავს დაესხა რობერტო ბაჯოს. "მე არ მსურს ამ ხმების კომენტირება, – განაცხადა ფეხბურთელის აგენტმა ვიტორიო პეტრონემ, – ბაჯო "ბრეშაში" შესანიშნავად გრძნობს თავს".

## ინფოთეკა

**კალათბურთი.** ნაციონალური საკალათბურთო ასოციაციის ჩემპიონის, "სან-ანტონიო სფურსის" ფორვარდი ტიმ დანკანი ტრავმის გამო დიდ კალათბურთს სამი კვირით გამოაკლდა. დანკანმა "მემფისთან" შეხვედრაში მიიღო ტრავმა. სავარაუდოდ, კალათბურთელი სამ მატჩს გამოტოვებს. "როცა შარშანდელი სეზონის საუკეთესო მოთამაშეს კარგავ, ბევრი რამ იცვლება, რადგან ჩვენი გუნდის მთელი ტაქტიკური მონახაზი სწორედ ტიმ დანკანზე იყო დაფუძნებული, - განაცხადა "სან-ანტონიოს" მთავარი მწვრთნელის თანაშემწემ პი ჯეი კარლესიმომ.

■ ■ ■

**კალათბურთი.** "იუტასთან" მატჩის დროს კევინ გარნეტმა ტრიბუნებისკენ ბურთი ისროლა, რისთვისაც 5000 დოლარით დააჯარიმეს. გარნეტმა მეორე ტექნიკური ფოლი მიიღო, განერვიულდა და ბურთი ტრიბუნებისკენ მოისროლა.

■ ■ ■

**კალათბურთი.** "სან-ანტონიოს" მწვრთნელმა გრეგ პოპოვიჩმა "მემფისთან" მატჩში არბიტრს გემრიელად უთავაზა, რისთვისაც მას ერთმატჩიანი დისკვალიფიკაცია მისცეს. პოპოვიჩი მეორე მეოთხედში გააძევეს მოედნიდან. გარდა ამისა, მწვრთნელი 1000 დოლარითაც დაჯარიმდა.

■ ■ ■

**ჩოგბურთი.** დები უილიამსების მსგავსად, იანვარში კორტზე დაბრუნებას აპირებს ლინდსი დევენპორტიც. დევენპორტმა ფეხის ტრავმა მიიღო, რის შემდეგაც ბევრი იმკურნალა. როგორც ჩანს, ჩოგბურთელის ჯანმრთელობა თანდათან უმჯობესდება და ისიც დიდ ჩოგბურთში დაბრუნებას გეგმავს. "სიარული უკვე შემიძლია და ტკივილსაც ვერ ვგრძნობ. როგორც ჩანს, ავსტრალიის ღია ჩემპიონატზე თამაშს მოვახერხებ", - ამბობს ლინდსი დევენპორტი.

■ ■ ■

**ფორმულა 1.** 2004 წელს ათი წელი შესრულდება მას შემდეგ, რაც რბოლის დროს ტრაგიკულად დაიღუპა მსოფლიოს სამგზის ჩემპიონი, ფორმულა 1-ის ჯადოქარი, მილიონობით გულშემატკივრის კერპი აირტონ სენა. სწორედ ასეთი ეპითეტებით ამკობენ გარდაცვლილ მრბოლს მისი მეგობრები. 1994 წლის 1 მაისს იმოლაში, სან-მარინოს გრან-პრის მიმდინარეობისას, მართვის სისტემის მწყობრიდან გამოსვლის გამო, ბრაზილიელის "უილიამსი" დამცავ ღობეს შეეჯახა. ამ დროს სენა 300 კილომეტრი საათში სიჩქარით მოძრაობდა. ავარიიდან რამდენიმე საათში ექიმებმა სიკვდილი დააფიქსირეს. სენას პატივსაცემად მომავალი წელი ბრაზილიაში აირტონ სენას წლად გამოაცხადეს. დიდი მრბოლის გარდაცვალებიდან 10 წლისთავის აღსანიშნავად ბრაზილიაში დაგეგმილია სხვადასხვა ღონისძიება, რომელთა ორგანიზება ჩემპიონის დამ ვივიენ სენამ ითავა.

■ ■ ■

**ფორმულა 1.** მიხაელ და რალფ შუმახერების გარდა, ფორმულა 1-ში შეიძლება სხვა ძმებიც გამოჩნდნენ. 2004 წლიდან ფორმულა 1-ის კლასის ევროპულ რბოლებში კოლუმბიელი ხუან პაბლო მონტოიას უმცროსი ძმა, 19 წლის ფედერიკო მონტოიაც ჩაებმება. უმცროსი მონტოია Formula BMW-ის ჩემპიონატში გერმანული Muecke-ს გუნდის საპრიზო პილოტი იქნება. გუნდის შეფმა პეტერ მიუკემ განაცხადა, რომ მისი გუნდის ახალწვეული უაღრესად ნიჭიერია და ყველა თვისება აქვს იმისთვის, რომ უახლოეს მომავალში, თავისი ძმის მსგავსად, "სამეფო რბოლების" პილოტი გახდეს.

■ ■ ■

**ჰოკეი.** ჰოკეის ნაციონალურ ლიგაში ყველაზე შედეგიან მოთამაშეთა სიაში ცვლილება დაფიქსირდა. მარკ მესიემ ორი შაიბა გაიტანა "დალასის" კარში, რითაც NHL-ის ყველაზე შედეგიანთა სიაში ლეგენდარულ გორდი ჰოუს გაუსწორო. ახლა მესიეს 1851 ქულა აქვს, ერთით მეტი, ვიდრე ჰოუს. ამ სიას 2857 ქულით ლიდერობს უეინ გრეტცკი. "მე გორდის დიდ პატივს ვცემ, - აღიარებს მარკ მესიე, - მამაჩემი დუგი 1950-1960-იან წლებში "დეტროიტის" ღირსებას იცავდა. გუნდთან ერთად ვარჯიშობდა და ჰოუსთან ერთად რამდენიმე საგამოფენო მატჩიც კი ჩაატარა. ასე რომ, ჰოუს შესახებ მე, როგორც იტყვიან, პირველი პირისგან გავიგე. ჩვენს ოჯახში გორდის ყოველთვის პატივს სცემდნენ როგორც ჰოკეისტს და როგორც ადამიანს".

■ ■ ■

**ჰოკეი.** "დეტროიტის" ფორვარდს ჰენრიხ ზეტერბერგს ფეხი მოსტყდა, რის გამოც სპორტს რამდენიმე კვირით გამოაკლდა. ზეტერბერგმა "ვანკუვერთან" მატჩში მიიღო ტრავმა. ამ სეზონში ჩატარებულ 12 შეხვედრაში ჰოკეისტმა 2 გოლი გაიტანა და 5 შედეგიანი გადაცემა განახორციელა.

■ ■ ■

**სამთო-სათხილამურო სპორტი.** ფარისებრ ჯირკვლებთან დაკავშირებული პრობლემების გამო ხორვატმა იანიცა კოსტელიჩმა შეიძლება წლევანდელი მსოფლიო თასი გამოტოვოს. "ახლა ყველაზე მთავარი იანიცას ჯანმრთელობაა. ჩვენ წამყვან სპეციალისტებთან მკურნალობის მეთოდების შესახებ კონსულტაციებს ჩავატარებთ და, არა აქვს მნიშვნელობა, რამდენ ხანს გასტანს ის", - განაცხადა ხორვატიის სამთო-სათხილამურო სპორტის ფედერაციის ხელმძღვანელმა ვედრან პაველიჩმა.

## კალათბურთი

# დენვერმა ახალი რეკორდი დაამყარა

სანდრო ნავერიანი

გუშინ გაიმართა ნაციონალური საკალათბურთო ასოციაციის რეგულარული ჩემპიონატის ოთხი მატჩი. ცქიტიშვილის "დენვერ ნაგეთსი" "ინდიანა პეისერზს" ეწვია. მატჩი ინდიანაპოლისში, "კონსეკო ფილდჰაუსში" გაიმართა. სკიდამ (ასე ეძახიან ნიკოლოზ ცქიტიშვილს) მცირე ტრავმის გამო მატჩში მონაწილეობა ვერ მიიღო. შეხვედრა "ინდიანა პეისერზის" უპირატესობით წარიმართა. ინდიანელმა კალათბურთელებმა ძალიან კარგად დაიწყეს და პირველივე პერიოდში რვა ქულით დაწინაურდნენ. მთელი თამაშის განმავლობაში "დენვერ ნაგეთსი" არც ერთხელ წინ არ გასულა. მასპინძელთა შემადგენლობაში ჯერმაინ ონილს ვერავინ შეედრებოდა. მან გუნდს 25 ქულა მოუტანა და ოცჯერ მოხსნა ფარიდან ბურთი. სტუმართა შემადგენლობაში კი გამოირჩეოდა ერლ ბოიკინსი, მან 18 ქულა დააგროვა და ოთხი შედეგიანი გადაცემა გააკეთა. მატჩში დაფიქსირდა ახალი რეკორდი და ამ რეკორდის ავტორი "დენვერ ნაგეთსია". დენვერელმა კალათბურთელებმა მესამე პერიოდში შვიდი ქულის მეტი ვერ დააგროვეს. ეს ყველაზე ცუდი მაჩვენებელია ნაციონალური საკალათბურთო ასოციაციის ისტორიაში.

"ნიუჯერსი ნეთსმა" საკუთარ "კონტინენტალ ეირლაინს არენაზე" "ჰიუსტონ როქეთსი" მიიღო. ჰიუსტონელმა კალათბურთელებმა კარგი თამაში აჩვენეს, რის წყალობითაც მატჩი სასურველ შედეგამდე მიიყვანეს. ჰიუსტონელთა რიგებში თავი გამოიჩინეს კატინო მობლიმ და სტივ ფრენსისმა. მათ თავის გუნდს, შესაბამისად, 20 და 17 ქულა მოუტანეს. სპეციალისტებმა დაბალი შეფასება მისცეს ჩინელი გიგანტის იაო მინგის თამაშს. ჩინელმა მხოლოდ ათი ქულის მოგროვება შეძლო, მაგრამ დაცვაში 11 მოხსნა გააკეთა. მასპინძელთა შემადგენლობაში რიჩარდ ჯეფერსონი გამოირჩეოდა. მან 21 ქულა დააგროვა და, ამასთან, შვიდჯერ მოხსნა ფარიდან ბურთი და ოთხი შედეგიანი გადაცემა გააკეთა. "ნეთსის" ერთ-ერთმა ლიდერმა ჯეისონ კიდმა მხოლოდ 16 ქულა დააგროვა და ცხრა შედეგიანი გადაცემა გააკეთა. "ნიუჯერსი" აღმოსავლეთ კონფერენციაში ერთ-ერთ ლიდერად ითვლება, თუმცა, ჯერჯერობით ვერაფრით დაამტკიცა ეს.


კობი ბრაიანტის (მარცხნივ) ანგარიშზე 31 ქულაა

შარშანდელმა ჩემპიონმა "სან-ანტონიო სფარზმა" თავის "ესბისი ცენტრში" "მაიამი ჰიტი" მიიღო. ერთ დროს უდიდესი "მაიამი ჰიტი" დღეს საშუალო გუნდად ითვლება. მაიამელებმა ბევრი იბრძოლეს, მაგრამ ძალა არ ეყოთ. ედი ჯონსმა, რომელიც მაიამის ერთ-ერთი ლიდერია, 26 ქულა მოაგროვა. ასევე დაეხმარნენ გუნდს ლამარ ოდომი და ჯონ უოლასი, მათ, შესაბამისად, 14 და 10 ქულა დააგროვეს. დაცვაში საუკეთესოდ გამოიყურებოდა ლამარ ოდომი. მან თორმეტჯერ მოხსნა ფარიდან ბურთი. მასპინძელთა შემადგენლობაში, როგორი გასაოცარიც არ უნდა იყოს, მოედანზე არ გამოსულა გუნდის ლიდერი ტიმ დანკანი. ლიდერობა თავის თავზე აიღო არგენტინელმა ლეგიონერმა მანიუ ჟინობილიმ. მან 15 ქულა მოუტანა გუნდს, 5 შედეგიანი გადაცემა გააკეთა და 8-ჯერ მოხსნა ფარიდან ბურთი. კარგად ითამაშეს მალიკ როზიფმა და რაშო ნესტეროვიჩმა. მათ 14-14 ქულა მოუტანეს თავიანთ გუნდს. მიუხედავად იმისა, რომ "სან ანტონიო სფარზი" ვერ აჩვენებს საჩემპიონო თამაშს, მაინც ერთ-ერთ ფავორიტად ითვლება.

"ლოს ანჯელეს ლეიკერსმა" გააგრძელა მოგებათა სერია, რომლის რიცხვიც ოთხამდე აიყვანა. გასულ ღამეს კალიფორნიელებმა დაამარცხეს "მილუოკი ბაქსი". მატჩი თანაბარ ბრძოლაში მიმდინარეობდა. მეოთხე პერიოდის შუაში მილუოკელები 8 ქულას იგებდნენ და ყველას ეგონა, რომ ამ უპირატესობას ბოლომდე შეინარჩუნებდნენ, მაგრამ შაკილ ო`ნილისა და გერი პეიტონის ძალისხმევით კალიფორნიელებმა შეძლეს მატჩში გარდატეხის შეტანა და სასურველი შედეგის მიღწევა. გამარჯვებულთა რიგებში საუკეთესოდ მოგვევლინა კობი ბრაიანტი. მან 31 ქულა მოაგროვა, გააკეთა 8 შედეგიანი გადაცემა და 7-ჯერ მოხსნა ფარიდან ბურთი. შაკილ ონილი 23 ქულით და 14 მოხსნით დაეხმარა გუნდს. გერი პეიტონმა კი 19 ქულა და 5 შედეგიანი გადაცემა გააკეთა. კარლ მელოუნისა და დივენ ჯორჯის ანგარიშზე 11-11 ქულაა. "ბრედლი ცენტრის" პარკეტზე კი საუკეთესო მოთამაშედ "მილუოკი ბაქსის" მოთამაშე, მაიკელ რედი დაასახელეს. მან თავის გუნდს 36 ქულა მოუტანა, 8-ჯერ მოხსნა ფარიდან ბურთი და 2 შედეგიანი გადაცემა გააკეთა. ტიმ ტომასმა და დესმონდ მეისონმა კი, შესაბამისად, 16 და 10 ქულა მოაგროვეს. "მილუოკის" შემადგენლობაში მოედანზე გამოვიდა ვეტერანი იუგოსლაველი ტონი კუკოჩი, რომელმაც 8 ქულა შესძინა გუნდს.

| | |
|---|---|
| **სან-ანტონიო – მაიამი** | **80:73** |
| **ინდიანა – დენვერი** | **71:60** |
| **ნიუჯერსი – ჰიუსტონი** | **75:86** |
| **მილუოკი – ლეიკერსი** | **107:113** |

## ჩოგბურთი

# ბორისის ბნელი მხარე

**მთვარეულივით უიმბლდონის ფინალში**

გიგა გურასაშვილი

ჩოგბურთის ყოფილი ვარსკვლავის, გერმანელი ბორის ბეკერის ირგვლივ ატეხილი აჟიოტაჟი იმდენად მაცდუნებელი გამოდგა, რომ ჰოლივუდსაც შეშურდებოდა. თუმცა, აქვე უნდა ითქვას, რომ აჟიოტაჟის კატალიზატორად თავად ბეკერი მოგვევლინა. საერთოდ, თუ გვინდა, რომ ამა თუ იმ ცნობილი ადამიანის შესახებ მისი ცხოვრების ბნელ მხარესაც გავეცნოთ, ცოტა მოთმინებაა საჭირო, დროთა განმავლობაში ყველაფერი თავის ადგილზე დადგება. ანუ ის, რაზეც მანამდე პაპარაცები თუ ყვითელი პრესა ოფლს ღვრიდა, შემდგომში თავისთავად, ყოველგვარი ძალდატანების გარეშე სააშკარაოზე გამოდის. თუ პოლიტიკოსებს მემუარების წერა უყვართ, კინოსა თუ სპორტის ვარსკვლავები ცნობისმოყვარეებს სკანდალური ყვითელი ისტორიებით თავის შექცევის საშუალებას აძლევენ. ამასთან, ვარსკვლავის სიკაშკაშის ადეკვატურია მათ მიერ წიგნის სახით გამოქვეყნებული მოგონებების, გნებავთ, მემუარების ბესტსელერად ქცევა.

რამდენიმე დღეა, გერმანია ბეკერომანიითაა შეპყრობილი. მკითხველი მოუთმენლად ელის Bild-ის თითოეულ ნომერს, რათა სახელოვანი თანამემამულის შესახებ გაცილებით მეტი შეიტყოს. ბეკერი ყოველდღიურად Bild-ის ერთგულ მკითხველს საკუთარი ცხოვრების დაფარულ მხარეებზე უყვება. მიზანი, რა თქმა უნდა, სარეკლამო კამპანიას ემსახურება. ანუ, რამდენიმე დღეში მაღაზიის თაროები ცნობილი ჩოგბურთელის ავტობიოგრაფიული წიგნით გაჯერდება. ავტობიოგრაფიული წიგნის მსყიდველუნარიანობა იმაზე იქნება დამოკიდებული, თუ რამდენად სკანდალურ ინფორმაციებს შეიცავს იგი. სკანდალები კი ბეკერს მრავლად ჰქონდა. ასე რომ, წიგნს რეკლამა აქედანვე აქვს გარანტირებული. ერთ-ერთ თავში ბეკერი რუს მოდელთან დაკავშირებულ გახმაურებულ ისტორიაზე მოგვითხრობს. ეს ისტორია კი, მრავალ სკანდალთა შორის, ალბათ, ყველაზე გამორჩეულიცაა. ყველაფერი იმით დაიწყო, რომ ოთხი წლის წინათ, ზაფხულის ერთ მშვენიერ დღეს, ჯერ კიდევ ცოლიანი ბეკერი ლონდონის იაპონურ რესტორან "ნობუს" სტუმრობდა. ამავე რესტორანში დროს კლავდა რუსი მოდელი ვინმე ანჟელა ერმაკოვაც, რომლის მოჟუჟუნე თვალების ტყვეობაშიც მოექცა შემდგომ ბეკერი. თუ როგორ განვითარდა ისტორია, ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს, თუმცა, მივყვეთ თანმიმდევრობით.


ბეკერი თავისი ლოთობის ამბებს გვიყვება

35 წლის ჩოგბურთელის მონათხრობით, ბედის ბორბალი უკუღმა მას შემდეგ დატრიალდა, როდესაც უიმბლდონის ტურნირზე (1999 წ.) მატჩი წააგო. ისედაც ნერვებმოშლილმა, შემდეგ თავის მეუღლე ბარბარასთან, რომელიც იმხანად შვიდი თვის ორსული იყო (ბეკერები მეორე შვილს ელოდნენ), ორი საათი იკამათა. დავა მხოლოდ მას შემდეგ ჩაცხრა, როდესაც ბარბარას მოეჩვენა, რომ მშობიარობა დაეწყო. ის სასწრაფოდ საავადმყოფოში გააქანეს, ბარას მეგობარი ქალი გაჰყვა. თავად ბეკერი კი დარდის გასაქარვებლად გაეშურა. რესტორან "ნაბუში" მისულს, ისევ ის გრძელფეხება რუსი დახვდა, რომელიც ორიოდე კვირით ადრეც შენიშნა.

"და აი, ის ისევ იქ იყო. ბარს ორჯერ ჩაუარა. ისევ ის მზერა, რომელიც ადრეც ვიგრძენი, - ავტობიოგრაფიული წიგნით "Augenblick, verweile doch..."-ით (შეჩერდი, წამო!) გვამცნობს ბეკერი მაშინდელ პერიპეტიებს.

რუს ქალთან რამდენიმე კათხა ლუდი შესვა, თვალებიც კარგა ხანს უჟუჟუნეს ერთმანეთს და...

"რაღაც დროის შემდეგ ის წამოდგა და საპირფარეშოსკენ წავიდა. გავყევი. ხუთწუთიანი საუბრის შემდეგ "დავსაქმდით". ადგილიც შესაფერისი იყო".

ავტობიოგრაფიული წიგნის მეშვეობით ვიგებთ, რომ ჭინთვები, რომელიც ბარბარამ იმ საღამოს იგრძნო, ცრუ ყოფილა. რვა თვის შემდეგ კი ბეკერმა შეიტყო, რომ იგი კიდევ ერთ ორსულობაზეა "პასუხისმგებელი". უფრო ზუსტად კი, 2000 წლის თებერვალში ანჟელა ერმაკოვასგან მიიღო ფაქსი, რომელიც ჩოგბურთელს მარტში პატარა ბეკერის მოვლენის თაობაზე ამცნობდა თუ აფრთხილებდა.

"ეტყობა, მაშინ არაადეკვატურად შევაფასე რამდენიმე კათხა ლუდის ეფექტი. შესაძლოა, ამ ყველაფრის მიზეზი ბარბარასთან ატეხილი სკანდალიც იყო, რომლის მერეც ბარში წავედი".

ამ სასიყვარულო კავშირის შესახებ პირველად ინფორმაცია მას შემდეგ გავრცელდა, რაც ერმაკოვამ თხოვნით მიმართა სასამართლოს: ანას მამად ბორის ბეკერი აღიარეთო. თავდაპირველად ბეკერი ერმაკოვასთან სექსუალურ კავშირს უარყოფდა კიდეც - შეუძლებელია, მასთან მხოლოდ ორალური სექსი მქონდაო. კარგა ხანს სასამართლო პროცესიც მიმდინარეობდა. ჩოგბურთელმა მხოლოდ მაშინ აღიარა ანას მამობა, როდესაც დნმ-ზე ტესტირებამ შესაბამისი პასუხი გასცა. აი, ასე ვითარდებოდა მოვლენები, ვიდრე ჩოგბურთელმა Bild-ის მეშვეობით მკითხველს თავად არ გადაუხსნა გული.

ახლა კი... ბეკერი, რომელიც 2001 წლის იანვარში ბარბარას გაეყარა, ამბობს, რომ სამი წლის ანას ნახულობს ხოლმე: "მინდა, საკუთარი გოგონას სიყვარული ვისწავლო".

წიგნის მეორე ნაწილში ბეკერი ბევრ სხვა საინტერესოსაც ყვება, კერძოდ, 1980-1990-იანი წლებზე მოგვითხრობს. ირკვევა, რომ ბორისი მაშინ მარტო ჩოგბურთით როდი ყოფილა დაკავებული, არამედ... სწორედ მაშინ იგი გამაბრუებელ თუ ძილის მომგვრელ ხსნარს მიეჯაჭვა, რასაც თავდაპირველად იშვიათად იღებდა, მერე დოზას უმატა, თანაც, წამალში ლუდსა და ვისკის აზავებდა. 1987 წელს კი მის გარეშე საერთოდ აღარ შეეძლო. როგორც თვითონ აღიარებს, ზოგიერთ მატჩზე, კერძოდ, უიმბლდონის ფინალში, შტეფან ედბერგის წინააღმდეგ კორტზე მთვარეულივით გასულა. მავნე ჩვევას კი 1992 წელს დავანებე თავიო, სინათლე მოჰფინა დიდმა ჩოგბურთელმა მისი ცხოვრების კიდევ ერთ დეტალს.

ნინო I

Tour d amour

# ლანს არმსტრონგის ამურული წარმატებანი


ლანს არმსტრონგი სანდრა ბალოკით იქცევს თავს



1996 წელს ის სიცოცხლის გადასარჩენად იბრძოდა. ყველაფერი მიუწვდომელი ჩანდა - სიყვარულიც, კარიერაც და მომავალიც. 1996 წელს მას არავინ იცნობდა, ჯერ კიდევ არ იყო გენიალური არმსტრონგი, ტურ დე ფრანსის მრავალგზის გამარჯვებული, შეუდარებელი არმსტრონგი... მაშინ არავინ იცოდა, რომ ლანს არმსტრონგი ასე ძლიერი აღმოჩნდებოდა, მაშინ ის მხოლოდ უიმედო პაციენტი იყო და არა ველოსპორტის გმირი.

კიბოთი დაავადებული არმსტრონგი მარტო არ იყო თავის სატკივართან ერთად – მის გვერდით ყოველთვის ხედავდნენ ერთ ქერათმიან ახალგაზრდა ქალს. "მის გარეშე ამდენს ვერ შევძლებდი. კრისტინის სიყვარულმა სიცოცხლე დამიბრუნა", - წერდა არმსტონგი თავის წიგნში "სიცოცხლის ტური". კრისტინმა, მართლაც, ყველაფერი გააკეთა იმისთვის, რომ არმსტრონგისთვის ნორმალური ცხოვრება შეექმნა. ხელოვნურ განაყოფიერებაზეც კი დათანხმდა, რომ არმსტრონგს ბედნიერ მამად ეგრძნო თავი. თავიდან ტურ დე ფრანსის გმირის ოჯახური ცხოვრება შესანიშნავი იყო – კრისტინი არც ერთ რბოლას არ აკლდებოდა. რბოლის შემდეგ არმსტრონგისა და მისი მეუღლის ხვევნა-კოცნა ლამის კლასიკურ სცენად იქცა, რომლის გადაღებაც ყველა ფოტოგრაფის უპირველესი მოვალეობა იყო. არმსტრონგი თავის კრისტინთან და სამ შვილთან ერთად... პირადი და პროფესიული ბედნიერების ჰარმონიული შერწყმა... სამწუხაროდ, სულ მალე ეს ყველაფერი წარსულის საკუთრებად იქცა. არმსტრონგი სულაც არ აღმოჩნდა ოჯახური ერთგულების ეტალონი... ბულვარულ გაზეთებს შესანიშნავი საკბილო მიეცათ. დაიწყო განშორება-შერიგების აბსურდული ხანა. არავინ იცოდა, საბოლოოდ რა სახეს მიიღებდა არმსტრონგისა და კრისტინის ურთიერთობა. ამერიკელმა ველომრბოლმა თვითონაც არ იცოდა, რა გადაწყვეტილება უნდა მიეღო. ხან ოჯახისგან განცალკევებით ცხოვრობდა და ნაირ-ნაირ ქალებთან ერთად ჩნდებოდა საზოგადოებაში, ხანაც კრისტინს რომანტიკულ რანდე ვუს უნიშნავდა და პატიებას სთხოვდა. 2003 წლის ტურ დე ფრანსზე ყველაფერი ძველებურად იყო: გამარჯვებული ლენს არმსტრონგი და მისი ქერათმიანი მეუღლე სამ ბავშვთან ერთად. მიუხედავად იმისა, რომ მთელი ზამთარი ცალ-ცალკე გაატარეს, არმსტრონგმა მაინც მოახერხა, ბედნიერი შეყვარებულის როლი ეთამაშა. კრისტინმაც მხარი აუბა და საფრანგეთში ჩასვლაზე უარი არ უთქვამს. როგორც შემდეგ გაირკვა, ამერიკელ სპორტსმენს ეს ყოველივე იმიჯის შესანარჩუნებლად სჭირდებოდა. იმ პერიოდში მისი ავტობიოგრაფიული წიგნი უნდა გამოსულიყო და ოჯახური სკანდალი ხელს არ აძლევდა. ამიტომაც სურდა, ტურ დე ფრანსზე მთელ მსოფლიოს კვლავაც კრისტინთან ერთად ენახა. ტური დასრულდა. არმსტრონგმა მეოთხედ გაიმარჯვა და, მართლაც, ცოცხალ ლეგენდად იქცა. ახლა უკვე აღარაფერში სჭირდებოდა ერთგული მეუღლისა და მოსიყვარულე მამის თამაში. ისედაც ყველაფერი შესანიშნავად იყო და საზოგადოების აზრი საერთოდ აღარ აინტერესებდა. ოფიციალურ განქორწინებასაც წინ აღარაფერი ედგა...

სექტემბერში ერთ-ერთ ლოკალურ ტეხასურ გაზეთში განშორების მაუწყებელი ცნობა გამოჩნდა. მალე ორივემ ოფიციალურად განაცხადა, რომ აღარ აპირებდნენ ერთად ცხოვრებას. კრისტინს მობეზრდა გამუდმებით მეუღლისთვის ცოდვების შენდობა და თავადაც იპოვა ახალი მეგობარი. ასე რომ, ეს განშორება აღარც მისთვისაა მტკივნეული.

არმსტრონგი კი ბულვარული პრესის საყვარელ გმირად იქცა. კრისტინის მიტოვების შემდეგ ის უცებ სანდრა ბალოკით დაინტერესდა. არმსტრონგმა ჰოლივუდის ვარსკვლავი ტეხასში, ერთ-ერთი საქველმოქმედო რბოლის დროს გაიცნო. ისინი სულ მალე დამეგობრდნენ. ინგლისურ "მირორს" თუ დავუჯერებთ, არმსტრონგმა სანდრა ბალოკს აჩუქა ოქროს სამაჯური წარწერით "შენ აღელვებ ჩემს გულს". ამავე გაზეთის ცნობით, სანდრას და მის ახალ მეგობარს ფაქტზეც წაასწრეს: მყუდროდ ისხდნენ მანჰეტენზე, რესტორან "სამოცდაექვსში" და ერთმანეთს კოცნიდნენ. "სანდრა დარწმუნებულია, რომ ლენსი მისი ცხოვრების მამაკაცია", - განაცხადა სანდრა ბალოკის ერთ-ერთმა მეგობარმა. სანდრა არც არმსტრონგის ახალი წიგნის პრეზენტაციას დაჰკლებია, მაშინაც მის გვერდით იყო და სახე ისე უბრწყინავდა, რომ ლამის ყველამ დაიჯერა, ბალოკი და არმსტრონგი, მართლაც, შეყვარებულები არიანო, მაგრამ...

გუშინ ლენს არმსტრონგმა კიდევ ერთხელ გააოცა ყველანი. "ნიუიორკ პოსტმა" არმსტრონგს ახალი გატაცება აღმოუჩინა: მომღერალი შერილ ქროუ... სანდრა ბალოკმა უცებ ყველაფერი უარყო და არმსტრონგთან ურთიერთობას მხოლოდ მეგობრობა უწოდა. შერილ ქროუ კი ჭორებისგან თავის დაღწევას ცდილობს. ყველაფერი უაღრესად გასაიდუმლოებულია. არც არის გასაკვირი - საცაა განქორწინების პროცესი უნდა დაიწყოს და სულაც არ არის სასიამოვნო, ამ დროს ყველა გაზეთს არმსტონგის სახელი ეკეროს პირზე. ამერიკელი ჟურნალისტები იმედოვნებენ, რომ განქორწინების შემდეგ მაინც დაადგენენ, თუ, ბოლოს და ბოლოს, ვინ მოხიბლა არმსტრონგი - სანდრა ბალოკმა, შერილ ქროუმ თუ ვინმე სხვამ, ვის შესახებაც საზოგადოებამ ჯერჯერობით არაფერი იცის.

# თვითგადამტენი თოფების ავ-კარგი

თეიმურაზ ლომინაძე

ხომ ძალზე ლამაზი და ემოციურია გადამფრენ ვალდშნეპზე საღამოს ნადირობა, ან გამთენიისას, მზის პირველი სხივებით შემღვრეულ ცაში გამოჩენილ იხვზე სროლა, მაგრამ სულ სხვაა მეძებრით ფრინველზე გასვლა.

მეძებრით ნადირობა კრებითი მცნებაა: ძაღლის ძებნის სტილი და ნაბულის სილამაზე, ფრინველის აფრენის ეფექტურობა და ზუსტი გასროლები - რომელი ერთი ჩამოვთვალო. ამ ნადირობას თავისი არისტოკრატიზმითა და განცდათა სიმძაფრით სხვა ვერ შეედრება და თუ მონადირეს იარაღიც შესაფერისი აქვს, მთლად იდეალური სურათი იხატება.

ასეთ იარაღად მე ორლულიანი სანადირო თოფი მიმაჩნია. იგი მსუბუქია, ელეგანტური, დახვეწილი ფორმებითა და პროპორციებით, ზედმიწევნით ბალანსირებული. ასეთი თოფით, სროლაზე რომ არაფერი ვთქვათ, სანადიროდ სიარულიც კი, ესთეტიკური სიამოვნების მომგვრელია და თუ იგი ცნობილი ოსტატის ნახელავიცაა, ჯიშიან ძაღლთან ერთად მონადირის თავმოწონებისა და სიამაყის საგანი ხდება.

ორლულიანი თოფი, სწორედ მისი ორლულიანობის გამო, სპორტული ნადირობისათვის ზედგამოჭრილი იარაღია. კარგი მონადირისათვის ორი გასროლა სრულიად საკმარისია შედეგის მისაღწევად, მაგრამ შედეგიანი გასროლების სერიას აცდენათა გარკვეული რაოდენობაც "ამშვენებს". რაოდენ პარადოქსულადაც არ უნდა მოგვეჩვენოს, აცდენილი ნასროლი ამძაფრებს კიდეც ნადირობისაგან მიღებულ კმაყოფილებას. ზუსტი გასროლისას, აფრენილ ფრინველს მონადირე მხოლოდ სამიზნედ აღიქვამს, მისი აფრენის თავისებურებები და სილამაზე მოზღვავებული აზარტის და ვნების გამო შეუმჩნეველი რჩება. აცდენის შემდეგ მონადირე ნათლად ხედავს ფრინველს. ხედავს, თუ როგორ იქნევს იგი ფრთებს, როგორ აქვს კუდი გაშლილი. ხედავს მის ფერს, ცალკეულ ბუმბულსაც კი. გასროლის შემდეგ ჩამოვარდნილ სიჩუმეში გარკვევით ისმის ფრთების ხმა, ჰაერის ვიბრაცია. ამ ბგერებს უცნაურად ავუღელვებივარ და ჩემი ნადირობის ჟინი გაუორკეცებია. დარწმუნებული ვარ, გარეშე ნადირობის პროცესი ვერ იქნებოდა სრულყოფილი.

ერთი ძველი მონადირის ნათქვამი მახსოვს - ნადირობის ეშხი აცდენაშიაო. მაგრამ აცდენების აპოლოგეტი არავის ვეგონო. მე, უბრალოდ, ორლულიანი თოფით ნადირობა მიყვარს და ყველა დანარჩენისაგან განსხვავებით, მას მივიჩნევ ერთადერთ რაციონალურ, გენიალურობამდე სრულყოფილ სისტემად. ორლულიანი თოფი სანადირო იარაღის კლასიკურ სახედაა მიჩნეული და ამ განსაზღვრებას ალტერნატივა არ გააჩნია.

ძნელი სათქმელია, უკლებლივ ყველა მონადირე იზიარებს თუ არა ამ შეხედულებას, მაგრამ ფაქტია, რომ მათი გარკვეული ნაწილი უპირატესობას ნახევრად ავტომატურ, ანუ თვითგადამტენ თოფებს ანიჭებს. უნდა ვივარაუდოთ, რომ ზოგ მონადირეს თოფის მრავალმუხტიანობა უფრო იზიდავს, თორემ, სხვა მხრივ, თვითგადამტენს ორლულიანთან არაფერი აქვს "სატრაბახო".

ორლულიანმა გადასახსნელმა თოფმა თავის სრულყოფილ სახეს სულ რაღაც ორმოცდაათ წელიწადში მიაღწია. თვითგადამტენი თოფის სრულყოფისათვის კი მისი შექმნის დღიდანვე, აგერ უკვე ასი წელიწადია, ამაოდ "იბრძვიან" მსოფლიოს წამყვანი ფირმები. ამ თოფმა მხოლოდ ერთი არსებითი ცვლილება განიცადა - მოძრავი ლულის პრინციპზე აგებული გადამტენი მექანიზმი უძრავი ლულის, ანუ დენთის აფეთქებისას გამოყოფილი გაზის ნაწილის ძალისხმევაზე დამყარებულმა სისტემამ შეცვალა. ეს არის და ეს. ყველა ნაკლმა, რაც ამ თოფს იმთავითვე ახასიათებდა, ახალ სისტემებშიც უკლებლივ გადაინაცვლა.

დავიწყოთ იმით, რომ თვითგადამტენი თოფი ორლულიანთან შედარებით მძიმე, უხეში და ზომაზე მეტად გრძელია. ხუთვაზნიანი დატენილი თოფის წონა ოთხ კილოგრამამდე აღწევს. ამ ბოლო დროს იტალიელმა და ბელგიელმა მეიარაღეებმა, ალუმინის შენადნობების გამოყენებით, შემსუბუქებული მოდელები შექმნეს, რომლებიც თავიანთ წინამორბედებზე თითქმის ნახევარი კილოთი ნაკლებს იწონიან, მაგრამ ეს საქმეს ვერ შველის. გატენილი თოფი მაინც საკმაო სიმძიმისაა და ხანგრძლივი ტარებისას მეტად დამღლელია.

თვითგადამტენი თოფის ბალანსირება შეუძლებელია. ცევიოში მოთავსებული ოთხი ვაზნა მის წინა ნაწილს ამძიმებს. ყოველი გასროლის შემდეგ ეს ნაწილი თანდათან მსუბუქდება, თოფის ბალანსი და წონასწორობა იცვლება. ამის გამო მოძრავი სამიზნე "იკარგება" და თოფი მორიგი გასროლისათვის ხელახლა დასამიზნებელი ხდება.



ძალზე ჭირვეული რამ არის ამ თოფის მექანიზმი. მისი ყველა დეტალი მოძრავია, სროლის და გადატენვის დროს ისინი ერთმანეთს ეხლებიან, ეხახუნებიან, განიცდიან დიდ ცვეთას და საბოლოოდ თოფის საერთო გამძლეობის რესურსი ძალზე ქვეითდება. ყველაზე უკეთესი თოფები 8-10 ათას გასროლაზე თუა გათვლილი, მაშინ, როცა ორლულიანი თოფის რესურსი რამდენიმე ათეულ ათასს აღწევს.

ამ მექანიზმების სრული საიმედოობის გარანტიას ვერც ერთი ფირმა ვერ იძლევა. ისინი ხშირად სრულიად გაუგებარი მიზეზების გამო, და რაც მთავარია, ყველაზე კრიტიკულ მომენტში გამოდიან მწყობრიდან. ამ შეფერხებებს ვაზნების ხარისხი და ცვალებადი სიძლიერეც განაპირობებს. ყოველი ასეული გასროლის შემდეგ აუცილებელია მათი გაზგამანაწილებელი მექანიზმის დაშლა და გაწმენდა. წინააღმდეგ შემთხვევაში, გაზის მიმწოდებელი მილი დანაგვიანდება და მექანიზმი "შესვენებას გამოაცხადებს". ეს სისტემები სეზონური საპოხავით აუცილებელ დამუშავებასაც საჭიროებენ.

ყოველივე ზემოთქმულს თან ერთვის თოფის გადატენვისას მექანიზმის დეტალების ერთმანეთთან შეხლის უსიამოვნო ხმა.

დაბოლოს, თვითგადამტენი თოფები უსაფრთხო ნადირობისათვის გაძლიერებულ ყურადღებას მოითხოვენ.

როგორც აღვნიშნეთ, ამ თოფის მოყვარულთა უმრავლესობას მისი მრავალმუხტიანობა იზიდავს, მაგრამ ხანგრძლივმა დაკვირვებებმა დაადასტურეს, რომ ოთხი ან ხუთი ზედიზედ გასროლის შესაძლებლობა სულაც არ ნიშნავს ყოველი ნასროლის მიზანში აუცილებელ მოხვედრას. ჰკითხეთ თვითგადამტენი თოფების მოყვარულთ, რამდენჯერ მოუხერხებიათ ხუთი გასროლით ხუთი, ან თუნდაც ოთხი ფრინველის ჩამოგდება? მესამე, განსაკუთრებით კი მეოთხე და მეხუთე გასროლები უმეტესწილად ფუჭია. ორი ან სამი ზედიზედ აცდენილი გასროლის შემდეგ მსროლელის იმედგაცრუება კულმინაციას აღწევს და შესაბამისად თვითკონტროლიც ქვეითდება. გამოცდილი მონადირეები აღნიშნავენ, რომ ასეთ შემთხვევაში "მეოთხე გასროლა უიმედობისაა, მეხუთე კი გაბოროტების". სწორედ ამ გასროლების შედეგია უამრავი დაჭრილი და დაკარგული ფრინველი. ეს თოფები არაპრაქტიკული ხარჯიანობითაც გამოირჩევიან.

ერთ ჩემს ნაცნობ მონადირეს, რომელიც დიდი ხანია მუ-21-ით ნადირობს და კარგ მსროლელადაც ითვლება, ასეთი რამ შეემთხვა: ჭაობში ნადრობის დროს, სულ ახლოს იხვი აფრინდა. მოგეხსენებათ, დიდი, ხაზარულა იხვი მძიმედ ფრინდება და პირველ ათეულ მეტრს სიჩქარის აკრეფას ანდომებს. მიუხედავად ამისა, მან პირველი ორი გასროლა (სულ რაღაც 20-25 მეტრზე) ააცდინა, მესამეც, მეოთხეც და დამფრთხალი იხვი უკვე 60-70 მეტრში მიაპობდა ჰაერს, როცა ... აჰა, ესეც შენო, მიაძახა, და მეხუთე გასროლაც მიაყოლა.

მსგავსი მაგალითების მოყვანა მრავლად შეიძლება.




რუსმა იარაღის მცოდნეებმა და მონადირეებმა, იმის დასადგენად, შედეგიანობის თვალსაზრისით რომელი სისტემის თოფი სჯობსო, ვოლგის დელტაში ორლულიანი და თვითგადამტენი თოფების თავისებური შეჯიბრი მოაწყვეს. თვითგადამტენი თოფიდან 4010 გასროლა გაკეთდა და მოპოვებულ იქნა 481 ფრინველი, შედეგიანობა - 8,34 ვაზნა ერთ ჩამოგდებულ ფრინველზე. ორლულიანი თოფიდან კი 5312-ჯერ გაისროლეს და 1223 ფრინველი მოიპოვეს. შედეგიანობა - ერთ ჩამოგდებულ ფრინველზე 4,34 გასროლა. როგორც იტყვიან, კომენტარები ზედმეტია.

ცნობილი რუსი იარაღის მკვლევარი და ნადირობის მცოდნე ს.ა. ბუტურლინი თვლიდა, რომ "თვითგადამტენი თოფები მახვილგონივრულობისა და ტექნიკური სრულყოფილების სასწაულია... მაგრამ მონადირეთათვის იგი სრულიად უსარგებლო რამ არის, რადგან ყველა ეს სისტემა რთულია და ამის გამო კრიტიკულ სიტუაციებში ხშირად გამოდის მწყობრიდან. გარდა ამისა, თოფი განსაკუთრებულ მოვლას საჭიროებს: მექანიზმის ხშირ წმენდას, სეზონურ გაპოხვას და ა.შ." ბუტურლინი "ჩვეულებრივი" ნადირობისათვის უპირატესობას ორლულიან თოფებს ანიჭებდა. თვითგადამტენების გამოყენებას კი მხოლოდ იხვისა და ბატის გადაფრენისას ან წვრილ და საშუალო ზომის ნადირზე ურჩევდა მონადირეებს.

ჩემი წერილი მიზნად არ ისახავს თვითგადამტენი თოფების მოყვარული მონადირეების "ორლულოსანთა ბანაკში გადმობირებას". აქ პირად სიმპათიაზე უფროა საუბარი, თუმცა ზურგს ნამდვილად მიმაგრებს მსოფლიოს მრავალი ქვეყნის მეძებრით მონადირეთა უზარმაზარი არმია. ხოლო რაც შეეხება მეძებრით ნადირობის ისეთ კლასიკურ ქვეყანას, როგორიცაა ინგლისი, რომელსაც მსოფლიო სანადირო იარაღის წარმოებაში დღესაც ლიდერის პოზიცია უჭირავს, იქ თვითგადამტენ, ნახევრად ავტომატურ თოფებს საერთოდ არ ამზადებენ.

მე არ ვიქნებოდი ობიექტური, თვითგადამტენის "დასაცავადაც" რომ არ მეთქვა ორიოდ სიტყვა. ხშირად ორი გასროლით ჩამოგდებულ, "დასაკარგავად განწირულ" იხვს სასწრაფოდ სჭირდება მესამე გასროლა. იგივე ითქმის კურდღელზეც, რომელიც ორი აცდენილი გასროლის შემდეგ სადღაც ბუჩქებში შევარდება და გაუჩინარდება.

ამის დასადასტურებლად რუსი მესტენდურების, წარსულში ყველა რანგის ჩემპიონების ოლეგ და სერგეი ლოსევების მაგალითიც კმარა. ისინი და მათი ზოგიერთი თანამეინახეც მხოლოდ თვითგადამტენი თოფებით ნადირობენ და მათ სასახელოდ უნდა ითქვას, ბრწყინვალე შედეგებსაც აღწევენ.

ახლა კი ჩემმა შესაძლო ოპონენტმა შეიძლება ხმა აიმაღლოს - აი, ხომ ხედავ!..

მაგრამ ჩემი პოზიციის გასამაგრებლად ერთი შეძლებული რუსი მონადირის ნათქვამს მოვიშველიებ. იგი ევროპის ზოგიერთ ქვეყანაშიც ხშირად ნადირობს. როდესაც მას ჰკითხეს, თუ რა დამოკიდებულება აქვთ ევროპელ მონადირეებს ნახევრად ავტომატურ თოფებთან, ასე უპასუხა: "თუ თქვენ მაღალი საზოგადოების წრეში ხოხობზე სანადიროდ მიგიწვიეს და თქვენ თვითგადამტენი თოფით გამოცხადდით, დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, რომ მეორედ აღარასოდეს მიგიწვევენ".

ჩვენი მხრიდან კი დავამატებთ: კარგი მსროლელისათვის დუბლეტით ჩამოგდებული წყვილი ფრინველი ჩვეულებრივი ამბავია და სრულიად საკმარისია "ამბიციის დასაკმაყოფილებლად". ცუდ მსროლელს კი ხუთი გასროლაც ეცოტავება.

# ლეკვის დაბადება



ლეკვი, ჩვეულებრივ, თავით მოდის ხოლმე, ხოლო ზურგი ზევით აქვს მიქცეული. იგი თანდათანობით მოიწევს წინ და ბოლოს, მისი თავი მარყუჟში გამოჩნდება. ამ დროს ძუს ხანმოკლე შესვენების პერიოდი უდგება შემდეგ შეტევამდე, რომელმაც მენჯის ხვრელში უნდა გამოაგდოს ლეკვის მხრები, რაც ყველაზე ძნელი პროცესია. ამის შემდეგ ლეკვი, უბრალოდ, გამოსხლტება ხოლმე სამშობიარო გზიდან.

ლეკვი საერთოდ, ბუშტიანად იბადება, მაგრამ ზოგჯერ იგი დაბადებისას კვდება. სანამ ლეკვი სამშობიარო გზებს გადის, პლაცენტა იწყებს საშვილოსნოს კედლიდან მოცილებას და შეიძლება ლეკვს ჭიპლართან ერთად მოჰყვეს უკან.

მშობიარობა რთულდება, როდესაც მენჯის ხვრელში ლეკვის მხრები და ქეჩო გამოდის.

ლეკვის გამოსვლის შემდეგ, თუ გარსი და პლაცენტა ლეკვს თან არ გამოჰყვა, ძუს კიდევ ერთი შეტევა მოსდის, რომელიც მომყოლს გამოდევნის. ამის შემდეგ ძუს ხანმოკლე შესვენება აქვს.

ლეკვის გამოსვლის შემდეგ საშვილოსნო იკუმშება, რაც პლაცენტის კედლიდან მოწყვეტასა და ამის გამო დაზიანებულ სისხლძარღვთა შევიწროებასა და მოჭერას იწვევს. საშვილოსნო იკუმშება, მაგრამ მისი ყელი ღიაა, ამიტომ პლაცენტა და გარსი იოლად გამოდის და ჩვეულებრივ, ყოველ ლეკვს უკან მოჰყვება. ზოგჯერ მომყოლი გამოსვლას აგვიანებს და მას მომდევნო ლეკვი გამოიგდებს ხოლმე წინ.

ხანგრძლივი და მძიმე მშობიარობა ხან ისე ღლის და ფსიქიკურად გატეხს ხოლმე ძუს, რომ მას თავიც კი აღარა აქვს, ლეკვს გარსი შემოაცილოს და ჭიპი დაუმუშაოს. ცხადია, ამ დროს ძუ უნდა დავასვენოთ, მაგრამ ვინც მშობიარობას ესწრება, მან დაუყოვნებლივ უნდა გახიოს გარსი ნაყოფის დრუნჩთან, თორემ შეიძლება ლეკვი მოიგუდოს.

ნორმალური მშობიარობისას ძუ თავად მოაცილებს ლეკვს გარსს, გაათავისუფლებს და მერე კბილით გადაკვნეტს ჭიპლარს. ზოგჯერ თუ თვითონ მოისურვებს ამის გაკეთებას, ხელს ნუ შეუშლით, მით უმეტეს, თუ იგი მრგვალთავიანი ჯიშის (ბულდოგი, პეკინესი და სხვ.), ან საერთოდ, ისეთი ჯიშის ძაღლი არ არის, რომლებსაც ცუდი კბილები აქვთ. ძუს თუ ნორმალური კბილის წყობა არა აქვს, ჭიპლარის გადაკვნეტისას, შეიძლება, ლეკვის ნაწილიც ზედ მიაყოლოს.

ზოგიერთი არაპროპორციული აღნაგობის ჯიშის ძუ თავის მარყუჟს ვერ წვდება და სანამ მთელი ნაყარი არ გაჩნდება, ლეკვებს ვერ ეხმარება. ამ დროს მათი მოვლა-პატრონობა მთლიანად დამსწრემ უნდა ითავოს.

მშობიარობის ამ სტადიაზე ყველა ძუს სჭირდება მეთვალყურე, რადგან ზოგიერთი ძუ, განსაკუთრებით, რომელსაც ლეკვები ჯერ არ ჰყოლია, უხეშად ეპყრობა თავის ნაშიერს. ხანდახან ძუ მაშინაც კი ეწევა ჭიპლარს, როცა იგი უკვე გადაკვნეტილია; ნუ მისცემთ ამის ნებას, თორემ ლეკვს, შეიძლება, ჭიპის თიაქარი გამოუვიდეს. საერთოდ, ყურადღება მიაქციეთ, რომ შობის დროს ლეკვს ჭიპლარი არ დაეჭიმოს, განსაკუთრებით საშიშია უეცარი ბიძგით გამოწვეული გაჭიმვა. თუ ჭიპლარი ისე მოკლეა, რომ ძლივს ჰყოფნის, რათა ლეკვი მარყუჟიდან გამოძვრეს, შეიძლება, ორიოდე წუთს ასე დატოვოთ, ოღონდ ყურადღება მიაქციეთ, რომ ჭიპლარი არ დაეჭიმოს. ამ მდგომარეობაში ძუმ რომ ლეკვი დაამუშაოს, აუცილებლად რამეს დაუშავებს, ამიტომ ყველაფრის გაკეთება თვითონ მოგიწევთ. ლეკვი თუ პლაცენტასთან ერთად დაიბადა, მაგრამ ჭიპლარი მოკლე აქვს, ნებას ნუ მისცემთ ძუს, გადაკვნიტოს იგი, რომ შემთხვევით ლეკვიც არ დააზიანოს.

სანამ ჭიპლარს მოწყვეტდეთ, ფრთხილად ჩაწურეთ შიგ ჩარჩენილი სისხლი ლეკვის მიმართულებით - ეს მისი ბოლო შიდა "ულუფა" იქნება დედისგან. ნუ გადაჭრით ჭიპლარს, ეს ოპერაცია მცირე სისხლდენას იწვევს და ლეკვს ასუსტებს. თუ ლეკვის გამოსვლის შემდეგ პლაცენტა ჯერ არ დაბადებულა, ქირურგიული სარჭი ზედ მარყუჟთან მოუჭირეთ ჭიპლარს, რომ მისი მოწყვეტის შემდეგ პლაცენტა უკან, საშვილოსნოში არ გაბრუნდეს. ამის შემდეგ ცერა და საჩვენებელი თითით დაიჭირეთ ჭიპლარი ლეკვის მუცლიდან 2-3 სმ-ის დაშორებით, ხოლო მეორე ხელის ცერა და საჩვენებელი თითი კიდევ უფრო მოშორებით, 2-3 სმ-ის იქით მოკიდეთ. ხელი, რომელიც ლეკვის მუცლიდან უფრო დაშორებულია, უძრავად გეჭიროთ. იმ ხელით კი, რომელიც მუცელთან უფრო ახლოს გაქვთ, გაჭიმეთ ჭიპლარი ლეკვის მუცლისკენ და იგი გაწყდება. გაჭიმვის დროს სისხლძარღვები დაიჭიმება და პირს შეიკრავს, ამიტომ აღარც სისხლი გამოვა, აღარც ჭიპის გადახვევა დაგჭირდებათ და აღარც ანტისეპტიკური საშუალება. გახსოვდეთ, იოდის ხმარება არაფრით არ შეიძლება!

თუ ჭიპლარი ძალიან მაგარია, ოდნავ ჩაჭერით ქირურგიული მაკრატლით, რომელიც სულ ცოტა, ხუთ წუთს იხარშებოდა. ზოგი მეძაღლე ჭიპლარს ქირურგიული მაკრატლით ჭრის. ასეთ დროს, სისხლდენა რომ შეწყდეს, რამდენიმე წუთს ხელით მაგრად უნდა გეჭიროთ, შემდეგ კი ქირურგიული ძაფი უნდა გადაუჭიროთ და შეახვიოთ. თუ ჭიპს ისე მოვწყვეტთ, როგორც საჭიროა, ამ გაწამაწიას თავიდან ავიცილებთ.

*წიგნიდან "ძაღლი და მისი მოშენება"*

# ადგილზე გაჩერება



ერთი უმნიშვნელოვანესი ელემენტთაგანია მეძებარი ძაღლისთვის. მასზე ბევრი რამ არის დამოკიდებული ნადირობისას - შედეგიანობაცა და სასურველი დამჯერობაც. ნაბულიდან მიტანებისა და ფრინველის ამოფრენის შემდეგ, თოფის გასროლის მერეც - მეძებარი ადგილზე უნდა დარჩეს. ფრინველს თუ თვითნებურად უკან გამოენთო ან ჩამოგდებულის ძებნა ბრძანების გარეშე დაიწყო, სასიამოვნო ნადირობის ნაცვლად ნერვების შლა და ხმის ჩახლეჩა გარანტირებული გაქვთ. ის კი არა და, უბედურებაც შეიძლება მოხდეს, ფრინველს თუ პირველი ააცილეთ, ძაღლი გაფრენილს გამოეკიდა და მეორე ლულიდან გასროლისას სამიზნეში მოჰყვა. იქ კი, სადაც განსაკუთრებული დამჯერობაა საჭირო, ხშირ ბუჩქნარში და ტყეში მუშაობის დროს, ასეთი "თანაშემწით" ნადირობა საერთოდ უაზრო ხდება.

"სდექ!", "დაჯექი!", "დაუნ!", "დაწე!" - ნებისმიერი ამ ბრძანებით შეიძლება ძაღლის შეჩერება, მაგრამ მხოლოდ ერთ-ერთი მათგანი უნდა ამოვირჩიოთ და ყოველთვის ის გამოვიყენოთ. მთავარია, მეძებარმა ბრძანება დაუყოვნებლივ შეასრულოს, ავტომატურად, გამაღიზიანებელი და ყურადღების გამფანტავი ფაქტორების მიუხედავადაც.

ამ ბრძანებას ლეკვი მოყვანის პირველი დღეებიდანვე უნდა შევაჩვიოთ. თავიდან უმჯობესია, "მომენტი დავუჭიროთ" ხოლმე - ვთქვათ, შევატყვეთ, უკვე დაიღალა თამაშით და დაჯდომას აპირებს, ან დაჯდა კიდეც, მაშინვე მოვეფეროთ და ვუმეოროთ: "დაჯექი", "დაჯექი". ამ ბრძანების შესრულება ყველაზე ადვილად შესასწავლია, ამიტომ ძაღლის ახალგაზრდა პატრონებს ვურჩევთ, მეძებრის წვრთნა აქედან დაიწყონ. ძალიან სწრაფად ითვისებს ლეკვი შემდეგ სავარჯიშოს - დაანახეთ ერთი ლუკმა სასუსნავი (ორცხობილას ნატეხი) და ხელით დრუნჩის ზემოთ, თავს უკან გადაუწიეთ. ლეკვი თვალს და ცხვირს გააყოლებს თქვენს ხელს და თავისდაუნებურად უკანა ფეხებზე ჩაღდება. ამ დროს მწვრთნელის მოვალეობაა, არ დაავიწყდეს ბრძანების გაცემა: "დაჯექი". მცირე ხნით ამ მდგომარეობაში გააჩერეთ და მერე სასუსნავით გაუმასპინძლდით, ეგ არის და ეგ - რამდენიმე დღეში თავს უკან ხელს გადაუწევთ თუ არა, ლეკვი ბრძანების გარეშეც მაშინვე დაჯდება, რა არის, საჩუქარს მომცემენო. მალე მარტო ხელის აწევითაც შეგეძლებათ ამ ბრძანების გაცემა, რაც ნადირობისას ძალიან მოსახერხებელია. მიუხედავად სწრაფი შედეგისა, ვარჯიში ყოველდღიურად უნდა გააგრძელოთ. მაგალითად, ყოველი კვების წინ - დავდოთ ჯამი იატაკზე და სანამ ლეკვს საჭმელად მიუშვებდეთ, საყელურით დავიჭიროთ და დავსვათ. თუ გაიქაჩა და თვითნებურად მოინდომა ჯამში ცხვირის ჩაყოფა, ლონივრად მოვქაჩოთ (წკეპლაც შეიძლება მოვცხოთ), დავტუქსოთ, ჯერ ავუკრძალოთ ("არ შეიძლება!" "ტუბო!") და მერე ვუბრძანოთ - "დაჯექი-თქო", ძაღლი, როგორც კი "დაჯექის" შესრულებას სტაბილურად დაიწყებს, ბრძანების გაცემის გარემოებები უნდა გავამრავალფეროვნოთ. ისეთ დროს უნდა დავსვათ ხოლმე, როცა სულ არ ეხალისება, ან მზად არ არის. ბრძანება უპირობოდ უნდა შესრულდეს - ყოველთვის და ყველანაირ მდგომარეობაში. ეზოში გამოყვანის წინ (კარებთან, ჭიშკართან) ქუჩაზე გადასვლისას, უკან დაბრუნებისას რამდენჯერმე გავაჩეროთ და "დაჯექიო", ვუბრძანოთ. მაგალითად, კატა დაინახა და გაკიდება დააპირა - მაშინვე ბრძანება "დაჯექი!" და ადგილზე დავსვათ.

ალბათ, მეტყვიან: "კი, ბატონო, ძაღლი რომ დაწყნარებულია, საბელითა გვყავს, გვერდზე მოგვყვება, მაშინ მისი მოთოკვა და დამორჩილება ადვილია, მაგრამ შენ კატას გადევნებული მეძებრის გაჩერება თქვი ან ამძუნებულ ძუსთან მივარდნილის..." სწორი მსჯელობაა, შემაჯერებელი ბრძანების გამომუშავებისას წესად უნდა დავიწესოთ - გაფიცხებისა და გაღიზიანების მიუხედავად, როგორ დამნაშავედაც არ უნდა მიგვაჩნდეს ოთხფეხა შეგირდი, არასოდეს დავსაჯოთ იგი, თუკი თავისით დაბრუნდა ჩვენთან ან დაძახებაზე მოვიდა. შემაჩერებელმა ბრძანებამ აღგზნებულ ძაღლში, პირველ ყოვლისა, "დამამახრუჭებელი რეფლექსი" უნდა ჩართოს. ამიტომ ერთი შეხედვით გამოუვალ მდგომარეობაშიც კი (ვთქვათ, კატას გამოეკიდა), თავიდან ჯობია, ამკრძალავი ბრძანების მიცემა ("არ შეიძლება!" "ტუბო!"), ხოლო შემდეგ შემაჩერებელი ("სდექ!", "დაჯექი!"). დისტანციაზე ასეთი ბრძანებები ხშირად ფუჭია, რადგან ძაღლი ან ძლიერ აღგზნებულია, ან მშვენივრად ხვდება, რომ გაბრაზებული პატრონის ხელი შორსაა და ვერ მიწვდება. აუცილებელია, მეძებარი განუწყვეტლივ თვალწინ გყავდეთ, ხოლო ყოველგვარი გაუთვალისწინებელი შემთხვევისას, ძაღლის საპასუხო რეაქციას თქვენმა რეაგირებამ წამით მაინც უნდა დაასწროს. პირველად თქვენ უნდა დაინახოთ თავის ჭკუაზე მოსეირნე, თქვენი შეგირდის აზრით, ნერვების მომშლელად გაბურძგნული კატა, სხვა ძაღლები, ავტომობილი, მტრედების გუნდი და ა.შ. თქვენი ქმედება უფრო სწრაფი უნდა იყოს, ვიდრე ძაღლისა. ასეთ შემთხვევაში წარმატება დიდხანს აღარ გალოდინებთ.

# აბსტრაქტული ხელოვნება ორსეს მუზეუმში



პარიზის ორსეს მუზეუმის დამთვალიერებელს თვალს სჭრის კაშკაშა სინათლე. ის ჯერ თეთრია, შემდეგ – ყვითელი და ბოლოს – მოწითალო. სინათლის ინსტალაციის ავტორი, ბელგიელი ხელოვანი ქალი, ან-ვერონიკა იანსენსი მნახველს აბსტრაქტული ხელოვნების განვითარების ძირითადი ელემენტის თვალსაჩინოებას სთავაზობს – მთავარი ფერის აღქმაა! ამ ინსტალაციით გაიხსნა გუშინ გამოფენა "აბსტრაქტული ხელოვნების საწყისები (1800-1914)".

ზემოთ აღწერილი ინსტალაციის შემდეგ დამთვალიერებელი კასპარ დავიდ ფრიდრიხის ცნობილ ტილოს ხედავს: "ქალი ამომავალი მზის სხივებში" - ქალის მოხდენილი სილუეტი აალებული ალიონის ფონზე. აქ ინგლისელი უილიამ ტერნერის ულამაზესი და ფერადოვანი პეიზაჟებია გამოფენილი. "გამოფენის ამ ნაწილით ჩვენ იმის ჩვენება გვინდოდა, რომ სინათლის გამოსახვა კონკრეტული მხატვრობის ჩარჩოების გარღვევას ისახავდა მიზნად," - ახსნა გამოფენის ხელმძღვანელმა პასკალ რუსომ.

ექსპოზიცია წარმოადგენს ნაწყვეტებს გოეთეს "ფერების სწავლებიდან" და ფრანგი ქიმიკოსის მიშელ-ეჟენ შევროს თხზულებებიდან, რაც ნათელჰყოფს იმ გავლენას, რომელიც ფერების და ფორმების აღქმის სფეროში სამეცნიერო მიღწევებმა ფრენსის პიკაბიას, ფერნან ლეჟესა თუ პიეტ მონდრიანის შედევრებზე მოახდინა.

დიადი ხელოვანების - ფრიდრიხის, მონეს, კლეესა თუ კანდინსკის 150-ზე მეტი ნამუშევარი ორსეს მუზეუმში 22 თებერვლამდე იქნება გამოფენილი. ეს ექსპოზიცია საფრანგეთში წლევანდელი კულტურული სეზონის უდიდეს მოვლენადაა მიჩნეული.

მიუხედავად იმისა, რომ საფრანგეთი ხელოვნების ამ მიმდინარეობის პიონერთა სამშობლოა, დღემდე არც ერთ გამოფენაზე არ აღძრულა პირველწყაროების საკითხი. "ეს პრემიერაა. ორსეს მუზეუმი, რომლის კოლექციებიც 1848-დან 1914 წლამდე შექმნილ ხელოვნებას მოიცავს, იდეალური ადგილია აბსტრაქტული ხელოვნების ისტორიის საჩვენებლად. არადა, ეს საკმაოდ გრძელი ისტორიაა, საკმაოდ დიდხანს ვითარდებოდა,"- განაცხადა პარიზის ამ ერთ-ერთი ყველაზე მდიდარი მუზეუმის დირექტორმა, სერჟ ლემუანმა.

გამოფენა 1800-1914 წლებს მიმოიხილავს. ნიუ იორკის თუ ჰამბურგის თანამედროვე ხელოვნების მუზეუმებმა და გალერეებმა ექსპოზიციისთვის მათი კუთვნილი მრავალი შედევრი გაიღეს.

# ძროხების სამფლობელო

1998 წელს ციურიხში, ზედ შვეიცარიის ნაციონალური ბანკის შენობის წინ არქეოლოგებმა არაჩვეულებრივი რამ აღმოაჩინეს: საუკეთესოდ შენახული ძროხის გამოსახულება. ის ძალიან ლამაზია, მორთულ-მოხატული. ელინელი ძროხა ჩვენს წელთაღრიცხვამდე 300 წელს ყოფილა შექმნილი.

მისმა გამოჩენამ დიდი სიხარული გამოიწვია, თუმცა ციურიხელებს ძროხები ნამდვილად არ უკვირთ: ქალაქის ქუჩებში ათასი ჯურის ძროხას შეხვდებით – ცხადია, ცოცხალს არა, ქანდაკებას; ციურიხი შვეიცარიაა, და არა ინდოეთი! ეს ქანდაკებები ერთიმეორეზე ლამაზი და მხიარულია.

ციურიხის "ნახირის" მორთვაზე მრავალ სხვა ადამიანთან ერთად სამმა ცნობილმა მხატვარმაც იმუშავა: ნიკი დე სენ პელმა, კეით ჰერინგმა და პიტ მონდრიანმა. მართალია, დღეს უკვე ძნელი მისახვედრია, რომელი ძროხაა ოსტატის მიერ მოხატული, და რომელი – არა; მთავარია, რომ ლამაზებია.



*ეს ძროხა ნამდვილად დე სენ პელმა მოხატა.*

# ამერიკელები რეიგანზე ფილმს ვეღარ ნახავენ

ამერიკულმა ტელეკომპანია CBS-მა ეთერიდან მოხსნა ტელესერიალი, რომელიც ამერიკის შეერთებული შტატების ყოფილი პრეზიდენტის რონალდ რეიგანის ცხოვრების შესახებ გადაიღეს.

ტელეკომპანიის წარმომადგენლებმა აღიარეს, რომ სერიალი ბოლომდე ზუსტად ვერ ასახავს რონალდ რეიგანისა და მისი მეუღლის ნენსის ცხოვრებას.

პირველად ამის შესახებ რესპუბლიკელები ალაპარაკდნენ – პარტიის მომხრეები, რომელთა ინტერესებს რეიგანი თავისი პრეზიდენტობის დროს იცავდა.

რეიგანიზმის თაყვანისმცემლები ამტკიცებენ, რომ სერიალში ექსპრეზიდენტის ცხოვრების ეპიზოდები სიმართლეს ნაკლებად შეესაბამება.

თუმცა, ამერიკელი მაყურებლისათვის რეიგანზე სერიალის ყურების უფლება ბოლომდე არ ჩამოურთმევიათ – ამიერიდან მას საკაბელო არხ Showtime-ზე გაუშვებენ, რომელიც კომპანია Viacom-ს ეკუთვნის.

CBS-ის განცხადებით, სერიალის მომზადებას დიდი შრომა დასჭირდა. კერძოდ, მისი ავტორები და პროდიუსერები ცდილობდნენ, დოკუმენტურად დაემტკიცებინათ სიუჟეტის თითოეული დეტალი.

თუმცა, კომპანიის წარმომადგენლები ხაზს უსვამენ იმას, რომ რეიგანის პორტრეტი საბოლოოდ, მართლაც, არაობიექტური გამოვიდა.

რონალდ რეიგანი, რომელიც ამერიკის შეერთებულ შტატებს 1981-1989 წლებში მართავდა, დღეს უკვე 92 წლისაა და ალცჰეიმერის დაავადება აქვს.

რესპუბლიკური პარტიის წევრთა უმრავლესობა კომპანია CBS და მის პროდუქციას ბოიკოტს უცხადებს.




## სკანვორდი



## TV პროგრამა

*6 ოქტომბერი*

### რუსთავი - 2

**07.00** დილა მშვიდობისა **07.10** სერიალი "ჯადოქარი" **09.40** სერიალი "ასულ ტეკილა" **10.20** დოკ. ფილმი "გურმანთა მეგზური" **11.00** სერიალი "სოპრანოს კლანი" **12.00, 15.00** კურიერი **12.15** სერიალი "სასტიკი ანგელოზი" **13.30** მხ. ფილმი **15.20** ჩემპიონთა ლიგა. "ბაიერნი"-"ლიონი" **17.30** სერიალი "ჯადოქარი" **18.00, 21.00, 02.50** კურიერი **18.25** სერიალი "მაშველები" **19.10** დოკ. ფილმი "ჯაზი" **19.50** სერიალი "სასტიკი ანგელოზი" **22.00** სერიალი "შავი ზეცა" **23.00** ღამის კურიერი **00.30** სერიალი "სექსი დიდ ქალაქში" **01.00** მხ.ფილმი "წყვდიადს მიღმა". მთ. რ-ში: ჯეისონ პატრიკი, რეიჩელ უორდი.

### პირველი არხი

**07.30** ალიონი **09.45** მულტსერიალი "პრინცესა ნერი" **10.10** მხ. ფილმი "უკანასკნელი გაჩერება" **11.40** კრიმინალური ქრონიკა **12.00, 15.00, 20.00** მოამბე **12.15** ტელესერიალი "კორდიეების ოჯახი" **13.00** ნაშუადღევს **14.00** მოამბე ინგლ. ენაზე **14.05** ინგლისური ენის გაკვეთილი **14.30** დოკ. სერიალი "ბუნებაში სტეფან პეირონთან ერთად" **15.15** მხ. ფილმი "ცა ჩამოიქცა" **16.50** დოკ. ფილმი "ჯონ მალკოვიჩი" **17.50** რამპა **18.00** ვესტნიკი **18.25** ტელესერიალი "კორდიეების ოჯახი" **19.15** ჯანმრთელობა **19.40** ბასტი-ბუბუ **21.00** ტელეთამაში "იმღერე რამე" **21.30** კრიმინალური ქრონიკა **21.45** ეკონომიქსი **22.30** რა ხდება **00.00** მხ. ფილმი "ყველაფერი სიყვარულზე" .

### პირველი სტერეო

**08.00** მუსიკა **09.00** ტოროლა **12.00** ფილმი **14.00** მუსიკა **16.00** ფილმი "ძველი ჯაჯღანები გაბრაზდნენ" მთ.რ-ში ჯეკ ლემონი, უოლტერ მეთოუ. **18.00, 19.15** ქართული მუსიკა **19.00, 20.00, 21.00, 22.00** ინფორმატორი **19.30, 20.15** ვიდეორადიო **20.50** ათი ლექსი **21.15** უცხ. მუსათეული **22.35** მუსიკა **23.00** აბა გამოიცანი მელოდია **00.00** "ბრავო" "გულის მუსიკა". მთ. რ-ში მერილ სტრიპი, ეიდან კუინი. **01.50** "ღამურა" "ყორანი: აღდგომის ფრთები" მთ. რ-ში მარკ დაკასკოსი, მარკ გომესი. **03.00** პაუზის გარეშე

### მზე

**09.00** "ღამის მზერა" (გან) **10.00** სერიალი "მარია ემილია" **11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 18.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **11.10** დღის კინოდარბაზი **18.30** მულტსერიალი "არგაი" **19.00** სერიალი "მარია ემილია" **20.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **20.45** მხ. ფილმი "ცხელი კიბე" **22.45** საინფ. გამოშვება "ღამის მზერა" **23.45** მხ. ფილმი "დაუნდობელი დარტყმა"

### მეორე არხი

**19.00, 22.00** "მოამბე" მეორე არხზე **19.10** მულტფილმი **19.30** მხ. ფილმი "უკვე მკვდარია" **21.00** მოგზაურობა - ალექსანდრია **22.10** მხ. ფილმი "გალია ბოცვრებისათვის"

### კავკასია

**12.00** მხ. ფილმი "ჯუმანჯი" **13.30** მხ. ფილმი "სულელები" **15.00** მხ. ფილმი "უკანასკნელი მოჰიკანი" **17.00, 19.00, 20.30, 00.00** საინფორმაციო პროგრამა "დღეს" **17.15** მხ. ფილმი "9 იარდი" **19.20** სპექტრი **21.00** მხ. ფილმი "ჩიხში" **22.30** მხ. ფილმი "სახიფათო ჩაძირვა"

### იბერია

**08.00** ანონსი **08.05** დიალოგი **11.00** სერიალი "საჰაერო პოლიცია" **12.30** დოკ. ფილმი **13.00, 15.00, 17.00, 19.00, 22.00, 22.45** ახალი ამბები **13.10, 17.30** მულტსერიალი "კაპიტანი სიმიანი და კოსმიური მაიმუნები" **13.00, 15.00, 17.00, 19.00, 22.00, 22.45** ახალი ამბები **13.30, 18.00** დოკ. ფილმი **14.50, 17.20, 17.50, 21.55** მუსიკა **15.15** მხ. ფილმი "მწერთა ომი" **18.45** ბუნების ფერები **20.00** ტელე-სინე-ვიდეო (განმ.) **21.00** მხ. ფილმი "საჰაერო პოლიცია" **22.15, 23.00** დიალოგი **23.45** მხ. ფილმი "მარი მარმეი"

### მეცხრე არხი

**08.00** პროგრამა "დილა" **10.00, 14.30, 17.30, 20.30, 00.00** დღის ამბები **10.10** ანონსი ჩანახატი "ნეკრესი" **10.15, 16.20, 17.50, 22.10** მუსიკა **10.30** სერიალი "მოჯადოება" **11.30** მხ. ფილმი "რობერტი და კლარა" **13.30** მოკლ. მხ. ფილმი "გაწყვეტილი გრაფიკი" **14.00** მულტსერიალი "სიმბა მეფე ლომი" **14.50** "ევროპის სტადიონებზე" **15.10** სერიალი "პატარა აინშტაინები" **15.35** სერიალი "ღამის ექიმები" **16.35** დოკ. სერიალი "უჩვეულო კოლექცია" **17.00** მხ. სერიალი "სამოდელო სკოლა" **18.00** მულტსერიალი "სიმბა მეფე ლომი" **18.30** სერიალი "პატარა აინშტაინები" **19.00** სერიალი "ღამის ექიმები" **20.00** "ქართული ფეხბურთი" **21.15** სერიალი "მოჯადოება" **22.20** "ტელემეტრი" **22.30** "ყვითელი კვადრატი" **23.00** მოკლ. მხ. ფილმი "წერილები ტეხასიდან" **23.20** "ცხელი ცხრიანი" **00.30** რუს. მხ. ფილმი "ქალი ფანჯარაში"

### იმედი

**07.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00** ქრონიკა **07.15, 09.10, 13.15, 17.20, 01.15** იმედის მელოდიები **07.45** "იმედის" დილა **09.30** სერიალი "სიყვარული უდაბნოში" **10.30** ერთხელ ჰოლივუდში **11.05** დოკ. სერიალი "ბრძოლა გადარჩენისათვის" **12.10** სერიალი "გვირაბი" **13.30** სერიალი "უკიდურესი ზღვარი" **14.05** სერიალი "იმპერია ნობლ ჰაუზი" **15.15** მხ. ფილმი "აგვისტო" **17.00, 18.00, 19.00, 21.00, 22.00, 01.00** ქრონიკა **17.30** დოკ. სერიალი "ისტორიის ერთი კვირა" **18.05** სერიალი "სიყვარული უდაბნოში" **19.30** მხ. ფილმი "ოპერაცია მოთუშული ხორცი" **21.30** სპ. პროგრამა "ესტაფეტა" **23.15** მხ. ფილმი "რობინ ჰუდი-ყაჩაღების უფლისწული"

### აჭარა

**08.00, 03.00** საინფორმაციო დაიჯესტი **08.40** მუსიკა **09.00, 12.00, 16.00** საინფ. გამოშვება "დღეს" **09.20, 12.10, 16.10** საინფ. გამოშვება "ნოვოსტი" **09.30** მხ. ფილმი "ჩვეულებრივი სასწაული" 1 ს. **10.40, 11.55, 15.55, 02.50** მუსიკა **11.00** მოკლემეტრაჟიანი ფილმი "კუპერის მთა" **12.20** კომედია "რვა ქალბატონი" **14.00, 18.00** საინფორმაციო დაიჯესტი **14.05** კომედია "რვა ქალბატონი" (გაგრძ.) **14.10** დრამა "სასტიკი ადამიანები" **16.20** მულტფილმი "ლედი და მაწანწალა" **17.30** მელოდრამა "სონისა და შერის ისტორია" **19.00, 22.00, 00.00** საინფორმაციო გამოშვება "დღეს" **19.15, 22.30, 00.20** საინფორმაციო გამოშვება "ნოვოსტი" **19.30** "დღეს მსოფლიოში" **20.00** ბოევიკი "შიშის საფასური" **23.00** საინფ. გამოშვება აზერბაიჯანულ და სომხურ ენებზე **23.10** "ექსკლიუზივი" **00.40** საინფ. გამოშვება ინგლისურ და ფრანგულ ენებზე **01.00** მელოდრამა "ქორწილი" **03.40** კომედია "როგორ მოიცილო თავიდან ყმაწვილი" **05.30** დოკუმენტური ფილმი

### VII არხი

**09.10** მელოდია **09.15** "აჩიკუდა" **09.35** კომპიუტერული ტექნიკა **10.10** მელოდია **10.30** მობილურები **11.15** დისნეი და მისი მეგობრები **11.50** საყოფაცხოვრებო ტექნიკა **12.20** "მელოდია" **12.55** აუდიო-ვიდეო-ტელე **18.20** კომპიუტერული ტექნიკა **19.00** "აჩიკუდა" **19.30** მელოდია - მოკლე შეტყობინებები **20.25** მობილურები **21.15** "ტალავერი" **22.15** აუდიო-ვიდეო-ტელე **22.30** "კინოკლუბი" - "პეპელა". სათავგადასავლო. რეჟ: ფრანკლინ შეფნერი. როლებში: სტივ მაქქუინი, დასტინ ჰოფმანი. **00.30** მელოდია **00.50** საყოფაცხოვრებო ტექნიკა

### ОРТ

**07.00** "Доброе утро" **09.00, 10.00, 13.00, 16.00, 19.00** Новости **09.10 Сериал "ЗЕМЛЯ ЛЮБВИ, ЗЕМЛЯ НАДЕЖДЫ" 10.20 Комедия "БУЛЬВАРНЫЙ ПЕРЕПЛЕТ" 11.30 Сериал "ЗНАХАРЬ" 12.40** Дисней-клуб: "Базз и его команда" **13.20** Город женщин **14.10 Детектив "ОЧНАЯ СТАВКА" 16.20, 22.30** "Фабрика звезд-3" **16.30** "Угадай мелодию" **17.00 Сериал "БЕРЕГ МЕЧТЫ" 18.00** "Последний герой" **19.30** Док. детектив "В тени громких преступлений" **20.00** Ток-шоу "Основной инстинкт" **20.50** "Поле чудес" **22.00** Время **23.50 Комедия "ЖЕЛТЫЙ КАРЛИК" 00.50** Европейский хокейнный тур. Сб. Финляндии-сб. России.

### РТР

**06.00** Доброе утро, Россия! **09.45 Сериал "ВСЕГДА ГОВОРИ "ВСЕГДА" 10.45** Комната смеха **11.50, 14.45** "Вести. Дежурная часть" **12.00, 15.00, 18.00, 21.00** "Вести" **12.30, 15.10, 17.40, 21.30** "Местное время. Вести - Москва" **12.50** Короткое замыкание **13.50** Комната смеха **15.30 Комедия "СВАДЬБА С ПРИДАННЫМ" 18.10 Сериал "БАНДИТСКИЙ ПЕТЕРБУРГ" 19.10 Сериал "УНДИНА" 20.00** Городок **21.50** Спокойной ночи, малыши! **21.55** Народный артист **22.50** "Кубок юмора-2003" **00.50** Результаты голосования - "Народный артист - Ваш выбор!" **01.05 Худ. фильм "РАЙСКОЕ ЯБЛОЧКО" 02.55 Комедия "СЛЕДУЮЩАЯ ПЯТНИЦА" 04.40** Дорожный патруль **04.55 Сериал "АНГЕЛЫ ЧАРЛИ" 05.40 Сериал "ТИТАНЫ"**

### НТВ

**07.00** Утро на НТВ **09.50, 21.45 Сериал "ЧЕРНЫЙ ВОРОН-2" 11.00** Сегодня утром **11.25** Квартирный вопрос: рассвет в розовой комнате **12.15** Ток-шоу "Страна советов" **13.00, 16.00, 18.00, 20.00, 02.15** Сегодня **13.35** Мультфильм "Персей" **13.55 Комедия "ВОПРЕКИ ВСЕУ!" 15.30** По праву **16.35** "Ты меня неправильно любишь". Ток-шоу "Принцип домино" **18.30 Сериал "ОНА НАПИСАЛА УБИЙСТВО" 19.35** "Сокровища свальбарда". "Профессия - репортер" **20.35, 01.05 Сериал "АГЕНТСТВО "ЗОЛОТАЯ ПУЛЯ" 23.00** "Страна и мир" **23.35** Красная стрела **23.50** "К барьеру!" Ток-шоу В. Соловьева **02.35** Гордон **03.25 Худ. фильм "ИСТОРИЯ ВЕРШИТСЯ НОЧЬЮ"**

# განუმეორებელი ვივიენ ლი



*ამ დღეებში ვივიენ ლის დაბადებიდან 90 წელი შეუსრულდებოდა. ჩვენთვის კარგად ცნობილი ფილმის, "ქარწაღებულნი," მთავარი გმირი სკარლეტი, ვივიენ ლის შესრულებით, ჩემი და სხვა თაობის კინომოყვარულებს, დარწმუნებული ვარ, არასდროს დაავიწყდებათ.*

1913 წელს ინდოეთში (მაშინდელი ინგლისის კოლონია) დაბადებული ვივიენ მერი ჰარტლი ბავშვობიდან ოცნებობდა, არა უბრალო მსახიობი, არამედ ცნობილი არტისტი გამხდარიყო. სწორედ ამ მიზნით, 19 წლის ასაკში ლონდონის სამეფო აკადემიაში დრამატული ხელოვნების ფაკულტეტზე ჩააბარა და ამავდროულად იურისტ ჰერბერტ ლი ჰოლმანის მეუღლე გახდა. თუმცა, ქორწინება ყოველთვის გაბედნიერებას როდი ნიშნავს და ეს შემთხვევაც განქორწინებით დამთავრდა. შემდგომ, 1934-ში ვივიენი თავისი ცხოვრების მამაკაცს - ლოურენს ოლივიეს ხვდება და დარჩენილ სიცოცხლეს ნამდვილ ბედნიერებაში ატარებს. წყვილი ერთმანეთს ფილმ "ხანძარი ინგლისში" გადაღების დროს შეხვდა, თუმცა თავიანთი ცოლ-ქმრული ურთიერთობის დაკანონება მხოლოდ ექვსი წლის შემდეგ შეძლო. საკმაოდ დიდი ხნის მანძილზე არც ვივიენ ლის და არც ლოურენს ოლივიეს ექს-მეუღლეები განქორწინების უფლებას არ აძლევდნენ.

მოგეხსენებათ, ბოროტებას დიდი ძალა არასდროს ჰქონია და ამ შემთხვევაშიც სიკეთემ გაიმარჯვა. ვივიენ ლის ვარსკვლავი სულ უფრო და უფრო კაშკაშებდა. მის მიერ შესრულებული როლები ატლანტის ოკეანის გაღმა-გამოღმა კლასიკურ შედევრებად აღიარეს. "ქარწაღებულნის" მთავარ როლზე, რომლისთვისაც ორი წლის მანძილზე ეძებდნენ შემსრულებელს და ათასამდე მსახიობმა სცადა ბედი, ვივიენ ლის კანდიდატურის დამტკიცებას შეერთებულ შტატებში გაოცებულები შეხვდნენ. ბევრს არ ესიამოვნა, რომ სკარლეტ ო`ჰარას როლი ინგლისელ ვივიენს ერგო. სკეპტიკოსთა ეჭვები 1939 წელს მიღებულმა ოსკარმა გაფანტა. მეორე ოსკარი ვივიენმა თორმეტი წლის შემდეგ ტენესი უილიამსის პიესის მიხედვით გადაღებული ფილმისთვის – "სურვილების ტრამვაი," მიიღო, რომელშიც ბრწყინვალედ ითამაშა უბედური ბლანშ დიუბუას როლი. ვერც "ლედი ჰამილტონს" და "ვატერლოოს ხიდს" დავივიწყებთ.

ომის შემდეგ ვივიენს ჯანმრთელობა შეერყა - ექიმები ჯერ ჭლექს ვარაუდობდნენ, მკურნალობის კურსის გავლის შემდეგ კი, მსახიობს ნერვული აშლილობა დაეწყო. 50-იანი წლების დასაწყისში ვივიენი ალკოჰოლსაც მიეძალა, რამაც მისი ჯანმრთელობა გააუარესა და ცოლ-ქმრის ურთიერთობაზეც უარყოფითად იმოქმედა.

1952-53 წლებში ვივიენ ლი ჰოლივუდური მელოდრამის გადაღებაზე ცეილონსა და შეერთებულ შტატებში იმყოფებოდა, უეცრად მას ჯანმრთელობამ უმტყუნა და ლოურენს ოლივიემ მეუღლე სასწრაფოდ ბრიტანეთის ერთ-ერთ ფსიქიატრიულ კლინიკაში გადააფრინა. ვივიენს გზაში მძიმე შეტევა დაეწყო და თვითმფრინავიდან გადახტომაც სცადა. ფსიქიატრიულში კი მსახიობს ყინულოვანი ზეწრების და უმი კვერცხების პროცედურებს უტარებდნენ. მოკლედ, ვივიენმა ნამდვილი კოშმარი გამოიარა. მიუხედავად ამისა, მკურნალობის კურსის გავლის შემდეგ მსახიობი, პრაქტიკულად, განიკურნა და მას შემდეგ კინოშიც გადაიღეს. ამასობაში ცოლ-ქმარს ურთიერთობა შეერყა და 1960 წელს ლოურენს ოლივიე და ვივიენ ლი განქორწინდნენ.

საბოლოოდ ექიმებმა ვივიენს ჭლექის დიაგნოზი დაუსვეს. კრიტიკულ მდგომარეობაში მყოფმა მსახიობმა საავადმყოფოზე უარი თქვა და მხოლოდ სახლში მკურნალობდა. ყველაფერი კი იმით დამთავრდა, რომ 1967 წლის ივლისის ერთ დღეს ვივიენ ლი საკუთარ სახლში გარდაცვლილი ნახეს.

უდიდესი მსახიობის ცხოვრების სევდიანმა დასასრულმა მაინც ვერ დაჩრდილა მისი დიდებულება, როგორც წარმავალნი ქარნი ვერ წაშლიან მაყურებელთა გონებაში ჩაბეჭდილ სკარლეტ ო`ჰარას.



*ვივიენ ლი და კლარკ გეიბლი ფილმში "ქარწაღებულნი"*














## წამალი "სალხინო"
### ქართული ფლორის საოცრება

თუ გაწუხებთ პროსტატიტი, ცისტიტი, ქალური და შარდ-სასქესო ორგანოების დაავადებები; როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი ან გამონადენი; აგრეთვე ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმელების არეში; შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია,მიიღეთ წამალი "სალხინო" და ეს პრობლემები მოგეხსნებათ.

"სალხინო" აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს.

"სალხინო" გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლეცისტიტი), ჰეპატიტის, გასტრიტის, ნეფრიტის, გინგივიტის, სტომატიტის, ბრონქიტის და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. "სალხინო" აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი "სალხინო" კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს - მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

წამალ "სალხინოს" თვისებები აპრობირებულია და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ, იგი რეგისტრირებულია. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.

იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.

წამლის ფასი საქართველოს ტერიტორიაზე სამი (3) დოლარის ეკვივალენტს არ უნდა აღემატებოდეს ლარებში.